ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან



ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 094 (12 469) 22 აპრილი სამშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



დღეს პირველი ნახევარფინალია. ითამაშებს ჯერარდი?

ჩემპიონთა ლიგა 6

მოურინიო, ლემპარდი და დროგბა ინტერში

ინგლისური პრესიდან 8-9

## საფეხბურთო ოპოზიციის ხმა

# ნოდარ, მოვდივართ!



**ახალკაცი ოპოზიციას აღმასკომში ადგილს სთავაზობს**



## ახალკაცი უნდა გადადგეს



ახალი კანდიდატი ნაკრების ცარიელ სკამზე

**შენოლ გიუნეში**

ინტერვიუ ნოდარ ახალკაცთან 2



ჩივაძე: გადადექი და ჩაატარე რიგგარეშე არჩევნები



კეტაშვილი: გერმანელს მილიონები დაახარჯეს, ჩვენ კი გზა დაგვიკეტეს



გუცაევი: ფედერაციის უკანონო მმართველობა უნდა მოვიცილოთ



ყაველაშვილი: ერთი გუნდი ხართ? მაშინ, ერთად გადადექით!

რეპორტაჟი ფორუმიდან 4-5

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ნოდარ ახალკაცთან

# გამიხარდება, თუ ალმასკომში ვაკანსიას ყაველაშვილი, ყიფიანი ან გუცაევი შეავსებს

## ნაკრების მწვრთნელობის კიდევ ერთი კანდიდატი შენოლ გიუნეშია




გუშინ ჭადრაკის სასახლეში ქართული საფეხბურთო ოპოზიცია შეიკრიბა. მოთხოვნა იყო ნოდარ ახალკაცისა და ფედერაციის ალმასკომის სრული შემადგენლობით გადადგომა და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა მოითხოვეს. დავით სილაგაძემ კი განცხადება გააკეთა ალმასკომის დატოვების შესახებ. ახალკაცმა ოპოზიციას ალმასკომში ვაკანსიის შევსება შესთავაზა და საამისოდ სამი კანდიდატურა დაასახელა.

ამასობაში კი ეროვნული ნაკრების მწვრთნელობის კიდევ ერთი კანდიდატის ვინაობა გავიგეთ. შენოლ გიუნეშის კანდიდატურის არსებობა თავად ახალკაცმაც დაგვიდასტურა.

**- ჭადრაკის სასახლეში ქართული ფეხბურთის გულშემატკივართა თავყრილობა შედგა. მათ თქვენი და ალმასკომის წევრთა გადადგომა და ფეხბურთის ფედერაციის ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა მოითხოვეს. როგორია თქვენი პოზიცია?**

- რამდენადაც ვიცი, ეს ქართული ფეხბურთის გულშემატკივართა გარკვეული ნაწილის შეკრება იყო. ვისარგებლებ შემთხვევით და ერთს ვიტყოდი. დღეს სკოლბურთში რიგით მესამე ტურნირი გაიხსნა. "პეპსის თასის" გათამაშებაში, ამჯერად უკვე 16 000 ბავშვი მონაწილეობს, 5 000-ით მეტი, ვიდრე შარშან.

არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ჩვენი კარი ყველასათვის ღიაა, ვისაც ქართულ ფეხბურთზე გული შესტკივა. მოგვმართონ კონკრეტული მოსაზრებით, პროექტით, თუ ასეთი არსებობს. ჩვენ მზად ვართ ყველას მოვუსმინოთ და ხელი შევუწყოთ თავისი იდეების რეალიზებაში. ჩვენ საქმის ინტერესებით ვხელმძღვანელობთ და მას პიროვნულ ინტერესებზე წინ არ ვაყენებთ. ასეთია ჩვენი მუშაობის სტილი.

ასე, რომ თუ ვინმეს აქვს რაიმე მოსაზრება, თუ რამე არ მოსწონს, უნდა დაასაბუთოს, რატომ არ მოსწონს და თქვას უკეთ როგორ გაკეთდეს. საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, მზად ვარ, ყველას ვესაუბრო.

**- დავით სილაგაძემ ალმასკომი დატოვა. ამაზე როგორია თქვენი რეაქცია?**

- გაკეთებულ განცხადებას მანამდე არ აქვს იურიდიული ძალა სანამ ფედერაციის გენერალურ სამდივნოში წერილობითი განცხადება არ შემოვა. თუ ასე მოხდება, მაშინ ალმასკომში გაჩნდება ვაკანსია. ასეთ შემთხვევაში კი სიამოვნებით ვიხილავდი ალმასკომის შემადგენლობაში ჭადრაკის სასახლეში შეკრებილი ლიდერებიდან ერთ-ერთს, მიხეილ ყაველაშვილს, ლევან ყიფიანს ან ვლადიმერ გუცაევს. თუ მათგან რომელიმეს ექნება ამისი სურვილი და სათანადო ფორმალობასაც გაივლის, კარგი იქნება.

**- სანაკრებო თემას შევეხოთ. ბოლოს გავრცელებულ ცნობათა თანახმად, ეროვნული ნაკრების თავკაცად ბრანკო ივანკოვიჩის დანიშვნა თითქმის გადაწყვეტილია...**

- დღეს ნამდვილად ვერ გეტყვით, თუ რომელ კანდიდატს რამდენი პროცენტი აქვს შანსი ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად გახდომისა. ამ საკითხზე რამდენიმე მიმართულებით ვმუშაობთ. ჯერჯერობით რამდენიმე კანდიდატთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები.

**- ალბათ, ის მაინც ცხადია, რომ ეროვნული ნაკრების პოტენციურ კანდიდატთა შორის ბრანკო ივანკოვიჩი ლიდერობს...**

- მართალი გითხრათ, ამ შემთხვევაში ვერც და არც დავკონკრეტდები. ჩვენ რამდენიმე კანდიდატთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს. ბრანკო ივანკოვიჩის სახელი პრესაში არაერთხელ გაჟღერდა, ჩვენც არაერთხელ დავაფიქსირეთ პოზიცია თუ რატომ მიგვაჩნია ის ერთ-ერთ ღირსეულ კანდიდატად. ხორვატ მწვრთნელთან მიმართებაში ფედერაციისა და პრესის პოზიციებში აბსოლუტური თანხვედრაა. ივანკოვიჩის კანდიდატურა სხვა მწვრთნელებთან ერთად განიხილება და რამდენიმე დღეში კიდევ ბევრი რამ გამოიკვეთება. ეს ისეთი პროცესია, რომ კანდიდატთა რაოდენობა, შესაძლოა, ყოველდღიურადაც შეიცვალოს.

**- ყველა კანდიდატი თანახმაა თბილისში იცხოვროს?**

- მოდით, ასე ვთქვათ, ფეხბურთის ფედერაციის მოთხოვნაა, რომ ნაკრების ახალმა თავკაცმა უმეტესწილად თბილისში იცხოვროს. თუმცა მას მაინც ექნება რამდენიმე თავისუფალი კვირა. მაგალითად, როცა ჩემპიონატებში პაუზაა. პირდაპირ გეტყვით, მწვრთნელი, რომელიც არ იქნება თანახმა თბილისში იცხოვროს, ჩვენი სიიდან ამოვარდება. ჩვენ ასეთი მოთხოვნა გვაქვს.

**- როგორც გავიგეთ, ბრანკო ივანკოვიჩისა და ჟაკ სანტინისთან ერთად შენოლ გიუნეშის კანდიდატურაც განიხილება...**

- განიხილება ყველა იმ მწვრთნელის კანდიდატურა, რომელიც ამ ბოლო დროს პრესაში გაჟღერდა, მათ შორის შენოლ გიუნეშიც. როგორ განვითარდება მოვლენები მათთან მიმართებაში, ამას უკვე დრო გვიჩვენებს.

**- სანტინიმ მოსაფიქრებლად დრო ითხოვა. მის მიერ მოთხოვნილი პაუზა როდის იწურება?**

- მოდით, რეალობას თვალი გავუსწოროთ, ყველა მწვრთნელი ელოდება მოვლენათა განვითარებას. მართალია, ჩვენ ჩვენი გეგმა გვაქვს და მალე გვინდა კარგი მწვრთნელი შევარჩიოთ, თუმცა მწვრთნელები პირიქით, არ ჩქარობენ. იდეალურ ვითარებაში მწვრთნელები ელოდებიან მაისის შუა რიცხვებს, როცა ევროპის ქვეყნებში ჩემპიონატები დასრულდება და ცნობილ კლუბებში მთავარი მწვრთნელის არაერთი პოსტი გათავისუფლდება. უფრო მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელები კი ევროპის ჩემპიონატის დასრულებას ელიან. ჩვენ ამ რეალობას შევეჩეხეთ. ძალით ხომ ვერ ჩამოვიყვანთ მწვრთნელს.

**- მაისის ბოლოს ნაკრებს ორი ამხანაგური მატჩი აქვს და მანამდე უნდა მოვასწროთ მწვრთნელის შერჩევა.**

- კი, ეს ჩვენც კარგად გვესმის, მაგრამ ამის გამო ვერ ავჩქარდებით და 1-2 თვით ვინმე მწვრთნელს ვერ მოვიყვანთ, რომელსაც დროებითი ერქმევა. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ასე არ დაგვიდგება საქმე, მაგრამ ჩვენ ყველა შესაძლო ვარიანტისთვის მზად უნდა ვიყოთ. რეალურად თუ შევაფასებთ ვითარებას, სამწვრთნელო ბაზარზე ასეთი ვითარებაა - არცერთი მწვრთნელი არ ცდილობს მიიღოს ნაჩქარევი გადაწყვეტილება. როგორც ჩვენ ველაპარაკებით რამდენიმე მწვრთნელს, ისევე თავად მწვრთნელები განიხილავენ რამდენიმე შეთავაზებას. ასეთი ვითარებაა და სწორედ ამიტომ ვთქვი ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ-თქო.

მართალია, ეროვნულ ნაკრებს თავკაცი ჯერ არ ჰყავს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაკრების მომავალ მატჩებთან დაკავშირებით მუშაობას არ ვაგრძელებთ. პირიქით, უკვე დაგეგმილია ეროვნული ნაკრების მგზავრობა ესტონეთსა და პორტუგალიაში. ნაკრების წევრ-კანდიდატთა გაფართოებულ სიაში მყოფ ფეხბურთელებისთვის სავიზო პრობლემას ვაგვარებთ.

**- ზემოთ ახსენეთ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ. თუ ესტონეთთან მატჩამდე ნაკრებს მწვრთნელი არ ეყოლება, ამხანაგურ შეხვედრებში ეროვნულს ვინ უხელმძღვანელებს?**

- ამ მიმართულებით შეგნებულად არ ვმუშაობთ. კონცენტრირებულნი ვართ მხოლოდ იმაზე რომ მაისის ამხანაგურ მატჩებამდე ეროვნულ ნაკრებს ახალი თავკაცი ჰყავდეს.

**- კანდიდატების პოზიცია როგორია, თანხმობის შემთხვევაში ისინი მარტო ჩამოვლენ თუ ასისტენტი ან ფიზიკური მომზადების მწვრთნელიც ეყოლებათ?**

- მათ ამ საკითხზე სხვადასხვა შეხედულება აქვთ, მაგრამ ჩვენი ორიენტირი მაინც ისაა, რომ ნაკრების მწვრთნელი ჩამოვიყვანოთ, რომელსაც ქართველი მწვრთნელები დაეხმარებიან.

**დავით ცაბაძე**

---

**შენოლ გიუნეში**

დაიბადა: 1952 წლის 1 ივნისს
დაბადების ადგილი: ტრაბზონი (თურქეთი)
კარიერა: ერდოლლუ, სებათი, ტრაბზონსპორი (გოლკიპერი)
მწვრთნელი
1987-88: ტრაბზონსპორი
1988-91: ბოლუსპორი
1991-92: ისტანბულსპორი
1992-96: ტრაბზონსპორი
1996-97: ანთალიასპორი
1997-98: საქარიასპორი
2000-04: თურქეთის ნაკრები
2004-05: ტრაბზონსპორი
2007- დღემდე: სეული (კორეა)

---

პეპსის თასი

# სკოლბურთი დაიწყო

## შეჯიბრების ჰიმნზე კონკურსი გამოცხადდა



გუშინ, ნაშუადღევს სახელმწიფო კანცელარიის წინ მდებარე ხელოვნურსაფარიანი მოედანი "პეპსის" წითელი, თეთრი და ლურჯი ბუშტებითა თუ ბანერებით იყო მორთული. ირგვლივ ბავშვების ჟივილ-ხივილი ისმოდა და ფეხბურთის ფედერაციის თავკაცთა გარდა იქვე არაერთი ცნობილი პერსონა გახლდათ. სკოლბურთში "პეპსის თასის" მორიგი, რიგით მესამე გათამაშება დაიწყო. საზეიმო ცერემონიალი **ნიკა ქავთარაძემ** გახსნა.

*"ფეხბურთის ფედერაციამ, დედაქალაქის მერიასთან, სპორტისა და განათლების სამინისტროებთან და კომპანია "პეპსისთან" ერთად, ჩინებულ ტურნირს ჩაუყარა საფუძველი. სასიხარულოა, რომ სკოლბურთში "პეპსის თასის" გათამაშება წლეულს ზედიზედ მესამედ ტარდება. აღსანიშნავია, რომ მონაწილეთა რაოდენობა ყოველწლიურად იმატებს. ამჯერად, შარშანდელთან შედარებით, 5 ათასით მეტი, სულ 16 ათასი ბავშვი მონაწილეობს"*, - მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა ფედერაციის პრეზიდენტმა **ნოდარ ახალკაცმა**.

მის გარდა საზოგადოებას მიმართეს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **გია ნოდიამ**, კომპანია "პეპსის" წარმომადგენელმა და სხვებმა. ნიკა ქავთარაძემ ტურნირის შარშანდელ გამარჯვებულს, ზუგდიდის N1 საშუალო სკოლის გუნდს უხმო. ზუგდიდელი ბავშვები შარშან ბარსელონის საერთაშორისო ტურნირზე ვიცე-ჩემპიონები გახდნენ. მერე კი შოუბიზნესის წარმომადგენლებს მიმართა საჯაროდ, სკოლბურთის ჰიმნზე კონკურსი გამოცხადდა და გამარჯვებული ფულად პრემიასაც მიიღებსო.

ბოლოს საქართველოს ეროვნული ჰიმნი აჟღერდა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ სკოლბურთში "პეპსის თასის" გათამაშება გაიხსნა. ტურნირი 51-ე და 21-ე სკოლის გუნდებს შორის მატჩით დაიწყო.

**დავით ცაბაძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: **პაატა გელაშვილი**; მიმართულების რედაქტორები: **მამუკა ჩიხლაძე** (ქართული ნაწილი); **გია თვალაბეიშვილი** (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: **პაატა თოთაძე** (ქართული ფეხბურთი), **შალვა ბიბილაშვილი** (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: **ნოდარ დუგლაძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: **მიხეილ ჯაში**; გავრცელების სამსახური: **ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.**

მისამართი: **0159 თბილისი, ახმეტელის $10^3$** (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: **46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: **+995. 32 46 32 62**; ელფოსტა: **sporti@sporti.ge**; ინდექსი **66435 INDEX**.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საქართველოს ჩემპიონატი. XXII ტურის მიმოხილვა

# ქულა, რომელიც საჩემპიონოს ჰგავს



ვიტ ჯორჯია-დინამო 0:0

**ლუკა რაზმაძემ** "დინამოს" კარის ძელს ბურთი სამჯერ გაარტყა და "ვიტ ჯორჯიას" ჩემპიონობის მიზერული შანსიღა დარჩა. ტურის ყველაზე უიღბლო ფეხბურთელმა მატჩი მართლაც მაღალ დონეზე ჩაატარა, მაგრამ საშინლად არ გაუმართლა. ამ მატჩზე "ლელოში" ვრცლად დაიწერა, ამიტომ აღარ განვმეორდებით და მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ მცხეთაში ეროვნული ჩემპიონატისთვის დამახასიათებელი ყველა ნიუანსი ვიხილეთ – მსაჯთა შეცდომები, გაწევ-გამოწევა მოედანზეც და ტრიბუნაზეც...

## ბრძოლა ოქრო-ვერცხლისთვის

ვეტერინარებს ჯერ კიდევ აქვთ ოქროს მედლების მოპოვების პერსპექტივა, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ სამწლიანი შესვენების შემდეგ, საქართველოს ჩემპიონობას "დინამო" იზეიმებს.

შინ დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვა "ზესტაფონმა". ფეროელებსაც შერჩათ ჩემპიონობის შანსი, მაგრამ **თემურ მახარაძის** გუნდისთვის უფრო რეალური მეორე ადგილისთვის ბრძოლა უნდა იყოს. მეორე საფეხური "ვიტ ჯორჯიასთვისაც" და "ზესტაფონისთვისაც" არცთუ ურიგო შედეგი იქნება, სხვა თუ არაფერი, ვერცხლის მედლები უეფას თასის საგზურს იძლევა. ამ ტურნირზე კი "ვიტ ჯორჯიას" უკვე კარგა ხანია, არ უასპარეზია, "ზესტაფონს" კი უეფას თასზე არასოდეს უთამაშია. საერთოდაც, არსებობის ისტორიაში, ფეროელებს ეროვნული ჩემპიონატის მედალი არ მოუპოვებიათ.

"ვიტ ჯორჯიას" პროგრამა-მინიმუმი საპრიზო სამეულში მოხვედრა იყო, ასე რომ, სეზონი ვეტერინართათვისაც წარმატებულია. შესაძლოა, ისეც მოხდეს, რომ უეფას თასის საგზური "ზესტაფონმაც" მოიპოვოს და "ვიტ ჯორჯიამაც". ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ საუკეთესო სამეულს მიღმა დარჩენილი "ამერი" საქართველოს თასს ვერ დაეუფლება.

აქვე ორიოდე სიტყვით ინტერტოტოზეც ვთქვათ. ყველაზე ნაკლებპრესტიჟულ ევროტურნირზე გასასვლელადაც რამდენიმე გუნდი იბრძვის, მოკლედ, დარჩენილ ტურებში კიდევ ბევრი რამ გაირკვევა.

## ინტრიგა ფსკერზე და მერანის გასაჭირი

არანაკლებ საინტერესოა ბრძოლა გადარჩენისთვის. პირველი, ვინც უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნების შანსი დაკარგა, "დილა" იყო. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ გორელებს მალე ბათუმელებიც მიჰყვებოდნენ, მაგრამ აჭარულმა კლუბმა ბოლო ტურებში იყოჩაღა და ჯერ კიდევ შეუძლია პირველი ლიგის თავიდან აცილება. თუმცა "ბათუმს" საკმაოდ რთული კალენდარი აქვს. შემდეგ ტურში კუნჭულიას გუნდი "ვიტ ჯორჯიას" მასპინძლობს.

უმაღლესში დასარჩენად თბილისური "მერანიც" იბრძვის, თუმცა ბოლოდროინდელი ამბები დედაქალაქური კლუბის წისქვილზე ნამდვილად ვერ დაასხამს წყალს. ზესტაფონში "მერანმა" დუბლშემადგენლობით ითამაშა, რაც კლუბის მესვეურებმა ფინანსური პრობლემებით ახსნეს. მათ ჯერ კიდევ აქვთ იმედი, რომ მომდევნო ტურში, "ლოკომოტივთან" უპრინციპულეს მატჩს ძირითადი გუნდით ჩაატარებენ, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რამდენიმე დღეში ოფიციალურად გაცხადდეს "მერანის" კრიზისის შესახებ. კრიზისში მყოფი გუნდი კი უმაღლეს ლიგაში ვერ ითამაშებს, მით უფრო, გამკაცრებული სალიცენზიო მოთხოვნების ფონზე...

იმედია, აქამდე საქმე არ მივა და უმაღლესი ლიგიდან მხოლოდ ბრძოლაში დამარცხებული კლუბები გავარდებიან.

XXII ტურის სიმბოლური ნაკრები




## ლოკომოტივი თითქმის სამშვიდობოზეა

ბოლნისის "სიონის" სტუმრად განადგურებით "ლოკომოტივმა" დაახლოებით ნახევარწლიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა. ამას "ბორჯომის" დამარცხებაც მოჰყვა და რკინიგზელებმა სახიფათო ზონა დატოვეს. თუ შემდეგ ტურში "მერანმა" კვლავ ჭაბუკებით ითამაშა, **გიორგი კიკნაძის** გუნდს მორიგი სამი ქულის მოპოვება არ გაუჭირდება და მომავალი სეზონისთვის ფაქტობრივად, დაიბევებს კიდეც უმაღლესი ლიგის საგზურს.

უძლიერესთა შორის დასარჩენად გააფთრებით იბრძვის ცხინვალის "სპარტაკიც". **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდმა ახალციხიდან წამოიღო ქულა, მანამდე "ვიტ ჯორჯიასთან" მიაღწია ფრეს და დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ შაბათს გორში "ზესტაფონსაც" მედგარ წინააღმდეგობას გაუწევს. შესაძლოა, სამშვიდობოზე პირდაპირი გზით ვერ გავიდნენ, მაგრამ მოსალოდნელია, რომ სპარტაკელებს უარეს შემთხვევაში, პლეი ოფში თამაშის საშუალება მაინც მიეცემათ. ჩვენი სუბიექტური აზრით, "სპარტაკი" დაქვეითებას არ იმსახურებს...

## მეგოლე გოცირიძეები და ბომბარდირი ნახევარმცველები

მოგვარეებმა, **ბექა და რევაზ გოცირიძეებმა** ამ ტურში მეტოქეთა კარი საერთო ჯამში, ხუთჯერ დალაშქრეს. "ზესტაფონის" წევრმა ბექამ ჰეთთრიქი შეასრულა, ამერელმა რეზომ კი – დუბლი. შედეგად, ორივე მათგანს "ლელოს" სიმბოლურ ნაკრებში ერგო ადგილი. ამ გოლების მიუხედავად, გოცირიძეები ბომბარდირობისთვის ვერ იბრძვიან.

ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლეთა შორის კი დიდი ცვლილებები არ მომხდარა. საინტერესო ისაა, რომ არც ბომბარდირთა ლიდერი **მიხეილ ხუციშვილია** გამოკვეთილი ფორვარდი, მისი მდევრები, **გიორგი მერებაშვილი** და **ვიეირა** კი სულაც ნახევარმცველები არიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 22 | 19 | 1 | 2 | 53-12 | 58 |
| 2. ზესტაფონი | 22 | 17 | 3 | 2 | 51-12 | 54 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 22 | 17 | 3 | 2 | 40-10 | 54 |
| 4. ამერი | 22 | 13 | 2 | 7 | 41-24 | 41 |
| 5. ოლიმპი | 22 | 12 | 4 | 6 | 21-15 | 40 |
| 6. მესხეთი | 22 | 9 | 5 | 8 | 23-23 | 32 |
| 7. ბორჯომი | 22 | 8 | 4 | 10 | 25-27 | 28 |
| 8. მგლები | 22 | 8 | 3 | 11 | 21-24 | 27 |
| 9. სიონი | 22 | 7 | 5 | 10 | 23-30 | 26 |
| 10. ლოკომოტივი | 22 | 5 | 5 | 12 | 15-26 | 20 |
| 11. სპარტაკი | 22 | 4 | 6 | 12 | 8-23 | 18 |
| 12. მერანი | 22 | 5 | 1 | 16 | 12-45 | 16 |
| 13. ბათუმი | 22 | 4 | 3 | 15 | 13-41 | 15 |
| 14. დილა | 22 | 1 | 5 | 16 | 8-43 | 8 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| **ხუციშვილი (დინამო)** | 14 |
| გ. მერებაშვილი (დინამო) | 12 |
| **ვიეირა (ზესტაფონი)** | 11 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 10 |
| **იონანიძე (ზესტაფონი)** | 9 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 8 |
| გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტ./ბათუმი) | 8 |
| გელაშვილი (ვიტ./ზესტაფონი) | 8 |
| ინასარიძე (მესხეთი) | 8 |
| რ. გოცირიძე (ამერი) | 8 |

| მომდევნო ტური | |
|---|---|
| 23 აპრილი, ოთხშაბათი | |
| 16:00 | დინამო-მესხეთი |
| 25 აპრილი, პარასკევი | |
| 16:00 | ბათუმი-ვიტ ჯორჯია |
| 16:00 | სიონი-ოლიმპი |
| 16:00 | ამერი-მგლები |
| 26 აპრილი, შაბათი | |
| 16:00 | ბორჯომი-დილა |
| 16:00 | მერანი-ლოკომოტივი |
| 16:00 | სპარტაკი-ზესტაფონი |



ამერი-ბათუმი 4:1

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კახა ცხადაძე:
# ისევ აზერბაიჯანში დავრჩები
### ჩემი მეგობარი და ორასიანი პროგრამა

ლეგიონერი მწვრთნელი ქართულ ფეხბურთს ძალიან ცოტა ჰყავს - თემურ ქეცბაია, რევაზ ძოძუაშვილი, კახა ცხადაძე და თამაზ პერტია. შეიძლება ითქვას, ოთხივე ჯერჯერობით წარმატებითართმევს საქმეს თავს. გუშინ აზერბაიჯანული "სტანდარდის" თავკაც კახა ცხადაძეს დავუკავშირდით და იქაური ამბები გამოვკითხეთ.

**- ბოლო ტურში აზერბაიჯანის ყველაზე მდიდარ კლუბ ლენქორანის "ხაზარს" ეთამაშეთ და 0:1 დამარცხდით. ღარიბი მდიდრის წინააღმდეგ - მოედანზე ეს რამდენად იგრძნობოდა?**

- მოედანზე ეს, ფაქტობრივად, არ იგრძნობოდა, თანაბარი თამაში იყო, თითქმის იმავე რაოდენობის სახიფათო მომენტი შევქმენით, რამდენიც "ხაზარმა", მაგრამ ჩვენი გასატანი ვერ გავიტანეთ.

**- "სტანდარდი" ცამეტგუნდა ლიგაში ახლა მე-9 ადგილზეა და იქიდან გავარდნა აღარ ემუქრება. შეიძლება ითქვას, რომ დასახულ მიზანს მიაღწიეთ?**

- მიზანი არგავარდნა არ ყოფილა, ჩვენთვის მთავარი იყო, "სტანდარდს" თანამედროვე ფეხბურთის თამაში დაეწყო და ამ მხრივ მნიშვნელოვანი წინსვლა უკვე გვაქვს, რასაც აზერბაიჯანში ყველა აღნიშნავს. "სტანდარდს" შთამბეჭდავი შედეგი ჯერ იმიტომ არ აქვს, რომ მაღალი კლასის ფეხბურთელები არ ჰყავს - კლუბის ბიუჯეტი ამის საშუალებას არ იძლევა.

**- "სტანდარდთან" კონტრაქტი სეზონის ბოლოს გეწურებათ - ხომ არ შემოგითავაზებიათ ხელშეკრულების გაგრძელება?**

- არაერთხელ მქონდა შეხვედრა კლუბის პრეზიდენტთან. "სტანდარდის" სამომავლო გეგმებზე ვისაუბრეთ. კლუბს უკვე აქვს გამოყოფილი ტერიტორია, სადაც სტადიონსა და ბაზას ააშენებს. კონკრეტული შემოთავაზება კონტრაქტის გაგრძელებაზე კი ჯერ არ მიმიღია.

**- აზერბაიჯანის ეროვნული ნაკრების ახალდანიშნულმა მწვრთნელმა ბერტი ფოგთსმა აზერბაიჯანის ეროვნული ჩემპიონატი გერმანიის მეოთხე ლიგას შეადარა. ეთანხმებით ფოგთსის შეხედულებას?**

- აზერბაიჯანის ჩემპიონატს ობერლიგას არ შევადარებდი. აქაური ჩემპიონატი დაახლოებით საქართველოს ჩემპიონატის რანგისაა, მაგრამ აქ წინსვლის გაცილებით მეტი შესაძლებლობაა. აზერბაიჯანულ ფეხბურთს მწვავედ უდგას ადგილობრივი კადრების პრობლემა, თუმცა თუ საკლუბო ფეხბურთი მომავალშიც ასეთი ტემპით განვითარდება, ქართველებს აუცილებლად გაგვასწრებენ.

**- ჰოდა, აზერბაიჯანში მუშაობით ალბათ კმაყოფილი ხართ...**

- უცხო ქვეყანაში, სულ სხვა გარემოში წავედი სამუშაოდ და საკმაოდ ბევრი ვიშრომე - "სტანდარდში" სულ სხვა რელსებზე გადავედით. ალბათ, ისევ აზერბაიჯანში გავაგრძელებ მუშაობას.

**- ანუ, თუ "სტანდარდი" არ შემოგთავაზებთ კონტრაქტის გაგრძელებას, სხვა აზერბაიჯანულ გუნდში გადახვალთ?**

- ყველაფერი შესაძლებელია.

**- ჩვენთან კლაუს ტოპმიოლერის ხელფასი ძალიან აქტუალური თემა იყო. მანდ რა ვითარებაა, ფოგთსის კონფიდენციალურ ხელფასზე რა მითქმა-მოთქმაა?**

- აქაურები ფოგთსის ხელფასზე მაინც და მაინც არ ნაღვლობენ, რადგან აზერბაიჯანისთვის ახლა მთავარი ფეხბურთის განვითარებაა. ახალგაზრული ნაკრების მწვრთნელადაც გერმანელი დანიშნეს, სხვათა შორის, ჩემი ძველი მეგობარი - ბერნარდ ლიპერტი. როცა ფრანკფურტის "აინტრახტში" ვთამაშობდი, მაშინ ის "აინტრახტის" ბავშვთა გუნდის მწვრთნელი იყო. აზერბაიჯანის სახელმწიფო პროგრამით სულ მალე 200 სტანდარტული მოედანი დაიგება და ის გუნდები, საკუთარ ბაზა და სტადიონი რომ არ ექნებათ, უმაღლეს ლიგაში არ დაიშვებიან. გაიზრდება ლეგიონერთა ლიმიტი, რომელიც ისედაც არ არის მცირე - ახლა აზერბაიჯანელებს შვიდი ლეგიონერის ყოლის უფლება აქვთ.

დავით თავართქილაძე



# ჩივაძე ფეხბურთის
## ახალკაცი უნდა გადადგეს და



ქადრაკის სასახლე და ვერის ბაღი ყოველთვის საფეხბურთო ვნებების ეპიცენტრი იყო, მაგრამ გუშინდელივით მასშტაბური აფეთქება მხოლოდ 1990 წელს მოხდა, როდესაც საქართველოს ფეხბურთის დამოუკიდებელი ფედერაცია დაარსდა. ამ მოვლენამ ფეხბურთის და მთლიანად ქვეყნის განვითარებას უდიდესი სტიმული მისცა. გუშინდელი შეკრებაც ამ კონტექსტში მოიაზრებოდა.

დარბაზი გადაჭედილი იყო. ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობით უკმაყოფილონი გულისტკივილს ღიად აფიქსირებდნენ. ვის არ ნახავდით - ალექსანდრე ჩივაძე, ვლადიმერ ბარქაია, მანუჩარ მაჩაიძე, რეჟისორი ბუბა ხოტივარი, ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი, მომღერალი ლიზი ბაგრატიონი, ექსნაციონალები ბესო ჯუღელი, გუგული მაღრაძე, მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი ვასილ მაღლაფერიძე, რესპუბლიკელი ივლიანე ხაინდრავა და მისი ახალი თანაგუნდელი, მოჭიდავე ლერი ხაბელოვი, და ა.შ.

შეკრება ცნობილმა ქართველმა მსახიობმა, "ქართული აკადემიის" დამაარსებელმა გია ბურჯანაძემ წაიყვანა.

### გია ბურჯანაძე: 13 მაისს სულში ჩაგვაფურთხეს

- ჩვენი საზოგადოება წინ უნდა აღუდგეს იმ უსამართლობას, რომელიც ფეხბურთსა და მთელ ქვეყანაში მეფობს. სამართლიანი არჩევნების გამართვა ჩვენი ღირსების საქმეა. ძალიან მიხარია, ამ დარბაზში დღეს ჩემთვის პატივსაცემ უამრავ ადამიანს რომ ვხედავ.

ქართულ ფეხბურთში დღეს შექმნილი ვითარება სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. 1981 წლის 13 მაისს ქართველი ხალხი ერთად იდგა. შარშანდელ 13 მაისს კი სულში ჩაგვაფურთხეს.

### ზურაბ პეტრიაშვილი: რეგიონები ნემსაძის მხარდაჭერისთვის დასაჯეს

- ჩვენი ჩემპიონატი ტრამპლინის ფუნქციასაც ველარ ასრულებს. საქართველოდან სერიოზულ ევროპულ გუნდში ფეხბურთელი დიდი ხანია არ წასულა. ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში აღარ თამაშობენ ქუთაისის "ტორპედო", ლანჩხუთის "გურია", ფოთის "კოლხეთი", წყალტუბოს "სამგურალი", ხობის "კოლხეთი". ქართული ფეხბურთისთვის რამდენი სტადიონი დაიკარგა – ავლაბარსა და ბათუმში დაანგრიეს, "შევარდენი" და "სინათლე" რაგბის კავშირს გადასცეს. განადგურების პირასაა ლანჩხუთის სტადიონი და გრიგოლეთის ბაზა.

სათამაშოდ სომხეთში, აზერბაიჯანში, ყაზახეთსა და თურქმენეთში გარბიან ჩვენი ფეხბურთელები. მსაჯები ჩვენთან მატჩში 180 ლარს იღებენ, აზერბაიჯანში 400 ევროს, სომხეთში კი - 250 დოლარს.

საგარანტიო თანხის გადაუხდელობის გამო, უმაღლესიდან მოკვეთეს ქუთაისის "ტორპედო" და ფოთის "კოლხეთი". ეს იმ დროს, როცა ფეხბურთის ფედერაციის საშტატო ბიუჯეტი 3 მილიონ ლარამდეა. ქართული ფეხბურთის აღორძინების ნაცვლად, მილიონები ხელმოცარულ გერმანელ მწვრთნელს მოახმარეს.

თბილისის, გურიის, აფხაზეთისა და სამეგრელოს რეგიონულ ფეხბურთის ფედერაციებს აღარ აფინანსებენ, რადგან არჩევნებში ხმა ნემსაძეს მისცეს და არა ახალკაცს.

დროა, ფედერაციაში ისინი მოვიდნენ. რომელთაც არა პირადი ინტერესები არამედ ქართული ფეხბურთი ადარდებთ.

### ვლადიმერ გუცაევი: ფედერაციის არალეგიტიმური ხელისუფლება უნდა მოვიშოროთ

- ვითარების შეცვლას ყველა დასაშვები მეთოდით უნდა ვეცადოთ. რაც დღეს ხდება, ამის ატანა შეუძლებელია. ორი აზრი არაა - ფედერაციის არალეგიტიმური ხელისუფლება უნდა მოვიშოროთ. მე არაფერს ვერჩი მაკარიძეს, მაგრამ როგორ შეიძლება ნაკრებში თამაშობდეს 18 წლის მეკარე, რომელსაც უმაღლესი ლიგის პრაქტიკაც არ გააჩნია? ეს არ იყო მარტო ტოპმიოლერის შეცდომა. ფედერაციაში ტყუილად ხომ არ მუშაობენ, ვიღაცას ხომ უნდა ეთქვა, რას შვები, ვის იწვევო?

13 მაისს ჩვენს სამყაროს უდიდესი შეურაცხყოფა მიაყენეს. რიგგარეშე ყრილობას ყოველგვარი წინაპირობის გარეშე მოვითხოვ. სხვაგვარად, რადიკალური ნაბიჯებზე წავალთ.

### მამუკა კვარაცხელია: გაეცანით დამთრგუნავ სტატისტიკას

- ჩემს დროს, ფეხბურთის ფედერაციის სახელფასო ფონდი 200 ათას ლარს შეადგენდა, ახლა - 2,9 მილიონი ლარია. ყველა ნაკრების მწვრთნელთა წლიური სახელფასო ფონდი 200 ათას ლარს შეადგენდა, შარშან - 4 მილიონს. ადრე საკანცელარიო ხარჯებზე 80 ათასი იხარჯებოდა, შარშან - 1,4 მილიონი დაიხარჯა. სახელმწიფო დახმარებას არ ვიღებდით, ამჟამინდელი მმართველები კი ფედერაციას 3,39 მილიონს ურიცხავენ. ალენ ჟირესის გაგდებისთვის, 332 ათასი ლარის ჯარიმა გადავიხადეთ. ტოპმიოლერი გააჩუმეს, თორემ უფრო დიდი ჯარიმა დაგვეკისრებოდა. მას გერმანიაში ფედერაციის ხელმძღვანელობა მთლიანი შემადგენლობით ესტუმრა, ოღონდ მიხეილ სააკაშვილი არ ეხსენებინა.

აქვე მსურს ის ფრაზები გაგაცნოთ, რომლებიც ნოდარ ახალკაცსა და მის გუნდს ეკუთვნის:

ნოდარ ახალკაცი: "ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, 2 მილიონი უცხოელ სპეციალისტს რომ დავახარჯოთ."

გოგი ქავთარაძე: "გაიოზ დარსაძე მაღალი დონის პეციალისტი და თეორეტიკოსია".

ნოდარ ახალკაცი: "ვერ დაგეთანხმებით, რომ საქართველოს ჩემპიონატი დაბალი დონისაა".

ისევ ნოდარ ახალკახის ფრაზაა: "ტოპმიოლერის მუშაობით კმაყოფილები ვართ და ახალ კონტრაქტს გავუფორმებთ."

კლაუს ტოპმიოლერი: "მე რომ დაბალ ხელფასს დავთანხმებოდი, მაშინ ნაკრების წევრების მენეჯერობა უნდა დამეწყო!"

### ლევან ძიძიანი: ჩვენ ვერ გავხდებით კლანის წევრები!

- ვერის ბაღი საბჭოეთის შავ-ბნელ ეპოქაშიც სიმართლის მექა იყო. ასეა ახლაც და ჩვენ ეს სულისკვეთება უნდა შევინარჩუნოთ. სკამის დაკავება ბევრჯერ შემეძლო, მაგრამ არასდროს გამოვკიდებივარ და პრინციპებზე არ გამიცვლია. მე სკამი კი არა, ქართული ფეხბურთის წარმატება მელანდება.

შეკრების ორგანიზატორები კლანების წევრები ვერ გავხდებით და ამიტომაც, ფეხბურთში ხელების ფათურის უფლებას არავის მივცემთ. ჩემს თაობას კარგად ახსოვს გამარჯვების გემო და გვენატრება. არავის მივცემთ უფლებას, მომავალ თაობას გამარჯვების გემო დაავიწყოს! ჩვენ შევიკრიბეთ ქართული ფეხბურთის გადასარჩენად და ის ერთად უნდა დავიბრუნოთ!

### მიხეილ ჯაველაშვილი: ერთი გუნდი ხართ? მაშინ თქვენც გადადექით!

- ჩვენ ვალდებული ვართ, ამ ქვეყანას ვემსახუროთ, რადგან ეს ჩვენი ვალია! ამ დარბაზში ქართული ფეხბურთის ლეგენდები არიან, ალექსანდრე ჩივაძე, მანუჩარ მაჩაიძე, ვლადიმერ ბარქაია და მათ თანადგომისთვის მადლობას ვუხდი.

საქართველოში დაბრუნებულმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რიხით უბრუნდება

## რიგგარეშე არჩევნები ჩატარდეს




უამრავი ნიჭიერი ბავშვი აღმოაჩინე. სამწუხაროდ, ასეთი გარემო მათ ნიჭს აბორტს უკეთებს. აბორტის კეთებას ხელს უწყობს ისიც, ვინც დღეს დუმს.

ფედერაცია ნაკრების ახალ მწვრთნელზე საუბრებით ყურადღების მეორეხარისხოვან საკითხზე გადატანას ცდილობს. დღეს მთავარი საკითხი რიგგარეშე, სამართლიანი არჩევნების გამართვაა! ჩვენი ფეხბურთის განვითარების წინაპირობა მხოლოდ ეს იქნება!

"ჩვენ ერთი გუნდი ვართ" მშვენიერი კლიპი იყო და პიარ-კამპანიაც კარგად ჩაატარეს. თუმცა საქართველოს არ ჰყავს ძლიერი გუნდი. მის გარეშე კი, საზოგადოება ერთ გუნდად ვერ გაერთიანდება.

ფედერაციის ხელმძღვანელობა მაინც გაიძახის, რომ ერთი გუნდია. აქედან გამომდინარე, იმოქმედონ ერთი გუნდის პრინციპით და რადგან კლაუს ტოპმიოლერი გადადგა, ისინიც გადადგნენ!

**საფეხბურთო** ოპოზიცია დიდი ხანია ნოდარ ახალკაცის გადაყენებას ითხოვს. საამისოდ მრავალი არგუმენტიც დაუსახელებიათ - ეს მათი "კოზირები" იყო.

გუშინ ჭადრაკის სასახლეში ოპოზიციამ ჯოკერი გამოაჩინა – ალექსანდრე ჩივაძემ ხანგრძლივი დუმილი დაარღვია და თანაც ისე, დიდი ხმაური რომ გამოიწვია.

### ალექსანდრე ჩივაძე: გადადექი და ჩაატარე რიგგარეშე არჩევნები!

- საზოგადოება დღეს რიგგარეშე ყრილობის გამართვას ითხოვს. ტოპმიოლერი ფედერაციას არ მოუხსნია, საზოგადოების მოთხოვნა იყო და გაითვალისწინეს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ გათავისუფლებამდე, ფედერაციის აღმასკომზე მასთან ახალი კონტრაქტის გაფორმება გადაწყვიტეს.

ფეხბურთი ხალხისაა და მისი სურვილი ყოველთვის უნდა გაითვალისწინონ. 1990 წლის შემდეგ, საქართველოში ასეთი მაშტაბური საფეხბურთო ფორუმი არ გამართულა. ჩვენ ფედერაციის ხელმძღვანელობის გათავისუფლებას ვითხოვთ. ასე ფიქრობს საზოგადოების უდიდესი ნაწილი, რაც "პრაიმ-ტაიმში" ჩატარებულმა გამოკითხვამაც დაადასტურა – გულშემატკივართა 93 პროცენტი ფედერაციის რიგგარეშე არჩევნების გამართვას ემხრობა.

აქედან გამომდინარე, ამ საკითხზე ორი აზრი არც არსებობს – ნოდარ ახალკაცის გუნდი უნდა გადადგეს და რიგგარეშე არჩევნები ჩატარდეს.

ყველამ მშვენივრად ვიცით, 13 მაისის არჩევნები როგორ ჩატარდა. კარგი იქნება, თუკი ფეხბურთის ფედერაცია ამას თავად გაიაზრებს და რიგგარეშე ყრილობას დაგეგმავს.

მე მინდა სახელმწიფოს ფეხბურთის დახმარებისთვის მადლობა ვუთხრა. თხუთმეტი წელიწადი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვიყავი და ერთი თეთრი არ მიგვილია. თუმცა დახმარებას გონივრული გამოყენება სჭირდება.

იმედია, ხალხის აზრს ახლაც გაითვალისწინებენ, საერთო სურვილს წინ არ აღუდგებიან და რიგგარეშე არჩევნებს ჩაატარებენ.

### გელა კეტაშვილი: აზრი მაინც გვკითხონ!

- იმ დროს, როდესაც ახალკაცმა ქართული ფეხბურთის მილიონები გერმანელებს დაახარჯა, საშა ჩივაძეს, უამრავ ცნობილ ვეტერანსა და, მათ შორის, მეც, ფეხბურთში გზა ჩაგვიკეტეს. ფედერაციაში დასაქმებას კი არ ვითხოვთ, ჩვენი აზრით მაინც დაინტერესდნენ. ერთად მოვითხოვოთ ფედერაციის ხელმძღვანელობის გადადგომა და სამართლიანი არჩევნების გამართვა.

### დავით სილაგაძე: უმოქმედო აღმასკომს ვტოვებ!

- არ მეგულება ქვეყანა, სადაც ნაკრების მთავარი მწვრთნელი პოსტზე დანიშვნის განხილვას და დამტკიცებას არ ესწრება. ასე მოხდა ტოპმიოლერის შემთხვევაში და ამაზე აღმასკომის წევრებს რეაგირება არ მოუხდენიათ. ამიტომაც, მე პროტესტის ნიშნად ვტოვებ ამ არაქმედით აღმასკომს და გიერთდებით.

### გუგული მაღრაძე: ძალა ერთობაშია!

- როდესაც ფეხბურთში ცუდადაა საქმე, მაშინ საზოგადოებასაც ძალიან უჭირს. რიგგარეშე არჩევნების გასამართად, ყველა საშუალება გამოიყენეთ. ფეხბურთის ფედერაციაში არაა სამართლიანობა და პატიოსნება. მიუღებელია მათი ცინიზმი და ადამიანებისადმი დამოკიდებულება. ხალხის კრიტიკულ მასას ყველაფერი შეუძლია. ირწმუნეთ თქვენი ძალა! ძალა კი ერთობაშია!

**დასასრულს,** დარბაზში შეკრებილმა საზოგადოებამ რეზოლუცია მიიღო, რომელიც გია ბურჯანაძემ წაიკითხა.

მასში ორი მთავარი მოთხოვნა დაფიქსირდა:

1. გადადგეს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა და აღმასკომის წევრები.

2. დაინიშნოს ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც პოლიტიკოსების გავლენისგან იქნება დაცული.

**მიმართვა** ფეხბურთის ფედერაციას, სპორტის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ ნიკა ვაჩეიშვილსა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავჯდომარეს დავით ნამგალაურს გაუგზავნეს.

საფეხბურთო სახეებთან ერთად, მიმართვას ხელს აწერენ ზაზა აბაშიძე, რატი ამაღლობელი, ჯანო ბაგრატიონი, დათო ტურაშვილი, პაატა გურასპაული, ლერი ხაბელოვი, ნონა გაფრინდაშვილი, სოსო ლალიძე, ვასილ მაღლაფერიძე და ა.შ.

**ბოლო** სიტყვა გია ბურჯანაძისა იყო: "ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას ვადას 13 მაისამდე გაძლევთ. მიიღეთ შესაბამისი გადაწყვეტილება, გადადექით და დანიშნეთ რიგგარეშე არჩევნები. თუ არადა, 26 მაისს საქართველოს თასის ფინალია და სხვაგვარად ვიმოქმედებთ."

**მერაბ მამულაშვილი**

# ინტერტოტოს გედის სიმღერა ლუქსემბურგელებთან

UEFA INTERTOTO CUP

**გუშინ** შვეიცარიულ ნიონში ინტერტოტოს თასის უკანასკნელი გათამაშების წილისყრა გაიმართა. საბოლოოდ, უეფას თასის 11 საგზურისთვის ბრძოლაში უეფა-ს წევრი 50 ქვეყნის კლუბები ჩაებმებიან. პირველ წრეში საქართველოს წარმომადგენელი ლუქსემბურგისას შეუწყვილდა. სავარაუდოდ, საქართველოს ინტერტოტოს თასზე ჩემპიონატის მესამე პრიზიორი წარადგენს, თუ თასის გათამაშება არ შეცვლის მოვლენებს, ინტერტოტოს თასზე შესაძლოა ვიხილოთ „ზესტაფონი", „ვიტ ჯორჯია" ან „ოლიმპი", ნაკლებად სავარაუდოა ეს გუნდი იყოს „დინამო" ან „ამერი". ლუქსემბურგელთაგან ყველაზე მეტი შანსები „ჟენეს ეშს" და „რასინგ უნიონს" აქვთ. ვფიქრობთ, ნებისმიერი შემთხვევაში ლუქსემბურგული ბარიერი ქართულმა კლუბმა უნდა დაძლიოს. პირველი მატჩი 21 ან 22 ივნისს ლუქსემბურგში გაიმართება, საპასუხო კი 28 ან 29 ივნისს საქართველოში ჩატარდება.

თუკი ქართული კლუბი ინტერტოტოს თასის პირველ ბარიერს დაძლევს, მეორეში საქმე რუსულ კლუბთან (რუსეთს „მოსკვა" წარადგენს) ექნება, ფინალურ ეტაპზე გასვლის შემთხვევაში კი – გერმანულ კლუბთან. მეორე წრის მატჩები 5,6 და 12, 13 ივლისს გაიმართება, ფინალური რაუნდი – 19, 20 და 26, 27 ივლისს. შარშან რანგით მესამე ევროსარბიელზე საქართველოს „ზესტაფონი" წარადგენდა. ჩვენმა გუნდმა სუსტად ითამაშა და ორი მატჩის ჯამში ყაზახურ „ტობოლთან" 2:3 დათმო და ტურნირს პირველივე ეტაპზე ჩამოსცილდა

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლეგიონერები

# უცნობი ქართველები და ტურის გმირი დვალიშვილი

**დანიაში გიორგი ფოფხაძის** გარდა კიდევ ერთი ქართველი ლეგიონერი თამაშობს, პირველ დივიზიონში კოპენჰაგენის ჰიკ-ში 19 წლის **მიხეილ ბარაბაძე** ირჯება, მას ორი გოლი აქვს გატანილი ამ სეზონში. ჰიკ-ი 22 ქულით მე-12 ადგილზეა, გუნდს გავარდნის საფრთხე რჩება. ბოლო ტურში ჰიკ „ჰერფოლგეს" ესტუმრა და 0:3 დამარცხდა.

სლოვაკეთში კიდევ ერთი ქართველი ლეგიონერი თამაშობს, „ნიტრას" ღირსებას ფორვარდი **ირაკლი ლილუაშვილი** იცავს. „ნიტრა" „დუბნიცას" ესტუმრა და 1:2 დამარცხდა. ამით „ნიტრამ" მესამე ადგილი დაკარგა, 44 ქულით მეოთხეზე ჩაინაცვლა. ლილუაშვილი ახალი გადასულია „ნიტრაში", „დუბნიცასთან" მატჩში მან მესამედ მოირგო გუნდის მაისური, ირაკლი 83-ე წუთზე შევიდა **ვრანიას** ნაცვლად.

ლატვიის ვირსლიგაში მეოთხე ტურის საუკეთესო ფეხბურთელი **ლადო დვალიშვილი** გახდა. „სკონტომ" შინ 3:1 დაამარცხა „დაუგავა", ლადომ მე-7, 44-ე და 57-ე წუთებზე გაიტანა. დვალიშვილი 88-ე წუთზე შეცვალეს. სათადარიგოთა სკამზე იჯდა **დავით გამეზარდაშვილი**. ჩემპიონი „ვენტსპილსი" შინ 0:0 დაუზავდა „მეტალურგსს". **ზურაბ მენთეშაშვილი** ჯერ კიდევ ტრავმირებულია. **ირაკლი ქორთუას** „ბლაზმამ" შინ „რიგა" დაამარცხა – 1:0. ქორთუამ 90 წუთი ითამაშა. ქართველი მწვრთნელის, **თამაზ პერტიას** „დინაბურგი" შინ 1:1 დაუზავდა „ვინდავას". **ბაქარ გიორგაძეს** არ უთამაშია მასპინძელთა შორის. „ვენტსპილსი" 10 ქულით ლიდერია, „დინაბურგი" ხუთი ქულით მესამეა, ხოლო „სკონტოს" და „ბლაზმას" 4-4 ქულა აქვთ.

ლიტვაში A ლიგის მე-4 ტურის მატჩები გაიმართა. ჩემპიონი „კაუნასი" მეორედ დამარცხდა, ამჯერად შინ „ვეტრასთან" – 1:2. **გივი კვარაცხელიამ** და **აკაკი ხუბუტიამ** 90-90 წუთი ითამაშეს, **ნუკრი მანჩხავას** არ უთამაშია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



დვალიშვილი ბურთიანად შევიდა კარში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩის წინ

# ითამაშებს თუ არა ჯერარდი?

## ტრადიციული მეტოქეების მორიგი მატჩი მთავარი გმირების გარეშე?

**ლივერპული-ჩელსი**

სავარაუდო შემადგენლობები

**ლივერპული:** რეინა, კარაგერი, ჰიიპია, შკრტელი, ფაბიო აურელიო, ჩაბი ალონსო, მასკერანო, ჯერარდი (ან ლუკას ლეივა), კუიტი, ბაბელი, ტორესი.

**ჩელსი:** ჩეხი, პაულუ ფერეირა, ტერი, რიკარდო კარვალიო, ეშლი კოული, ლემპარდი, მაკელელე, ბალაკი, სალომონ კალუ, დროგბა, ჯო კოული.

**მსაჯი:** კონრად პლაუტცი (ავსტრია)



სტივ ჯერარდმა შეიძლება პირველი ნახევარფინალი გამოტოვოს

გასულ ხუთშაბათს, "ევერტონის" დამარცხების შემდეგ, **ავრამ გრანტმა** პირში წყალი ჩაიგუბა. ყველაზე ვრცელი კომენტარი, რომელიც მან ბოლო ხუთი დღის განმავლობაში გააკეთა, "ლივერპულის" კაპიტან **სტივ ჯერარდს** ეხებოდა:

*"ჯერარდი დიდებული ფეხბურთელი და დიდებული ადამიანია. ჩემი აზრით, სწორედ ის იმსახურებს ინგლისის წლის საუკეთესო მოთამაშის ტიტულს და შესაძლოა, ევროპის საუკეთესო ტიტულსაც იმ ეფექტური სამუშაოს გამო, რომელსაც ყველა მატჩში ასრულებს. მისი თამაში ძალიან მომწონს, პირადადაც ვიცნობ და შემიძლია, მოგახსენოთ, რომ სხვებისთვის ნამდვილი მაგალითია. მართალია, ჩემი გუნდის წინააღმდეგ ითამაშებს, მაგრამ ის მაინც ჩემს ფავორიტად რჩება. თუ მისი "ჩელსიში" გადმოყვანა მოხერხდება, თავს უბედნიერეს მწვრთნელად ჩავთვლი."*

გრანტის დანიშვნამდე "ჩელსიმ" ორჯერ უშედეგოდ სცადა ფეხბურთელთან კონტრაქტის გაფორმება: პირველად 2004 წლის ზაფხულში, **ჟოზე მოურინიოს** დანიშვნისთანავე - ლონდონელები "ლივერპულს" 20 მილიონ გირვანქას სთავაზობდნენ. ხოლო მეორედ 2005 წლის ზაფხულში, როდესაც "ჩელსიმ" შეთავაზებული თანხა 32 მილიონ გირვანქამდე გაზარდა.

გასულ უქმეებზე ჯერარდს "ფულჰემთან" მატჩი (2:0) გაუცდა. მას ზურგი აწუხებდა. უცნობია, ითამაშებს თუ არა "ლივერპულის" კაპიტანი "ჩელსისთან". **რაფა ბენიტესი** გადაწყვეტილებას ექიმებთან თათბირის შემდეგ მიიღებს. **ფერნანდო ტორესმა** "ლივერპულის" ბოლო შვიდ საშინაო შეხვედრაში გაიტანა (ყველა ტურნირზე). **ხოსე რეინა** და **ჯეიმი კარაგერი** ორად-ორი ფეხბურთელია, რომელმაც წლევანდელ ჩემპიონთა ლიგაში, ყველა შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარა. ლიგის 10-ვე მატჩში ითამაშეს სტივ ჯერარდმა და **სემი ჰიიპიამაც**. თუ ჯერარდი, კარაგერი და **ფაბიო აურელიო** ყვითელ ბარათებს მიიღებენ, განმეორებითი მატჩი გაუცდებათ.

"ჩელსის" **ფრენკ ლემპარდი** დაუბრუნდა. ნახევარმცველმა პრემიერლიგის ბოლო ორი მატჩი გამოტოვა. დედის ავადმყოფობის გამო ის ერთკვირიან შვებულებაში გაუშვეს. "არისტოკრატებს" **მიკაელ ესიენი** ვერ დაეხმარება. მას დისკვალიფიკაცია აქვს. **კლოდ მაკელელე** ლიგის ნახევარფინალში მერვედ ითამაშებს. ფრანგი ნახევარმცველი უკვე რეკორდსმენია. ტურნირის ამ ეტაპზე ექვსზე მეტად არავის უთამაშია. "ჩელსის" ფეხბურთელთაგან ლიგის ათივე მატჩი მხოლოდ მაკელელემ, ესიენმა და **ჯო კოულმა** ჩაატარეს.

ბი-ბი-სიმ დღევანდელ მატჩთან დაკავშირებით საინტერესო სტატისტიკა შემოგვთავაზა. "ლივერპული" და "ჩელსი" ზუსტად 151-ე ოფიციალურ შეხვედრას გამართავენ. დღეისთვის, "ლივერპულს" 58 მოგება აქვს, "ჩელსის" - 44, ხოლო 28 მატჩი ფრედ დასრულდა. 2004 წლის ზაფხულის შემდეგ (რაფა ბენიტესის დანიშვნის დღიდან) ეს გუნდები ტრადიციულ მეტოქეებად იქცნენ. "ლივერპული" და "ჩელსი" 18-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, აქედან "ლივერპულმა" მოიგო ხუთი და წააგო რვა. ხუთი შეხვედრა კი, ფრედ დასრულდა.

წლევანდელ პრემიერლიგაში, "ენფილდზე", გუნდებმა 1:1 ითამაშეს. მერსისაიდელთაგან ტორესმა გაიტანა, ლონდონელთაგან - ლემპარდმა (პენალტით). ლიგის თასის მეოთხედფინალში, "სტემფორდ ბრიჯზე", "ჩელსიმ" მეტოქეს ორი უპასუხო გოლი გაუტანა (ლემპარდი, **ანდრეი შევჩენკო**). ლონდონში, პრემიერლიგის მეორე წრის შეხვედრა უგოლოდ დასრულდა.

"ლივერპული" და "ჩელსი" ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ მეოთხედ შეხვდებიან. აქამდე ჩატარებულ ექვს შეხვედრაში მხოლოდ სამი გოლი გავიდა. ორჯერ "ლივერპულმა" გაიმარჯვა მინიმალური ანგარიშით, ერთხელ - "ჩელსიმ".

გუნდები ლიგის ნახევარფინალში მესამედ ითამაშებენ. წინა ორი დაპირისპირება "ლივერპულმა" მოიგო და ფინალში გავიდა (2005 და 2007 წლებში, 2005 წელს თასს დაეუფლა). "არისტოკრატები" ფინალში გასვლას მესამე ცდაზე შეეცდებიან.

"ლივერპული" ჩემპიონთა თასის ხუთგზის მფლობელია (1977, 1978, 1981, 1984, 2005). აგრეთვე უეფას თასის სამგზის მფლობელი (1973, 1976, 2001). მერსისაიდელები ლიგის შარშანდელი გათამაშების ფინალისტები არიან ("მილანთან" 1:2). მათ კიდევ ერთი ფინალი აქვთ წაგებული - "იუვენტუსთან" 1985 წელს (0:1). ამ მატჩისას ბრიუსელის სტადიონ "ეიზელზე" ტრაგედია დატრიალდა.

"ლივერპული" ევროტურნირების ნახევარფინალში მე-15-დ ითამაშებს. წინა 14 ნახევარფინალიდან მან 11-ში გაიმარჯვა. უფრო შთამბეჭდავია ჩემპიონთა ლიგის/თასის გათამაშების სტატისტიკა - "ლივერპული" ამ ტურნირის ნახევარფინალში მეცხრედ გავიდა. წინა რვა ნახევარფინალიდან შვიდში გუნდმა ფინალის საგზური მოიპოვა და მხოლოდ ერთხელ - შორეულ 1964-65 წლების სეზონში წააგო მილანის "ინტერთან".

"ჩელსის" ყველაზე დიდი ევროპული გამარჯვება 1971 და 1998 წლებით თარიღდება. გუნდი ორჯერვე თასების თასს დაეუფლა. 1998 წელს "არისტოკრატებმა" ევროპის სუპერთასიც დაისაკუთრეს.

ჩემპიონთა ლიგაში, ლონდონელები ნახევარფინალში მეოთხედ გავიდნენ (2004, 2005, 2007, 2008). წინა სამი ნახევარფინალი მათთვის უილბლოდ დასრულდა. საერთო ჯამში, ევროტურების ნახევარფინალში, "ჩელსის" რვაჯერ აქვს ნათამაშევი და მხოლოდ ორჯერ მოახერხა ფინალში გასვლა.

"ლივერპულს" ლიგის წლევანდელ გათამაშებაში შვიდმატჩიანი წაუგებელი სერია აქვს. მან ბოლოს შარშან, 24 ოქტომბერს, "ბეშიქთაშთან" წააგო. მერსისაიდელები "ენფილდზე" 3 ოქტომბრის შემდეგ არ დამარცხებულან ("მარსელთან" 0:1).

"ჩელსიმ" "ლივერპულთან" შარშანდელ ნახევარფინალში დამარცხების შემდეგ 10 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ ერთხელ წააგო (1:2 "ბეშიქთაშთან" პირველ მეოთხედფინალში).



# გრანტი, უცნაური და, შესაძლოა, განსაკუთრებულის

## უტიტულო მწვრთნელს შეუძლია, მოიგოს ის, რასაც ტიტულოვანი მოურინიოც კი ვერ შესწვდა

**ჟოზე მოურინიოს** განსაკუთრებულს უწოდებდნენ, **ავრამ გრანტი** კი უცნაური მწვრთნელია. პორტუგალიელი ლეგენდის სკამზე დაჯდომა ადვილი არ იყო. "ჩელსის" გულშემატკივრების უმრავლესობას მისი სახელი არცკი სმენოდა, როცა ეს კაცი მათი გუნდის მთავარ მწვრთნელად დანიშნეს.

გულშემატკივრები რა მოსატანია, როცა მის შესახებ ჟურნალისტებმაც კი თითქმის არაფერი იცოდნენ. საქმეში ყველაზე უკეთ ჩახედულებს მხოლოდ ის მოეხსენებოდათ, რომ რამდენიმე წლით გრანტი ისრაელის ნაკრებიდან დაითხოვეს, რადგან გუნდს ძალიან უსახურად ათამაშებდა. ამის მიუხედავად, გასული წლის სექტემბერში **რომან აბრამოვიჩმა** სწორედ გრანტზე შეაჩერა არჩევანი. მისტერ ავრამი "ჩელსიში" უცხო კაცი არ იყო. ის რამდენიმე თვე სპორტულ დირექტორად მუშაობდა. მერე კი იმ სიმაღლეთა დაპყრობა დაეკისრა, რომელსაც მოურინიო ვერ შესწვდა.

გრანტი ჟოზეს არაფრით ჰგავს. ამ ადამიანებს განსხვავებული საფეხბურთო ფილოსოფია გააჩნიათ. ისინი პიროვნული თვისებებითაც განსხვავდებიან. მოურინიო ქარიზმატული ლიდერი იყო, გრანტი - სრულიად საპირისპირო ტიპაჟია. ასეთი მწვრთნელისთვის "ჩელსიში" მუშაობა დაუძლეველი სიძნელე უნდა ყოფილიყო.

ინგლისელ ჟურნალისტებს მოურინიო უყვარდათ. ის ამპარტავანი და ქედმაღალი კაცი იყო, მაგრამ მის პრესკონფერენციებზე დასწრებას არაფერი სჯობდა. საფეხბურთო სამყაროში ამ დონის მოღვაწეებთან ინტერვიუს გაკეთება ადვილი არ არის. მოურინიო ჟურნალისტებს რეგულარულად ხვდებოდა და როგორც კი ლაპარაკს იწყებდა, ხმაურიანი სტატიებისთვის საფუძველი მზად იყო. მოურინიოსთვის ფეხბურთი ნამდვილი შოუ, თეატრალურ წარმოდგენა იყო. ის მთავარ როლს თამაშობდა, ყველა დანარჩენი კი მეორეხარისხოვანი ფიგურა იყო.

მისგან განსხვავებით, გრანტის პრესკონფერენციები ერთფეროვანი და მოსაწყენია. "ჩელსის" დღევანდელი თავკაცი სათქმელს საინტერესოდ ვერ გადმოსცემს. ჟურნალისტებმა წინასწარ იციან, რა პასუხს მიიღებენ მისგან. გრანტის კომენტარებით კარგი სტატიები არ იწერება.

მოურინიო ხშირად მოთმინებას კარგავდა და მეტოქის მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს მიწასთან ასწორებდა. ჟურნალისტებსაც ზუსტად ეს უნდოდათ. გრანტი კი ზოგჯერ ისეთ უაზრო პასუხებს იძლევა, რომ მიმომხილველები გაკვირვებისგან მხრებს იჩეჩავენ. მაგალითისთვის, "ევერტონის" შემდეგ გამართული პრესკონფერენცია ავიღოთ. "ჩელსიმ" მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვა. "მანჩესტერ იუნაიტედთან" სხვაობა ორ ქულამდე შემცირდა. წესით, მოგებული გუნდის თავკაცს ბევრი სალაპარაკო უნდა ჰქონოდა. გრანტმა კი, კითხვებს, აი, როგორ უპასუხა:

**ჟურნალისტი:** როგორ ფიქრობთ, ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეგიძლიათ?

**გრანტი:** არ ვიცი.

**ჟურნალისტი:** დღეს დამსახურებულად გაიმარჯვეთ?

**გრანტი:** დიახ.

**ჟურნალისტი:** დღევანდელ თამაშში ყველაზე მეტად რა მოგეწონათ?

**გრანტი:** მომეწონა.

**ჟურნალისტი:** რა მოგეწონათ, მისტერ გრანტ?

**გრანტი** (რვაწამიანი პაუზის შემდეგ): არ ვიცი.

ეს არ იყო ერთეული შემთხვევა. პრემიერლიგის უსუსტესი გუნდების მწვრთნელებიც უფრო საინტერესოდ საუბრობენ ხოლმე. ინგლისის ჩემპიონატს ასეთი დამრიგებელი არ ახსოვს. ჟურნალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ "ჩელსის" ბოსთან მუშაობა ჯოჯოხეთურად ძნელია. გულის სიღრმეში შეიძლება ყველა მათგანს სურდეს, რომ ეს უტყვი მწვრთნელი მალე მიაბრძანონ სამსახურიდან. "ჩელსის" თუნდაც უმნიშვნელო წაფორხილების შემდეგ, გაზეთები ივსება სტატიებით გრანტის მოსალოდნელი დათხოვნის თაობაზე. ის კი დღემდე მშვიდად აგრძელებს მუშაობას.

გრანტს დანიშვნის დღიდან ალმაცერად უყურებდნენ. თუ რატომ, ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ამას დავუმატოთ წამყვანი ფეხბურთელების უკმაყოფილება. ამბობდნენ - და ეს ხმები არ იყო უსაფუძვლო - რომ მოურინიოს დათხოვნამ **ჯონ ტერი, ფრენკ ლემპარდი** და **დიდიე დროგბა** ძალიან დაამწუხრა. დროგბამ მწვრთნელის გათავისუფლების მეორე დღესვე გააკეთა განცხადება, რომ "ჩელსის" სეზონის დასრულებისთანავე დატოვებდა.

გრანტი შეგირდებისთვის არ არის ისეთი ავტორიტეტი, როგორიც მოურინიო იყო. ფეხბურთელები მეორე მწვრთნელ **სტივ კლარკს** (მოურინიოს ყოფილი ასისტენტი) უფრო ელაპარაკებიან. კლარკი, ფაქტობრივად, შუამავალია ფეხბურთელებსა და მთავარ მწვრთნელს შორის. ამ ვითარებაში და საყოველთაო სკეპტიციზმის ფონზე, მისტერ ავრამმა მაინც შეძლო საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა: ის არცთუ ურიგო ტაქტიკოსი აღმოჩნდა.

შორს წასვლა საჭირო არ არის, "არსენალთან" ამასწინანდელი მატჩი გავიხსენოთ: "ჩელსი" მინიმალური ანგარიშით აგებდა. მატჩის დასრულებამდე 18 წუთით ადრე გრანტმა **ჟულიანო ბელეტი** და **ნიკოლა ანელკა** გამოიყვანა. გულშემატკივრებმა მისი გადაწყვეტილება სასაცილოდ არ ეყოთ და სტვენას მოჰყვნენ. მაგრამ თამაშის ბედი ამ ფეხბურთელებმა გააწყვიტეს. დროგბამ გამარჯვების გოლი მათი თანაავტორობით გაიტანა.

უცნაურია, მაგრამ გრანტს შეუძლია, მიაღწიოს იმას, რასაც მოურინიომაც ვერ მიაღწია. "ჩელსის" ინგლისის ჩემპიონობის შანსი ჯერ არ დაუკარგავს. კვირას, "მანჩესტერ იუნაიტედმა" "ბლექბერნთან" ორი ქულა დაკარგა. "ეშმაკებმა" ანგარიში 88-ე წუთზე გაათანაბრეს. **კარლოს ტევესის** გოლი რომ არა, "ჩელსის" ბედი მისსავე ხელში იქნებოდა: სამი გამარჯვება დარჩენილ სამ ტურში გუნდს ოქროს მედლებს მოუტანდა (მომავალ უქმეებზე "არისტოკრატები" უმთავრეს კონკურენტ, "მანჩესტერ იუნაიტედს" მასპინძლობენ).

დღეს "ჩელსი" "ლივერპულთან" ჩემპიონთა ლიგის პირველ ნახევარფინალს გამართავს. ზოგიერთ მიმომხილველს რომ ჰკითხოთ, ლონდონელებს ევროპული თასის დასაკუთრება უფრო შეუძლიათ, ვიდრე ინგლისის ჩემპიონის ტიტულის. "ჩელსი" ისტორიის მიჯნაზე დგას. მას ჩემპიონთა ლიგის/თასის ფინალში არასოდეს უთამაშია. თანაც, გადამწყვეტი მატჩი მოსკოვში, აბრამოვიჩის სამშობლოში უნდა გაიმართოს.

მოურინიომ "ჩელსიში" გატარებული სამი წლის განმავლობაში ექვსი ტიტული მოიპოვა, მაგრამ ჩემპიონთა თასის ფინალშიც კი ვერ გავიდა. თუ გრანტი გუნდს ფინალში გაიყვანს და თუ თასსაც მოიპოვებს, მას ველარავინ შეეხება, მით უმეტეს, თუ გრანტის გუნდი ერთბაშად ორ ტიტულს დაეუფლება. კრიტიკოსებს დროებით დადუმება მოუწევთ, ვილაცა კი იტყვის: ეს უცნაური მწვრთნელი ისეთივე განსაკუთრებული ყოფილა, როგორც მისი წინამორბედიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ მირკო სლომკასთან

# სულელი არ ვარ, ყველაფერს ვხედავდი

მირკო სლომკას სამი წლის ვაჟ ლუკს "შალკეს" ქვეშაგებში სძინავს. ყოველ საღამოს, ძილის წინ, მას მირკო ივანანის ნაცვლად გელზენკირხენული კლუბის ჰიმნს უმღეროდა ხოლმე - "ლურჯი და თეთრი, როგორ მიყვარს ეს ფერები..." სლომკა "შალკეს" მთავარი მწვრთნელი აღარ არის, მაგრამ ბავშვისთვის ეს არ უთქვამს. პატარა ლუკს ზემოთ ხსენებული სიმღერის გარეშე დაძინება აღარ შეუძლია და მირკოც ვალდებულია, ყოველ საღამოს "ლურჯ-თეთრების" სიმღერა უმღეროს.

გათავისუფლებულ სლომკას "კვირის" კორესპონდენტი გაესაუბრა. მირკომ ყველაფერზე გულახდილად ისაუბრა.




**- ჰერ სლომკა, თქვენი და "შალკეს" თანამშრომლობა რვა დღის წინათ, ერთობ ქაოტურ ვითარებაში დასრულდა. გაკვირვებული დარჩით, როცა ანდრეას მიულერმა გადაწყვეტილების შესახებ გაცნობათ?**

- ეს მეც ისევე გამიკვირდა, როგორც თქვენ. წინა დღეს, "ვერდერთან" განადგურების (1:5) შემდეგ შექმნილი ვითარება მიულერთან ერთად გავაანალიზე და მას ამ საუბრის დროს გათავისუფლების შესახებ ერთი სიტყვაც კი არ წამოსცდენია. ანდიმ მითხრა, მიუხედავად ასეთი კატასტროფული შედეგისა, ფაქტია, რომ გუნდს პროგრესი აქვსო. მერე ბრემენიდან გელზენკირხენამდე ერთად ვიმგზავრეთ და როგორც ჩანს, ჩვენი დაშორების შემდეგ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან სატელეფონო საუბრები ჰქონდა, რის შემდეგაც ვითარება კარდინალურად შეიცვალა.

**- მიულერი ამბობს, სლომკას გათავისუფლების იდეა პირველად ჩემგან წამოვიდაო...**

- დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტი ის გახლავთ, რომ საბოლოო გადაწყვეტილება სწორედ მიულერს უნდა მიეღო, რადგან ის გუნდის მენეჯერია.

**- და ეს გადაწყვეტილება მაშინ მიიღო, როცა თქვენ რეზერვისტებს ავარჯიშებდით...**

- ვარჯიშის შემდეგ გადმომცეს, 12 საათზე მიულერთან თათბირიაო. გულახდილად გეუბნებით, ერთი წამითაც არ მიფიქრია იმაზე, რომ გამათავისუფლებდნენ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს ჩემთვის უდიდესი მოულოდნელობა გახლდათ. თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი. შეეძლოთ, ისე გავეთავისუფლებინე, რომ სასაცილო მდგომარეობაში არ ჩავეგდე. თავად განსაჯეთ, "კოტბუსთან" მომავალი მატჩზე მელაპარაკებოდნენ, დილით გუნდი მავარჯიშებინეს და ამ დროს თურმე გადაწყვეტილი ჰქონიათ, რომ პოსტზე არ მტოვებდნენ. არ მინდოდა, რომ ეს ყველაფერი ასე დასრულებულიყო. ჩვენ შეგვეძლო, სპეციალური პრესკონფერენცია მოგვეწყვია და ჟურნალისტებისთვის ერთად გვეთქვა, რომ თანამშრომლობას ვწყვეტდით. ეს ძალიან კარგი ჟესტი იქნებოდა. ასე კი გამოდის, რომ გამაბითურეს და შეურაცხყოფა მომაყენეს.

**- მიუხედავად ამისა, "კოტბუსთან" მატჩის წინ მიულერს ტექსტური შეტყობინება გაუგზავნეთ და მისწერეთ, წარმატებებს გისურვებო...**

- ჰო, რადგან გუნდიდან ჩემი წამოსვლა იმას არ ნიშნავს, რომ ჩემი და მიულერის მეგობრობა დასრულებულია. დარწმუნებული ვარ, რომ შაბათს არაფერი იცოდა, თორემ არ მეტყოდა, ყველაფერი კარგადააო.

**- ერთი კვირის წინათ "ველტს" უთხარით, თუ ჩემი გაშვება უნდათ, დროზე გამიშვანო...**

- აქ მთავარი დროზე გაშვება კი არ იყო, არამედ ის, რომ სწრაფად უნდა ეთქვათ, გეგმავდნენ თუ არა მომდევნო სეზონს ჩემთან ერთად. როგორც ხედავთ, ჩემი წამოსვლის შემდეგ თითქოს გუნდს ფრთები შეესხა - მაშინვე 5:0 მოიგეს! სწორად გამიგეთ, ხელმძღვანელების გადაწყვეტილებას პატივს ვცემ, მაგრამ ვაღიარებ, რომ "შალკედან" წამოსვლა არ მინდოდა.

**- იზიარებთ ყველა იმ არგუმენტს, რაც თქვენი გათავისუფლების შემდეგ ითქვა?**

- რომელ არგუმენტებს გულისხმობთ? მიულერმა თქვა, გუნდი მწვრთნელით უკმაყოფილო იყოო. ამ ყველაფრის ფონზე, ყველგან ვკითხულობ, რომ სლომკას ხელში "შალკემ" პროგრესი განიცადა, რომ გუნდი არსებობის ისტორიაში პირველად გავიდა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში და ა.შ.

**- ...და როგორ ფიქრობთ, "შალკე" ჩემპიონთა ლიგის საგზურს თქვენს გარეშეც მოიპოვებს?**

- ეჭვი არ მეპარება, რომ სამეულში აუცილებლად მოვხვდებოდით და ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ "შალკე" ჩემპიონთა ლიგაში გაისადაც აუცილებლად ისპარეზებს - მიუხედავად იმისა, რომ მოიყვანეს ორი მწვრთნელი, რომლებსაც ამ კოლექტივთან შეხება არასდროს ჰქონიათ.

**- ბიუსკენსსა და მიულდერს თქვენთან დაკავშირება არ უცდიათ?**

- ჯერ არა.

**- პრეზიდენტმა იოზეფ შნუზენბერგმა თქვა, სლომკას ხელში პროგრესი არცერთმა ფეხბურთელმა არ განიცადაო...**

- ...და ეს იყო ამ დღეების ყველაზე გულსატკენი ციტატა! როგორც კი ეს განცხადება წავიკითხე, მაშინვე შნუზენბერგის ნომერი ავკრიფე, რადგან მიმაჩნია, რომ ასეთი განცხადებები მხოლოდ პირადი საუბრის დროს უნდა გაკეთდეს და არამც და არამც პრესაში. მან ბოდიში მომიხადა. თუმცა ამას ახლა არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს, რადგან რაც ითქვა, ითქვა და ველარაფერს გამოასწორებ.

**- როგორ იმართლებთ თავს?**

- ჰაიკო ვესტერმანი ჩემს ხელში გერმანიის ნაკრების ფეხბურთელი გახდა და თითქმის გადაწყვეტილია, რომ ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს. რიცა ჯერმეინ ჯონსი ვიყიდეთ, ბუნდესმწვრთნელი იოახიმ ლიოვი მასზე არც ფიქრობდა. დღეს კი, ჯონსი ერთ-ერთი საუკეთესო საყრდენია და გერმანიის ნაკრებში მოიაზრება. აღარაფერს ვამბობ ისეთ ტალანტებზე, როგორებიც მანუელ ნოიერი და კრისტიან პანდერი არიან. არც მესუთ იოზილი და სებასტიან ბიონიში უნდა დავივიწყოთ, რომლებიც ჩემს მოსვლამდე არაფერს წარმოადგენდნენ, მერე კი ორივე მათგანი საკმაოდ ძვირად გავყიდეთ.

**- რა ვერ გააკეთა სლომკამ?**

- ჩვენ ყველაფერს მივაღწიეთ, რაც დავგეგმეთ! გერმანიის თასზე გამოვიზამთრეთ, ბუნდესლიგაში სამეულში ვიყავით, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში კი სულაც დაგეგმილზე მეტს მივაღწიეთ. გუნდის ბიუჯეტი 40 მილიონ ევროზე მეტით შეივსო. ამ ფულით "შალკე" სერიოზულად გაძლიერდება.

**- გაძლიერება თქვენ აღარ განდეს, რადგან ზამთარში ნაყიდი ფეხბურთელებიდან იმედები ვერცერთმა მათგანმა ვერ გაამართლა...**

- ხელმძღვანელებს სულ ვაფრთხილებდი, ამ სამ ფეხბურთელს ისე ნუ წარმოაჩენთ, თითქოს კაკა, რონალდინიო და კრისტიანო რონალდო ვიყიდეთ-მეთქი. ალბერტ შტრაიტი ტრავმირებული გადმოვიდა, ზე რობერტოსა და სანჩესს კი, რა გასაკვირია, რომ დრო სჭირდებათ. ამ ყველაფრის შესახებ ბოსებთან თავიდანვე დეტალურად ვისაუბრე, მაგრამ მაინც მე გამომიყვანეს სულელად. არადა, სულელი არ ვარ, ყველაფერს ვხედავდი!

**- იქნებ შნუზენბერგს ჰქონდა პირადად თქვენთან პრობლემა?**

- ფაქტი ის არის, რომ როცა შნუზენბერგს ვხვდებოდი, პრობლემების შესახებ არასდროს უსაბრია. ყოველთვის ძალიან თბილად მიმიღებდა და მეგობრულად მელაპარაკებოდა. ამას წინათ გავიგე, რომ "შტუტგარტთან" და "დორტმუნდთან" მოპოვებული გამარჯვებების შემდეგ, სამეთვალყურეო საბჭოში ჩემს გაგდებაზე საუბრობდნენ. არადა, ზედიზედ ორი უმნიშვნელოვანესი თამაში გვქონდა მოგებული. მაშინ მივხვდი, რომ რაღაც ვერ იყო წესრიგში.

**- როგორ გგონიათ, რით იყვნენ უკმაყოფილოები?**

- წარმოდგენა არ მაქვს.

**- "კოტბუსთან" მატჩის შემდეგ, კაპიტანმა მარსელო ბორდონმა განაცხადა, სლომკას წასვლით გვეშველა, გუნდმა ბოლოს და ბოლოს გამართული ფეხბურთი ითამაშაო...**

- ეს რომ წავიკითხე, ძალიან გამიკვირდა. მე ნამდვილად არ ვიყავი ის კაცი, ვინც ფეხბურთელებს გოლების გატანას და მოგებას უშლიდა! ცხადია, მოთამაშეებმა ხელმძღვანელების მხარე უნდა დაიჭირონ და არა გაგდებული მწვრთნელისა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ბორდონისგან, რომელიც გუნდის კაპიტანი ჩემი ინიციატივით გახდა, მეტ პატივისცემას ვიმსახურებ.

**- "შალკე" ძალიან მძიმე ტვირთია...**

- არა, მე ასე არ ვფიქრობ. უბრალოდ, ამ გუნდის ფეხბურთელებს ყოველთვის სხვანაირი მიდგომა სჭირდებოდათ. ალბათ არა ისეთი, როგორც მე ვუდგებოდი.

**- რამდენიმე კვირის წინათ მიულერმა თქვა, მწვრთნელის შეცვლა არც იმ შემთხვევაში იქნება გამორიცხული, მეორე ადგილზე რომ გავიდეთო...**

- და ცხადია, მე მაშინვე მივხვდი, რომ აღარც მიულერი მედგა ბოლომდე გვერდში.

**- არ გვეთანხმებით იმაში, რომ "შალკეს" თქვენს ხელში უფრო ლამაზი ფეხბურთი უნდა ეთამაშა?**

- ჩვენ ძალიან ბევრი რამ გავაკეთეთ იმისათვის, რომ გუნდის თამაში უფრო თვალსასეირო გამხდარიყო. სწორედ ამიტომ ვიყიდეთ შტრაიტი და სანჩესი, რომლებიც, როცა იქნება, თავის შესაძლებლობებს აუცილებლად დაამტკიცებენ. ფაქტი ის არის, რომ ლინკოლნის წასვლით გუნდს სერიოზული კრეატივი მოაკლდა, რის შემდეგაც ჩვენ აქცენტი გუნდურობასა და დისციპლინირებულ ფეხბურთზე გავაკეთეთ.

**- ყველაზე მეტად გული რაზე გწყდებათ?**

- იმაზე, რომ შარშან გერმანიის ჩემპიონები ვერ გავხდით. ეს რომ მომხდარიყო, ახლა "აუფ შალკეს" შესასვლელში ჩემი ძეგლი იქნებოდა აღმართული. ახლა კი სახლში ვზივარ.

**- ფაბიან ერნსტმა ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენზე თქვა: არსებობს კრიტერიუმები, რაც ადამიანის სიკარგეზე მეტყველებს, მაგრამ ამავდროულად, მწვრთნელისთვის ძალიან ცუდიაო. ზედმეტად რბილი და კეთილი ხართ?**

- ფაბიანს ვეთანხმები, მაგრამ არც მთლად ისეა, თითქოს ძალიან რბილი ვარ. მე მიყვარს დისციპლინა და ფეხბურთელებს ყოველთვის ვთხოვდი, რომ დისციპლინირებულები ყოფილიყვნენ. მწვრთნელს ერთი გზა უნდა ჰქონდეს არჩეული. მე ჩემი გზა და ჩემი ფილოსოფია მქონდა და მაქვს.

**- მომავალში შეიცვლებით?**

- კარდინალურად, რა თქმა უნდა, არ შევიცვლები, მაგრამ პირველივე დღიდან ნებისმიერ მცირე დეტალს გულდასმით დავაკვირდები.

**- ექსპერტები ამბობდნენ, ფეხბურთელები სლომკას შენობით ელაპარაკებიან, გუნდში ავტორიტეტი არ აქვსო...**

- როდესაც რალფ რანგნიკის ასისტენტი ვიყავი, შენობით მელაპარაკებოდნენ. შესაბამისად, ჩემი მხრიდან აბსოლუტური სისულელე იქნებოდა ის, რომ მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნის შემდეგ თქვენობით საუბარი მომეთხოვა. მომავალ გუნდში შენობით ველარავინ მომმართავს!

**- გულახდილად გვითხარით, რამდენი გუნდიდან დაგირეკეს გათავისუფლების შემდეგ?**

- ამას არ გეტყვით.

**- საერთოდ დაგირეკეს?**

- გეტყვით, რომ ორზე მეტი გუნდიდან დამიკავშირდნენ.

**- რა კატეგორიის უნდა იყოს თქვენი მომავალი გუნდი?**

- ჩემი მომავალი გუნდი ან ჩემპიონთა ლიგაში უნდა თამაშობდეს, ანაც უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა და პერსპექტივა, რომ ევროპის ელიტურ საკლუბო ლიგაში მოხვდეს.

**- "ჰამბურგზე" რას იტყოდით?**

- "ჰამბურგიდან" არავინ შემხმიანებია. შესაბამისად, ვერაფერს ვიტყვი. ფაქტი ის არის, რომ დიდხანს ლოდინი არ მინდა. მსურს, რომ მუშაობა მალე დავიწყო.

**- დორტმუნდის "ბორუსიაში" უკვე დაიწყო სპეკულაციები იმის შესახებ, რომ თომას დოლის დღეები BVB-ს მწვრთნელის პოსტზე დათვლილია. უკვე იფიქრეთ იმაზე, რომ "ბორუსიის" მწვრთნელად თუ დაინიშნებით, ეს თქვენი ისტორიის იდეალური გაგრძელება იქნება?**

- (იცინის) ეს ყველაზე მეტად ალბათ ჟურნალისტებს გინდათ, რათა მერე დაწეროთ, სლომკა "შალკეზე" შურისძიებას მოსისხლე მტრის ბანაკიდან აპირებსო. მე ვიტყოდი, რომ დღესდღეობით ჩემთვის "დორტმუნდი" წარმოუდგენელია, რადგან ემოციური თვალსაზრისით ასეთი რამის გაკეთება არ შემიძლია. ჩემს შვილს ყოველ საღამოს "შალკეს" ჰიმნს ვუმღერი. წარმოუდგენელია ის, რომ ერთ საღამოსაც სახლში მივიდე და ლუკს ვუთხრა, მორჩა, დღეიდან "დორტმუნდის" ჰიმნი უნდა გიმღერომეთქი...

**გოტფრიდ ლენცი**

ცოცხალი ყოფილა...

# დაისლერს ფიზიოთერაპევტობა უნდა

გერმანიის ნაკრების არცერთი ფეხბურთელი არ წასულა სპორტიდან ისე მოულოდნელად და ისე რადიკალურად, როგორც ეს შარშან **სებასტიან დაისლერმა** გააკეთა. სებას, რომელიც დღეს 28 წლისაა, კარიერის დასრულების შემდეგ, აღარც თავისი ბაიერნელი კოლეგები უნახავს და არც ტელეეკრანებზე გამოჩენილა. მთელი ამ ხნის განმავლობაში მან ერთადერთი ინტერვიუ გასცა (გაზეთ "ველტს" ესაუბრა და ეს ინტერვიუ შემოდგომაზე შემოგთავაზეთ). რეკორდმაისტერის ფეხბურთელები ბოლო დროს ხშირად ჩივიან, ერთხელ მაინც მოსულიყო ზებენერშტრასეზე, ნუთუ არ აინტერესებს, როგორ არიან მისი ყოფილი თანაგუნდელები და მეგობრებიო.

"ბასტი ფანტასტიმ" კარიერა 2007 წლის 16 იანვარს დაასრულა - მანამდე მან გერმანიის ნაკრებში 36, ხოლო ბუნდესლიგაში კი 135 მატჩის ჩატარება მოასწრო. მოგვიანებით სებამ გადაწყვეტილების მიზეზებზე ისაუბრა, ბოლოს საკუთარ თავს ვებრძოდი, დაცარიელებული და გამოფიტული გახლდით, ამიტომაც წავედი ფეხბურთიდანო.



სებასტიან დაისლერი

შემოდგომაზე გამოქვეყნებული ინტერვიუს შემდეგ, დაისლერზე ახალი ინფორმაცია პირველად ვრცელდება. კერძოდ, მისმა მეგობარმა და ყოფილმა თანაგუნდელმა **ენტონი სანემ**, რომელიც დაისლერთან ერთად ბერლინის "ჰერტაში" თამაშობდა, ორიოდ დღის წინათ შემდეგი განაცხადა: *"სებასტიანი ამას წინათ ჩიკაგოში მოვინახულე. ახლა ის ისევ ბერლინშია და მინდა გითხრათ, რომ თავს ძალიან კარგად გრძნობს. მეტიც, სებამ მითხრა, ფიზიოთერაპევტი უნდა გავხდეო."*

ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა კი გაარკვიეს, რომ დაისლერი ამ თემაზე ორი კვირის წინათ "ჰერტას" ორთოპედ **თომას ზენევალდსაც** ესაუბრა. ბერლინური კლუბის ფიზიოთერაპევტი **იორგ ბლიუთმანი** კი ამბობს: *"დიახ, სებასტიანს უნდა, რომ ამ პროფესიას დაეუფლოს და მე ეს ძალიან მახარებს. თავის დროზე მას ხშირად სჭირდებოდა ფიზიოთერაპევტი და ეს გახდა კიდეც საბოლოოდ იმის მიზეზი, რომ სებამ ფეხბურთისგან სიამოვნება ველარ მიიღო. ახლა უნდა, რომ თვითონ დაეხმაროს ფეხბურთელებს. ვფიქრობ, იდეალური იქნება."*

დაისლერმა კარიერა დეპრესიის გამო დაასრულა და გერმანული ფეხბურთის გულშემატკივრებს ამ გადაწყვეტილების სისწორეში დღესაც ეჭვი ეპარებათ. რამდენად შეეძლო სებასტიანს ფეხბურთის თამაშის გაგრძელება?

*"ბასტი დღეს უაღრესად ბედნიერია. სანამ ფეხბურთს თამაშობდა, უბედური იყო. ის იმის გამოცაა ბედნიერი, რომ მთელ დღეებს 4 წლის შვილთან ერთად ატარებს. ამასთან, დაისლერი წიგნს წერს, რომელსაც მალე გამოაქვეყნებს. ის ჯერ კიდევ ეძებს სწორ გზას,"* - აცხადებს სანე.

**გოტფრიდ ლენცი**

დიდი გარიგება ჩაშლის პირას

# გალიანი: რონალდინიო ძალიან ძვირია

## მილანი მოლაპარაკების პირველი რაუნდით უკმაყოფილოა, მაგრამ შანსს მაინც იტოვებს

გასულ უქმეებზე, ბარსელონას "მილანის" ემისრები ეწვივნენ. კატალონიის მთავარ ქალაქში "როსონერისა" და "ბარსას" წარმომადგენლებმა პირველი მოლაპარაკებები გამართეს. იტალიური სააგენტოები, **სილვიო ბერლუსკონისა** და **ადრიანო გალიანის** ოპტიმიზმზე დაყრდნობით, ირწმუნებოდნენ, რომ **რონალდინიოს** ტრანსფერი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მთლად ასეც არ ყოფილა საქმე. გასულ კვირას, "მილანის" ბოსებს რონალდინიოს ძმა და აგენტი **რობერტო დე ასისი** შეხვდა. როგორც ამ უკანასკნელმა თქვა, მოლაპარაკებებში აშკარა წინსვლა იყო. იგივე გაიმეორა გალიანიმაც, მაგრამ ცხადია, აგენტი ყველაფერს ვერ წყვეტს. იმთავითვე ნათელი იყო, რომ ძნელი იქნებოდა დიალოგი უშუალოდ "ბარსელონასთან", რომელთანაც ბრაზილიელს კიდევ ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. **ჟოან ლაპორტა** უჭკუო კაცი არ არის, ამხელა კალიბრის ვარსკვლავი, მიუხედავად ჩაგდებული სეზონისა, "მილანს" ან "ინტერს" ცენტებში გაატანოს.

"მილანის" შეთავაზება, ცოტა არ იყოს, არარეალური ჩანდა: რონალდინიოსთან ერთად **ჯანლუკა ძამბროტა** და ზედაც 30 მილიონი გირვანქა. მაგრამ ალმოჩნდა, რომ "ბარსას", მარტო რონალდინიო, 50 მილიონ გირვანქად ულირს. ამის გამგონე გალიანის ძამბროტა საერთოდ დაავიწყდებოდა. აი, მისი კომენტარიც, რომელიც "გაძეტა დელო სპორტში" დაიბეჭდა:

*"ახლა უკვე არ ვიცი, შედგება თუ არა ეს გარიგება. ჩვენ საბაზრო კანონებით ვმოქმედებდით და გავაკეთეთ ყველაფერი, რაც შეგვეძლო. რონალდინიო ძალიან ძვირი ღირს. თუ არის შანსი, რომ კიდევ რაღაც გავაკეთოთ, არც ამაზე დავიხევთ უკან, ან არა და, ორიენტირებს შევცვლით. მე არასოდეს მითქვამს, რომ "ბარსელონასთან" ახლო ურთიერთობები გვაქვს და მოლაპარაკებები ადვილი იქნებოდა. სულ სხვაა ფეხბურთელი, რონალდინიოც სწორედ ეს შემთხვევაა. ვიცით, რომ მას "მილანში" გადმოსვლა უნდა. მაგრამ არიან სხვა კლუბებიც, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მისი სამსახურით, არა მხოლოდ "მილანი" და "ინტერი". სატრანსფერო ბაზარზე დიდი ხანია ვმუშაობ და დღევანდელი სიტუაცია ჩემთვის უცხო არ არის. თუ "ბარსელონა" მიიღებს ჩვენს წინადადებებს, საქმე წინ წავა, თუ არა და, მაშინ ყველაფერი დასრულდება. მაგრამ არც იმას ვამბობ, რომ შანსი აღარ არის. შანსიც არის და დროც. ჯერ აპრილია, წინ კიდევ ერთი თვეა, ჩემპიონატებიც ჯერ არ დამთავრებულა. ასე რომ, მოლაპარაკებები გაგრძელდება და ვნახოთ, რა იქნება".*

სპეციალისტები სხვა მოსაზრებებსაც გამოთქვამენ. ბევრი ეჭვობს, რომ შესაძლოა, რონალდინიომ თავად აღარ ისურვოს "მილანში" გადასვლა, გამომდინარე იქიდან, რომ კლუბს არასახარბიელო საჩემპიონთალიგო პერსპექტივა აქვს. თუ "როსონერი" კვარტეტში ვერ მოხვდა, გაისად უეფას თასზე მოუწევს თამაში. ეს კი, ბრაზილიელი სუპერვარსკვლავისთვის სერიოზულ გამოწვევად ვერ ჩაითვლება. გალიანის ამაზე ორიგინალური პასუხი აქვს:

*"არ მგონია, ეს რაიმე პრობლემას ქმნიდეს. მსგავს თემაზე არც გვისაუბრია და აზრადაც არ მოგვსვლია. ერთ რამეს შეგახსენებთ: როცა რონალდინიო "პარი სენ ჟერმენიდან" "ბარსელონაში" მიდიოდა, მაშინ კატალონიელები სწორედ უეფას თასზე თამაშობდნენ. ასე რომ, ეს არგუმენტად ვერ ჩაითვლება".*

რაც შეეხება "მილანის" საჩემპიონთალიგო შანსებს: *"ჩვენ გვჯერა, რომ ოთხეულში მოვხვდებით და ეს არის ერთადერთი მიზანი, რაც ამ მომენტში გვამოძრავებს. შეიძლება, ყველა თამაში მოვიგოთ, მაგრამ ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მაინც ვერ გავიდეთ. რა თქმა უნდა, მხედველობაშია მისაღები "ფიორენტინას" ფაქტორიც. მას ჩვენზე უკეთესი შანსი აქვს. სამაგიეროდ, კაკა და ინძაგი უკვე კარგ ფორმაში არიან და პატოც დაბრუნდა. მოკლედ, ოპტიმიზმს არ ვკარგავთ. გუნდი მოტივირებულია".*

**გიორგი გელაშვილი**



რონალდინიოს ტრანსფერი ფერხდება

THE SUN. ინგლისური გამოცემა ხმაურიანი გარიგების თაობაზე

# მოურინიო ინტერში ინიშნება

## ჟოზეს იტალიაში დროგბა და ლემპარდიც მიჰყავსო



**როდის დაბრუნდება ჟოზე მოურინიო? დღე ისე არ გავა, ევროპის სპორტულმა მედიამ ამ თემაზე ახალ-ახალი ინფორმაცია არ გამოაცხოს. პოპულარული ინგლისური ტაბლოიდი "სანი" სანდო წყაროებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ მოურინიომ "ინტერთან" კონტრაქტი შეათანხმა...**

ბოლო ხანებში, "განსაკუთრებული კაცი" მილანურ გრანდთან რამდენჯერმე დააკავშირეს. სპეკულაციები მას შემდეგ გამძაფრდა, როცა **რობერტო მანჩინიმ** "ინტერიდან" წასვლის თაობაზე განაცხადა. მართალია, "მანჩომ" მერე გადაიფიქრა, მაგრამ, როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამტკიცებს, ეს მხოლოდ ფანდი იყო, რათა "ინტერში" საქმე არ არეულიყო. ამბობენ, **მასიმო მორატიმ** პირადად სთხოვა მწვრთნელს, სიტუაცია არ დაეძაბა და ძველებური შემართებით ემუშავა. თუმცა ისიც ცნობილია, რომ პრეზიდენტი მისით უკმაყოფილოა. ალბათ, "ინტერი" წელს ზედიზედ მესამედ (თუ "იუვენტუსისთვის" ჩამორთმეულსაც მივათვლით) მოიგებს სკუდეტოს, მაგრამ მორატისთვის ეს საკმარისი არ არის. გუნდი პერმანენტულად ვერ აღწევს წარმატებებს ევროსარბიელზე და ნავთობის მაგნატ ბოსს სწორედ ეს უკლავს გულს. ამიტომ, მოხდა გარიგება: მანჩინი იტყოდა, რომ "ინტერში" რჩება, ხოლო სეზონის ბოლოს გაყრა მაინც მოხდებოდა, ოღონდ ყოველგვარი ხმაურის გარეშე...

მაშინვე ითქვა, რომ მორატი სასწრაფოდ დაუკავშირდა **ჟოზე მოურინიოს** და სამსახური შესთავაზა. პარალელურად, ჟოზე აკეთებს განცხადებას იმის თაობაზე, რომ სერია A-ში სიამოვნებით იმუშავებდა. მერე დაიწერა პორტუგალიელი სპეციალისტის აგენტ **ჟოზე მენდეშისა** და უშუალოდ მორატის შეხვედრის თაობაზეც. როგორც ამბობენ, პაემანი პარიზში შემდგარა. ცხადია, მხარეებმა ეს კატეგორიულად უარყვეს. ისე კი, საგულისხმო იყო მენდეშის სიტყვები - ჩემი კლიენტი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და რა გასაკვირია, თუკი მისი სამსახურით "ინტერიც" დაინტერესდებოდაო. მაგრამ ეს თავად მოურინიოს პრინციპებს არ ესადაგება. მას არაერთხელ უთქვამს - არ წამოვიწყებ მოლაპარაკებას იმ კლუბთან, რომელსაც კონკრეტულ მომენტში მწვრთნელი ჰყავს, რადგან არ მინდა, ვინმემ იფიქროს, რომ ჩემს კოლეგას სამუშაოს ვართმევო...

გუშინ, სააგენტო "გოლმა" ჟოზეს ახალი კომენტარი გაავრცელა. ის ახლა მშობლიურ სეტუბალშია და ოჯახური იდილიით ტკბება. მას "თაიმსის" ჟურნალისტი ესაუბრა: *"ამდენი წელია, აქ არ ვყოფილვარ, მომენატრა ჩემი ქალაქი, ოჯახთან ერთად ყოფნა, მეგობრები... მომეცა დრო, გამეკეთებინა ის, რასაც მწვრთნელად მუშაობის დროს ვერ ვახერხებდი. მაგრამ უკვე საკმარისია, კარგად დავისვენე და დროა, საქმეს დავუბრუნდე. ჯერჯერობით, კონტრაქტი არავისთან გამიფორმებია, თუმცა მოტივაცია ძველებური მაქვს. რაც შეეხება შეთავაზებებს, არ დაგიმალავთ და, ისინი საკმაოდაა. ამ თვეში განსაკუთრებით ბევრი წინადადება მივიღე, მაგრამ როგორც გითხარით, გადაწყვეტილი ჯერ არაფერია. არის რამდენიმე კარგი კლუბი, კარგი ქვეყანა... მაგრამ ვამჯობინებ, მომავალი სეზონის დაწყებას დაველოდო. ჩემთვის ასე უკეთესია".*

აი, რა თქვა მოურინიომ 6 მარტს, "გაძეტა დელო სპორტთან" ინტერვიუში: *"მორატი ერთ-ერთი იმ პერსონათაგანია, რომელსაც უდიდეს პატივს ვცემ. მას ძალიან უყვარს ფეხბურთი და თავისი კლუბი, მაგრამ მას არასოდეს შევხვედრივარ".* ამავე დროს, ცნობილია თავად მორატის დამოკიდებულებაც მოურინიოს მიმართ. მას არაერთხელ უთქვამს, რომ თანამედროვე ფეხბურთში ჟოზე ერთ-ერთი საუკეთესო ტაქტიკოსია. მორატის ინტერვიუ "კორიერე დელო სპორტთან", რომელიც მოურინიოს გადადგომის შემდეგ გამოქვეყნდა. მაშინაც, პორტუგალიელი მყისვე "ინტერს" დაუკავშირეს: *"მოურინიოს წასვლამ ფრიად გამაკვირვა. დღესდღეობით, ის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია, განსაკუთრებით, ტაქტიკური თვალსაზრისით, თან ახალგაზრდაა... მაგრამ, რაც შეეხება "ინტერში" მის მოსვლას, ამაზე საუბარი ზედმეტია. ჩვენ გვყავს ძალიან კარგი მწვრთნელი, რომელსაც ჩამოყალიბებული ხედვა და მიზნები აქვს. ასე რომ, მისამართი არასწორად შეარჩიეთ".*



მაგრამ ეს იყო გასული წლის შემოდგომაზე. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. "ნერაძური" ჩემპიონთა ლიგაში კიდევ ერთხელ ჩაფლავდა. ამდენად, მორატის საკმარისი საფუძველი აქვს საიმისოდ, რომ მოურინიოსთან საქმიანი ურთიერთობა დაამყაროს და გაალრმავოს...

დავუბრუნდეთ გუშინდელ მასალას. "სანის" ინფორმაციის ნაწილი უკვე გაგაცანით. ახლა ისიც ვთქვათ, რომ მოურინიომ, თურმე, საკუთარი პირობებიც წამოაყენა. ის **დიდიე დროგბასა** და **ფრენკ ლემპარდის** ტრანსფერებს ითხოვს. "ინტერს" ეს ოპერაცია 35 მილიონი გირვანქა დაუჯდება. ორივე მათგანს ჟოზესთან თბილი ურთიერთობა ჰქონდა. მწვრთნელის თქმით, ლემპარდი საუკეთესო პროფესიონალია მათ შორის, ვისთანაც ოდესმე უმუშავია. **ავრაამ გრანტი** და ლემპარდი კი უბრად არიან. მათ შორის ურთიერთობა თებერვალში, "ტოტენჰემთან" ლიგის თასის ფინალის წინ დაიძაბა. მაგრამ ეს არ არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ 29 წლის ნახევარმცველი "ჩელსისთან" ახალი კონტრაქტის გაფორმებისგან თავს იკავებს. ხელშეკრულების გაგრძელებაზე მოლაპარაკებები ჩიხში ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს შევიდა. ლემპარდს სხვა ქვეყანაში უნდა თამაში. ერთი ხანობა, საუბარი იყო იმაზეც, თითქოს ის თავის ძველ ნაცნობ **კლაუდიო რანიერის** "იუვენტუსში" გაჰყვებოდა, მაგრამ ამ თემამ აქტუალობა დაკარგა. ახლა "ინტერი"...

რაც შეეხება დროგბას. "ჩელსიში" ის 2004 წელს, უშუალოდ მოურინიოს ინიციატივით გადავიდა "მარსელიდან", რომელმაც ამ ოპერაციაში 24 მილიონი გირვანქა მიიღო. ჟოზეს ხელში ის აბსოლუტურად გარდაიქმნა და სუპერკლასის ფორვარდად იქცა. დროგბამ ძლიერ განიცადა მწვრთნელთან განშორება. ის ერთადერთი იყო "არისტოკრატთაგან", ვინც მოურინიოს განცხადების შემდეგ ცრემლები ღვარა და ესეც კი თქვა - მამა დავკარგეო. სწორედ ამის შემდეგ, კოტდივუარელმა საჯაროდ განაცხადა - სეზონის ბოლოს "ჩელსიდან" მივდივარო. 30 წლის თავდამსხმელს ცუდი სეზონი აქვს, რასაც ექსპერტები ლონდონელთა დღევანდელ დამრიგებელს აბრალებენ. დეკემბრის შემდეგ დიდიეს მხოლოდ 4 გოლი აქვს გატანილი, აქედან, ორი "არსენალთან" საჩემპიონატო მატჩში, რომელიც ამ სეზონში მისთვის გამორჩეული იყო. დროგბა რომ "ინტერში" შეიძლებოდა გადასულიყო, ამაზეც კარგა ხნით ადრე დაიწყო სპეკულაცია, მაგრამ დღეს, როცა ის მოურინიოსა და ლემპარდთან ერთად ახსენეს, ამბავმა უფრო მეტი დამაჯერებლობა შეიძინა.

**გიორგი გელაშვილი**



ბარსელონა

# ეტოო იმუქრება

**სამუელ ეტოო** ხმაურიანი და სკანდალური განცხადებებით არაერთხელ წარმდგარა საზოგადოების წინაშე. კარგად გემახსოვრებათ, გასულ წელს მას **რონალდინიოსთან** სერიოზული უთანხმოება შეემთხვა. ამ ამბავს მიმომხილველებმა სკანდალის კვალიფიკაცია მისცეს. სხვათა შორის, დაპირისპირებამ საკმაოდ დიდხანს გასტანა. ბოლოს ეტოო მიხვდა, რომ გაუჩოსთან ჩხუბი საერთო საქმეს აზარალებდა და ბრაზილიელ ფეხბურთელს შეურიგდა. ესპანური ფეხბურთის მოყვარულებს ის ფოტო კარგად ემახსოვრებათ, რომელშიც სამუელ ეტოოსა და რონალდინიოს შერიგება იყო ასახული. რა თქმა უნდა, ეს შემთხვევა ერთადერთი გამონაკლისი არ გახლდათ. კამერუნელი ფორვარდის ხმამაღალ განცხადებებს დაძაბულობა არაერთხელ გამოუწვევია. ზოგადად, ფეხბურთელები ხმაურიან პრესკონფერენციებსა და ინტერვიუებს თავს არიდებენ და ამ გზით სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობენ. სამუ კონფორმისტი არასოდეს ყოფილა. ის მის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად პირდაპირობასა და გულწრფელობას მიიჩნევს. აფრიკელს არაერთხელ უთქვამს, ყოველთვის იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ და ამაში ხელს ვერავინ შემიშლისო. ყოფილა შემთხვევები, როცა ეტოოს დირექტორატის მაღალჩინოსნებისა და თვით პრეზიდენტის წინაალმდეგაც გაულაშქრია. ხშირად ის კომპეტენციასაც აჭარბებდა და ისეთ საქმეებში ერეოდა, რომლებიც ფეხბურთელების განსახილველი ნამდვილად არ გახლდათ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, წელი ისე არ ჩაივლის, რომ სამუელმა პირდაპირობითა და მოურიდებელი განცხადებებით აჟიოტაჟი არ გამოიწვიოს. ასე მოხდა ამჯერადაც. ეტოო კატალონიის ტელევიზიაში მიიწვიეს და საკმაოდ უცნაური ინტერვიუ ჩამოართვეს. "ბარსას" ფორვარდს კითხვებს კატალონიური გრანდის საყმაწვილო სკოლის აღსაზრდელი უსვამდა. 12 წლის ბავშვმა არც აცია, არც აცხელა და ვარსკვლავს ასეთი რამ ჰკითხა: *"დაზუსტებით ვიცი, რომ "ბარსელონიდან" წასვლას აპირებთ. მაინტერესებს, კარიერას რომელ კლუბში გააგრძელებთ."* ეტოოს ბავშვურ პირდაპირობაზე გაეცინა, მაგრამ ყმაწვილს აბსოლუტურად სერიოზულად უპასუხა: *"არ ვიცი, ეს ინფორმაცია საიდან გაქვთ, მაგრამ ბოლო დროს "ბარსელონის" დატოვებაზე არაერთხელ დავფიქრებულვარ. მე სულით ხორცამდე პროფესიონალი ვარ. ფეხბურთის თამაში მხოლოდ ფულის გასაკეთებლად არ შემიძლია. თუ ტიტულებს ვერ ვიგებ, საშინელ დისკომფორტს ვგრძნობ. მართალია, "ბარსელონაში" არაერთი პრესტიჟული ჯილდო მომიპოვებია, მაგრამ ბოლო 2 წელიწადია, აბსოლუტურად ხელმოცარული ვარ. ეს კი ჩემთვის ძალიან უსიამოვნოა. ახლა აბსოლუტურად სერიოზულად ვიტყვი, იმ შემთხვევაში, თუ "ბარსელონა" ტიტულების მოპოვებას მომავალ სეზონშიც ვერ შეძლებს, გუნდს დავტოვებ და კარიერას სხვაგან გავაგრძელებ."*

ყმაწვილს სწორედ ის აინტერესებდა, თუ რომელ კლუბს აირჩევს ეტოო. სამუელს ამ ეტაპზე გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, მიღებული არ აქვს, მაგრამ ის კი იცის, რომ "ბარსელონის" დატოვების შემთხვევაში ესპანეთში აღარ დარჩება: *"ძალიან ბევრი მეგობარი მეუბნება, რომ "ბარსელონაში" ჩემი შესაძლებლობები თითქმის ბოლომდე ამოვწურე. ხშირად ვკამათობთ-ხოლმე, მაგრამ მათი არგუმენტები საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება. ყოველთვის იმას უსვამენ ხაზს, რომ წინა წლებში გუნდმა მრავალი ტიტული მოიპოვა და ახლა რეგრესის გზას ადგას. ამის აღიარება მტკივნეულია, მაგრამ იძულებული ვარ, ჩემს მეგობრებს დავეთანხმო. ბოლო დროს ხელმძღვანელობის მუშაობით ძალიან უკმაყოფილო ვარ. მეჩვენება, რომ სამოქმედო გეგმა გაწერილი არ არის. ბევრი რამ სპონტანურად ხდება. ასეთი მუშაობა კი შედეგს არ მოიტანს. მიუხედავად ყველაფრისა, წასვლას არ ვიჩქარებ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ მომავალ წელსაც ტიტულების გარეშე თუ დავრჩები, "კამპ ნოუს" დავტოვებ. მოკლედ, ყველაფერი მომავალ სეზონზე იქნება დამოკიდებული. მე მგონი, სწორად ვმოქმედებ. აჩქარება არ ღირს. ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ "ბარსელონიდან" წასვლის შემთხვევაში ესპანეთსაც დავტოვებ. სავარაუდოდ, პრემიერლიგაში ვცდი ბედს. ძალიან ბევრი შემოთავაზება მაქვს. იმედია, ჩემი გადაბირების სურვილი ერთი წლის შემდეგაც ექნებათ."*

ეტოოს განცხადების ყველაზე სკანდალური პუნქტი, რა თქმა უნდა, ხელმძღვანელობის მუშაობასთან დაკავშირებულ პრობლემებს შეეხებოდა. ესპანელმა ჟურნალისტებმა კომენტარის გაკეთება **ჩიკი ბეგირისტაინს** სთხოვეს. გენერალურმა დირექტორმა პრესკონფერენციის გამართვა არ ისურვა, თუმცა მასმედიელებს მოკლედ უპასუხა, წარმოდგენა არ მაქვს, ეტოოს რა არ მოსწონს, თუმცა არც არაფერი მიკვირს, მას ხომ ძალიან მძიმე ხასიათი აქვსო.

**ილია ნიკოლაიშვილი**



სამუელ ეტოო ჭირვეულობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორხე ვალდანო

# საფეხბურთო ისტორიები



გაგრძელება. დასაწყისი №41

## პირველი დანაკარგი

მადრიდის "რეალი" ჩემპიონთა თასის მორიგ გათამაშებაში ჩაება და მიუნხენის "ბაიერნთან" (1:4, 1:0) ნახევარფინალი წააგო. ისევ გახდა ესპანეთის ჩემპიონი, "ბაიერნს" რევანში აუღო (2:3, 2:0) და ისევ ფინალამდე ერთი ნაბიჯით ადრე, გზა "ეინდჰოვენმა" გადაუღობა (1:1 "ბერნაბეუზე" და 0:0). რა ხდება? ჩვენ ევროპაში დავბრუნდით, ფეხბურთელები კი, ესპანეთს მაინც ვერ გასცდნენ. მათ იმაში ადანაშაულებდნენ, რომ წაგება არ იცოდნენ. და ეს მართალი იყო: ზოგიერთებს ეროვნულ ჩემპიონატში მოგებები, დამარცხების სწორად აღქმაში უშლიდა ხელს. პრობლემა იმაშია, რომ ფეხბურთში წაგებას წაგების დახმარებით სწავლობენ, ეს თაობა კი, რომელიც ტრიუმფისთვის იყო დაბადებული, ვერ ახერხებდა საკუთარი სიამაყის დაძლევას. პრესას, რომელსაც ცოტა ხნის წინ, ცაში აჰყავდა ბუტრეს ხუთეული, იმავე შემართებით მას მიწასთან ასწორებდა.

ხუთეული დაპატარავდა. **პარდესა**, საკმაოდ მაღალი კატეგორიის თავდამსხმელი, მიხვდა, რომ ბუტრაგენიოს კონკურენტი იყო, რომელსაც ძირითად შემადგენლობაში მუდმივი საშვი ჰქონდა და ამიტომაც "სარაგოსაში" გადაბარგდა. უნდა აერჩია: საპატიო, მილიონიან სკამზე ჯდომა თუ საუკეთესოს სახელი, ოღონდ სხვა გუნდში. ის ცუდი ბურჟუასავით მოიქცა, და ეს, ჩემი აზრით, მის ღირსებაზე მეტყველებს.

**რამონ მენდოსა**, რომელიც ყოველთვის იქითკენ ისწრაფვოდა, რომ ასაკი არ დატყობოდა, ახალგაზრდა ფეხბურთელების ახალ ტალღას "შეეკრა". ბევრის აზრით, ეს დადებითი მომენტი იყო, მაგრამ შემადგენლობის მკვეთრმა გაახალგაზრდავებამ მემკვიდრეობის პრინციპი დაარღვია. ვეტერანები - **კამაჩო, სანტილიანა, ხუანიტო, შტილიკე** და მე, ახალმოსულებს დახმარებას ვუწევდით და მათთვის მაგალითად ვრჩებოდით. ჩვენთან **შუსტერიც** მოვიდა, კიდევ გარკვეული ხანი გუნდში დარჩნენ **უგო სანჩესი** და **რიკარდო გალიეგო**, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა გუნდი იყო.

"რეალი" ისევ გახდა ესპანეთის ჩემპიონი და კვლავ ვერ მიაღწია ევროპულ მწვერვალს. კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ ის სიმარტივე, რომლითაც ჩემპიონატს და შემდეგ სამეფო თასს იგებდა, უმაღლესი კატეგორიის სირთულის თამაშებში კონცენტრირების საშუალებას არ იძლეოდა. იმ დღეების ისტორია ერთმანეთის მიმართ იატაკქვეშა ინტრიგებითაც იყო სავსე. მოკლედ, ძალიან ძლიერი ქარი გვიბერავდა პირდაპირ სახეში.

ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა, სანამ **არიგო საკის** "მილანმა" ციკლონივით არ გადაუარა ყველას. "ბერნაბეუზე" "რეალმა" გაძლო - 1:1, მაგრამ "სან სიროზე" "მილანმა" მადრიდელებისგან ქვა ქვაზე არ დატოვა. გუნდის სათავეში **ჯონ ტოშაკი** მოვიდა, ფიცხი მწვრთნელი, მაგრამ ჩემპიონთა თასის პრობლემამ ქრონიკული ხასიათი მიიღო.

იმ პერიოდში, ხუთეულისგან სამეული დარჩა. **მარტინ ვასკესი** და მენდოსა ხასიათებით ვერ შეეწყვნენ ერთმანეთს. იტალიური "ტორინო" ლიდერს ეძებდა და ამ როლში მარტინ ვაკესს მოაზრებდა. იტალიელებს შეეშალათ: ის კარგი შვილი იყო, მაგრამ მამის როლში არ გამოდგებოდა. და მაინც, ტრანსფერი შედგა, ხოლო ვასკესის ადგილზე **ჰაჯი** მოვიდა.

მიუხედავად ყველაფრისა, 1990 წელს, იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე ხუთეული სრული შემადგენლობით ჩავიდა. პლუს კიდევ 17 ფეხბურთელი. მუნდიალმა ყველა ესპანელს დიდი იმედგაცრუება მოუტანა, წარმოაჩინა გლობალური უწესრიგობა ხელმძღვანელებთან, მწვრთნელთა კორპუსთან და ჩვენს გმირებთან მიმართებაში. ესპანეთის ნაკრებმა არ უღალატა თავის მრავალწლიან ისტორიას და მერვედფინალში წაგების შემდეგ დაბრუნდა შინ. წააგო იუგოსლავიასთან, დამატებით დროში გაშვებული ერთი ბურთის სხვაობით.

ამ ატმოსფეროში, მომდევნო სეზონი (1990-91) "რეალისთვის" კატასტროფული გამოდგა: არ იყო ტრიუმფი ესპანეთში და მესამედ "მილანი" აღარ დასჭირვებია იმას, რომ ჩემპიონთა თასისთვის ბრძოლას ჩამოშორებოდა. ამისთვის საკმარისი აღმოჩნდა მეოთხედფინალში მოსკოვის "სპარტაკთან" შეხვედრა. წავიდა ტოშაკი, დაბრუნდა **დი სტეფანო**, მაგრამ ცოტა ხნით. *"მინდოდა თქვენთვის ხელი გამომეწოდა, მაგრამ ფეხები გავჭიმე"*, - უთხრა მოთამაშეებს გამომშვიდობებისას. მოვიდა **ანტიჩი**; წავიდა და მოვიდა მენდოსა (არჩევნების გზით).

## გულჩვილი მიჩელი

"რეალში" ჩაირიცხა ბრაზილიელი **როშა**, ასაკოვანი ნახევარმცველი, რომელმაც კლასის ხარჯზე ამოავსო ის ნაპრალები, რასაც **რუჯერი** და **სპასიჩი** ვერ უმკლავდებოდნენ და მოედნის ცენტრი დაიპყრო. კონტრაქტი გააფორმა **რობერტ პროსინეჩკიმ**. ძალიან ახალგაზრდა იმისთვის, რომ თავის თავზე აიღოს თამაში, მაგრამ "თავხედი" თავისი მოვალეობების შესრულებისას.

ნაკრებსაც საამაყო არაფერი ჰქონდა. ვერ მოხვდა შვედეთში ევროპის ჩემპიონატზე და ამის გამო, უმკაცრესი კრიტიკა დაიმსახურა. არავინ ახსენებდა მოწინააღმდეგეების ღირსებებს, დამნაშავეს ყველა საკუთარ სახლში ეძებდა. ბუნებრივია, ესენი იყვნენ **მიჩელი, სანჩისი**, მარტინ ვასკესი, **ბუტრაგენიო**. ჩემი ვარაუდით, ამ არეულობებიდან ისინი უფრო მობილიზებულები გამოვიდოდნენ, მაგრამ არსებობს ისეთი რაღაცები, რაც მე არ ვიცი. არ ვიცი, მაგალითად, ამ წარუმატებლობების შემდეგ, მათ ისევე სჯეროდათ თუ არა საკუთარი თავისა და ჰქონდათ თუ არა შენარჩუნებული ბრძოლის ჟინი.

ბუტრეს ხუთეული ("რეალში" სამამდე შემცირებული) - ეს ხომ საფეხბურთო გაერთიანება იყო და არა სულიერი ერთობა. სულიერი განწყობა თითოეულს სხვადასხვანაირი აქვს. მაგალითად, სანჩისი "სანტიაგო ბერნაბეუზე" ისე გადიოდა, თითქოს პარკში თამაშს აპირებდა. ჰყვებოდნენ, რომ ერთხელ, სადილის შემდეგ ძილიდან დაბრუნებულმა, ვერაფრით გაიხსენა, თუ რომელ გუნდთან უწევდა იმ საღამოს თამაში. სხვათა შორის, იმ დღეს "რეალი" "ბარსელონას" ეთამაშებოდა. როგორც ჩანს, ეს მას ნაკლებად ანაღვლებდა.

ბუტრაგენიოს დიდი ხანია ვიცნობ და სხვებზე უკეთაც. მასთან ერთად შეკრებებზე ოთახს ვიყოფდი. უმნიშვნელოვანესი მატჩების წინა ღამეს, ვერაფრით ვახერხებდი დაძინებას, მე, 28 წლის გამოცდილი ფეხბურთელი. მას კი, 20 წლისას, მკვდარივით ეძინა. პუბლიკა ბუტრეს აღმერთებდა. ეს კი, ფეხბურთელზე ყოველთვის დამამშვიდებლად მოქმედებს, რადგან გულშემატკივარი შეცდომის დაშვების უფლებას გაძლევს.

ხოლო ის, ვინც პირველი ნახვისთანავე აითვალწუნეს მადრიდელმა გულშემატკივრებმა, მიჩელი გახლდათ. ძალიან განიცდიდა, ცდილობდა ყველა მატჩში მაქსიმალურად დახარჯულიყო, მაგრამ ამით უფრო ბოჭავდა საკუთარ თავს. მე მას ვეუბნებოდი, რომ გულთან ახლოს არ მიეტანა ტრიბუნებიდან წამოსული სტვენა. მაგრამ ვის შეუძლია იგნორირება გაუკეთოს მაყურებლების რეაქციას, თუ ჩვენ მნიშვნელოვანწილად მათთვის ვთამაშობთ?! ერთ თამაშში, მათ მთელი თავიანთი შეუბრალებლობა ჩემი მისამართით მომართეს, და მაშინ მიჩელი მომიახლოვდა და მკითხა: *"რა არ მოსწონთ?"* ის შიშს იუმორით პასუხობდა და თუ სხვებზე მეტად განიცდიდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ფეხბურთი სხვებზე მეტად უყვარდა.

როლების განაწილებისას, მიჩელს ყოველთვის უარყოფითი გმირის როლი ჰქონდა გარანტირებული. და ეს მას ყოველთვის ხელს უშლიდა. იქამდეც კი მივიდა საქმე, რომ ყველაფერი მობეზრდა და ფეხბურთის დატოვება გადაწყვიტა. მაგრამ დაბრუნდა. ბრწყინვალე არგენტინელმა მწერალმა **ხულიო კორტასარმა** თქვა: *"როცა ვიღაც ამბობს, რომ წასვლას აპირებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ის უკვე წავიდა"*.

**გია თვალაბეიშვილი**

გაგრძელება იქნება

ბაიერნი

# TI AMO, LUCA!

## 35 გოლი 41 თამაშში, გერდ მიულერის მერე ასეთი შედეგიანი არავინ ყოფილა

"ბაიერნის" გულშემატკივრები თავიდანვე დარწმუნებულები იყვნენ იმაში, რომ **ლუკა ტონი** რეკორდმაისტერს იდეალურად მოერგებოდა. მაგრამ იმას, რაც მსოფლიოს ჩემპიონმა პირველსავე სეზონში შეძლო, მაინც არავინ ელოდა. 30 წლის თავდამსხმელმა გასულ შაბათს, ზედიზედ მეოთხე დუბლით ბავარიულ გრანდს გერმანიის თასი მოაგებინა. თასის ფინალი 10.26 მილიონმა მაყურებელმა ნახა და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თუკი მათ შორის იყვნენ ისეთებიც, ვინც ტონის ბოლომდე არ აღიარებდა, "ბორუსიასთან" მატჩის შემდეგ აღარ არსებობს ფეხბურთის მოყვარული, რომელიც იტალიელ გოლეადორს არ აღიარებს.

მატჩის შემდეგ მიუნხენელებმა ტრადიციული ბანკეტი გამართეს, სადაც ტონის გვერდს მისი ულამაზესი მეგობარი გოგონა, 29 წლის **მარტა ჩეკეტო** უმშვენებდა. ტოპმოდელი შაბათს ბერლინში ჩაფრინდა, საყვარელი მამაკაცის მორიგი გოლები ცოცხლად ნახა და მოისმინა ის შეძახილები და სიმღერები, რაც "ბაიერნის" ქომაგებმა ლუკას უძღვნეს. მოგვიანებით მარტამ "ბილდის" კორესპონდენტს ასეთი რამ უთხრა: *"ვერ წარმოიდგენთ, როგორ ვამაყობ იმით, რომ გვერდით ასეთი შესანიშნავი მამაკაცი და იდეალური ფეხბურთელი მყავს."*

არადა, გაცნობისას მარტამ ისიც კი არ იცოდა, რომ ტონი ფეხბურთელი იყო. *"როდესაც ლუკა გავიცანი, სამხედრო სამსახურს იხდიდა. როცა შემიყვარდა, გაგონილიც კი არსად მქონდა, რომ ფეხბურთელი იყო,"* - თქვა მარტამ ბანკეტის შემდეგ.

ჰო, მაშინ ტონის არავინ იცნობდა, მაგრამ მერე მისგან იდეალური ფეხბურთელი დადგა. ლუკას ბალანსი ასეთია: გერმანიის თასზე 4 თამაშში 5 გოლი გაიტანა; ბუნდესლიგაში 27 შეხვედრაში 20-ჯერ იხეირა, ხოლო უეფას თასზე კი, 10 მატჩში 10 გოლი შეაგდო. ჯამში, რეკორდმაისტერის მაისურით ჩატარებულ 41 თამაშში ტონის 35 გოლი აქვს გატანილი!

ორი წლის წინათ ლუკა ბერლინში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ახლა კი გერმანიის დედაქალაქში პირველ საკლუბო ტიტულსაც დაეუფლა. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ტონის საკლუბო ტიტული აქამდე მოგებული არ ჰქონდა.

*"ასეთი უხვგოლიანი მხოლოდ გერდ მიულერი იყო. ჩვენ ტონი სწორედ ამიტომ ვიყიდეთ, სწორედ ამისათვის გადავდგით ეს ნაბიჯი და ბედნიერი ვარ, რომ პირველსავე სეზონში იმედები 200 პროცენტით გაამართლა. სიმართლე გითხრათ, ამას არ ველოდი,"* - ეს ბავარიელთა გენერალური მენეჯერის, **ული ჰიონესის** სიტყვებია. შეგახსენებთ, რომ გასულ ზაფხულს მიუნხენელებმა ფლორენციის "ფიორენტინას" ლუკას სანაცვლოდ 11 მილიონი ევრო გადაუხადეს.

მარტა და ლუკა ქორწილს ჯერ არ გეგმავენ. სამაგიეროდ, შვილი უნდათ! თუ ტენდენციას გავითვალისწინებთ, დიდი შანსია, რომ ტონიმ ერთი აქაც არ იკმაროს და პირველივე ჯერზე დუბლი ან სულაც ჰეთ-თრიკი გაახერხოს...

**გოტფრიდ ლენცი**




ლუკა ტონი

უკანასკნელ საათს

## ვალენსიამ კუმანი დაითხოვა

ცხადი იყო, რომ **რონალდ კუმანს** "ბილბაოსთან" გამანადგურებელ მარცხს (1:5) არ აპატიებდნენ. ამ წაგების შემდეგ, "ვალენსიას" გასავარდნ ზონასთან ორი ქულალა აშორებს. არადა, შუა კვირაში გუნდმა ესპანეთის სამეფო თასი მოიგო და საგაისოდ უეფას თასზე გამოსვლის უფლებაც მოიპოვა.

კუმანთან ერთად, პოსტები მისმა ასისტენტებმა - **ხოსე მარი ბაკერომ** და **ტონი ბრუინსმაც** დატოვეს. წმენდას შეეწირა კლუბის სპორტული დირექტორი **მიგელ ანხელ რუისიც**. სეზონის ბოლომდე გუნდს მისივე ყოფილი მოთამაშე **სალვადორ გონსალეს ვორო** უხელმძღვანელებს.

ჰოლანდიელმა სპეციალისტმა, რომელსაც კლუბის მთავარი აქციონერის **ხუან ბაუტისტა სოლერის** მხარდაჭერა ჰქონდა, რამდენიმე საკვანძო ფიგურა (**კანისარესი, ანგულო, ალბელდა**) შემადგენლობიდან მოკვეთა, რასაც გადაჰყვა კიდეც. აქვე გეტყვით, რომ კუმანის თავკაცობით "ვალენსიამ" 22 მატჩი ჩაატარა, რომელთაგან მხოლოდ 4 მოიგო და 6 ფრედ დაასრულა.

რაგბი. საქართველო-ესპანეთი. 26 აპრილი

# გორგოძე იქნება, შკინინი თუ თოდუა?

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ერთა თასის ბოლო შეხვედრისთვის მზადება დაიწყო. ესპანელების წინააღმდეგ ბორჯღალოსნები ეროვნულ სტადიონზე 15 საათზე ითამაშებენ, მანამდე კი ორჯერად ვარჯიშებს „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე გამართავენ.

ნაკრების გუშინ გამოცხადებულ შემადგენლობაში ერთი ცვლილებაა. გუნდს დაემატა „მონპელიეს“ მეორეხაზელი **მამუკა გორგოძე**. დღეს გაირკვევა უკანახაზელების **ალექსანდრე თოდუასა** და **გიორგი შკინინის** საკითხი. ორივე რუსეთიდან გამოყოლილ ტრავმებს იშუშებს და რომელიც მოასწრებს გამოჯანმრთელებას, ოცდამეორე ბორჯღალოსანიც ის იქნება.

**საქართველო**

15.ოთარ ბარკალაია, 14.ირაკლი ჩხიკვაძე, 13.დავით კაჭარავა, 12.რეზო გიგაური, 11.მალხაზ ურჯუკაშვილი, 10.ლაშა მალაღურაძე, 9.ირაკლი აბუსერიძე (კ); 1.დავით დადუნაშვილი, 2.ირაკლი ნატრიაშვილი, 3.დავით ქუბრიაშვილი, 4.გიორგი ნემსაძე, 5.მამუკა გორგოძე, 6.რატი ურუშაძე, 7.გიორგი ჩხაიძე, 8.დიმიტრი ბასილაია.

16.სიმონ მაისურაძე, 17.შოთა მელიქიძე, 18.კახა უჩავა, 19.ბესო უდესიანი; 20.ბიძინა სამხარაძე, 21.მერაბ კვირიკაშვილი, 22.ალექსანდრე თოდუა ან გიორგი შკინინი.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ფრენბურთი. საქართველოს ჩემპიონატი

# ჯიკოს რევანში

დიდ ჯიხაიშში საქართველოს ჩემპიონატის ფინალური სერიის მეორე შეხვედრა გაიმართა. სადაც ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონმა ადგილობრივმა „ჯიკომ“ პირველ მატჩში „თბილისთან“ განცდილი მარცხის გამო სრული რევანში აიღო 3:0 (25:13, 26:24, 25:17). გადამწყვეტი შეხვედრა, რომელიც ჩემპიონს გამოავლენს, დღეს ჯიხაიშშივე გაიმართება.

ამასობაში, უკვე ცნობილია საქართველოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი. ზედიზედ მეორე წელიწადი, მესამე ადგილზე „დუშეთის“ გუნდი გადის, რომელსაც „ბოლნისის“ დასამარცხებლად ასევე სამი მატჩი დასჭირდა.

ლეგიონერები

# კლერმონი ტულუზს ამარცხებს


ლაბაძე აჟენთან მატჩში

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის პირველ დივიზიონში, მე-18 ტურის შეხვედრებში, ცხადია, ყველაზე გამორჩეული, ლიდერების „ტულუზისა“ და „კლერმონის“ დაპირისპირება იყო. ქართველი მორაგბეების დავით ზირაქაშვილისა და გოდერძი შველიძის გუნდმა სტუმრად, ფრანგული რაგბის მექაში სეზონის საუკეთესო შეხვედრა გამართა და მეტოქე 23:11 დაამარცხა.

„კლერმონმა“ ამ გამარჯვებით „ტულუზთან“ ქულათა სხვაობა ხუთამდე გაზარდა და სატურნირო ცხრილს დამაჯერებლად ჩაუდგა სათავეში. ტულუზელების რბევაში აქტიური წვლილი შეიტანეს ქართველმა მორაგბეებმაც. ზირაქაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, შველიძე კი თამაშში 54-ე წუთიდან ჩაერთო.

კვლავ ინარჩუნებს პლეი ოფში მოხვედრის თეორიულ შანსს **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრი“, რომელმაც გასვლით შეხვედრაში სახლის გუნდად შერაცხული „ბურგუენი“ დაამარცხა 14:12. გიორგაძე განაცხადში არ იყო.

სტუმრად ვერას გახდა „ალბისთან“ **მამუკა გორგოძისა** და **დავით ქუბრიაშვილის** „მონპელიე“ 12:25. ორივე ქართველი მორაგბე ძირითად შემადგენლობაში იყო. გორგოძე მე-18 წუთზე მატჩის არბიტრმა 10 წუთით მოედნიდან გააძევა. მამუკა 52-ე წუთზე შეცვალეს. 6 წუთით ადრე კი მოედანი ქუბრიაშვილმაც დატოვა.

თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში არიან ქართველი მორაგბეების **მამუკა მაგრაქველიძისა** და **ირაკლი გიორგაძის** გუნდები „ოში“ და „დაქსი“. მეთვრამეტე ტურში ორივემ სტუმრად წააგო. გასკონელები ბასკეთში დამარცხდნენ „ბიარიცთან“ 3:26, „დაქსმა“ კი მშრალი ანგარიშით დათმო შეხვედრა **დავით ხინჩაგაშვილის** „ბრივთან“ 0:30. მაგრაქველიძე და გიორგაძე ტრავმირებულები არიან, ხინჩაგაშვილმა კი თავიდან ბოლომდე ითამაშა.

სტუმრად წააგო კატალონიაში „პერპინიანთან“ **ავთანდილ კოპალიანის** „ბაიონმა“ 13:38. კოპალიანმა თავიდან ბოლომდე ითამაშა.

**საფრანგეთი. I დივიზიონი. XVIII ტური.** ბურგუენი-კასტრი 12:14, ტულუზი-კლერმონი 11:23, ბიარიცი-ოში 26:3, პერპინიანი-ბაიონი 38:13, ბრივი-დაქსი 30:0, ალბი-მონპელიე 25:12, სტად ფრანსე-მონტობანი 25:18.

1.კლერმონი-71 ქულა, 2.ტულუზი-66, 3.სტად ფრანსე-57, 4.პერპინიანი-53, 5.ბიარიცი-52, 6.კასტრი-46, 7.მონტობანი-41, 8.მონპელიე-38, 9.ბურგუენი-36, 10.ბრივი-36, 11.ბაიონი-33, 12.ალბი-31, 13.დაქსი-22, 14.ოში-14.

მეორე დივიზიონიდან ელიტაში გადასასვლელად ქართველ მორაგბეთა მხოლოდ ორი გუნდი იბრძვის – **გია ლაბაძის** „ტულონი“ და **ირაკლი მაჩხანელის** „მონ დე მარსანი“. ლაბაძის ვარსკვლავურმა გუნდმა შინ მორიგი გამარჯვება მიითვალა **ანტონ ფეიქრიშვილის** „აჟენთან“ 32:25. ლაბაძემ 50-ე წუთზე ლელო გაიტანა, რაც მიმდინარე სეზონში მისთვის მეხუთეა. ფეიქრიშვილი ტრავმირებულია.

„მონ დე მარსანმა“ საკუთარ მოედანზე **იგორ ბარბაქაძის** „ტარბი“ დაამარცხა 22:20. მაჩხანელმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, ბარბაქაძე კი თამაშში 53-ე წუთიდან ჩაერთო.

შინ დამარცხდა „ლიონთან“ **გიორგი კუთარაშვილის** „ნარბონი“ 16:24. კუთარაშვილი 41-ე წუთზე შეცვალეს. აუტსაიდერ „ლიმოჟს“ იოლად გაუსწორდა საკუთარ მოედანზე **მალხაზ ურჯუკაშვილის** „ორიაკი“ 32:10. ურჯუკაშვილი განაცხადში არ იყო. შინ წააგო **ლევან ღვაბერიძის** „გრენობლთან“ **მერაბ კვირიკაშვილის** „პომ“ 18:24. ქართველ მორაგბეებს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ.

სტუმრად წააგო „ბეზიესთან“ **დავით აშვეთიას** „ოიონაქსმა“ 16:20. აშვეთიას არბიტრმა 37-ე წუთზე ყვითელი ბარათი უჩვენა და მოედანზე აღარ დაბრუნებულა.

**II დივიზიონი. XXIV ტური.** ნარბონი-ლიონი 16:24, ტულონი-აჟენი 32:25, ბეზიე-ოიონაქსი 20:16, პო-გრენობლი 18:24, მონ დე მარსანი-ტარბი 22:20, ბლანიაკი-ბორდო 13:19, ორიაკი-ლიმოჟი 32:10, მეტრო რასინგი-ლა როშელი 24:6.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1.ტულუზი-86 ქულა, 2.მონ დე მარსანი-79, 3.ბეზიე-73, 4.მეტრო რასინგი-70, 5.ლა როშელი-64, 6.ლიონი-61, 7.აჟენი-59, 8.გრენობლი-59, 9.ორიაკი-57, 10.პო-54, 11.ოიონაქსი-50, 12.ნარბონი-49, 13.ბორდო-43, 14.ტარბი-31, 15.ბლანიაკი-26, 16.ლიმოჟი-26.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჭადრაკი. ევროპის ჩემპიონატი

# არცთუ სასიამოვნო დასაწყისი

PLOVDIV '08

პლოვდივში დაწყებულ საჭადრაკო ფორუმზე პირველ ტურში 23 კაცით წარდგენილ ქართულ დელეგაციას მეტნაკლები წარმატება ხვდა წილად. შეგახსენებთ, ვაჟთა შორის 11 ჩვენებურია, ქალებში კი - 12. წარმატების მეტი შანსი ალბათ მაინც ქალებში გვაქვს, მაგრამ არც ჩვენი ვაჟების შესაძლებლობები გვაეჭვებს. პირველ ტურში ლიდერებმა, ძირითადად, გაგვიმართლეს, მაგრამ სწორედ იქ გავენბილდით უპირველესად, ვისიც ყველაზე მეტად გვჯეროდა: **ლელა ჯავახიშვილმა**, რომელიც ქართველებში უმაღლესი რეიტინგის მფლობელია (2466) და ტურნირზე მეთერთმეტე ნომრადაა განთესილი, მოულოდნელად წააგო რუმინელ **იულია-იონელა იონიცასთან** (2278). ლელა შავებით იყო და მთლად ზუსტად ვერ დაიწყო პარტია, თუმცა ალბათ კლასის ხარჯზე უნდა მოეხდინა მდგომარეობის გამოსწორება, მან კი პირიქით - უპატიებელი შეცდომა დაუშვა - ორსვლიანი შამათის მუქარა გამორჩა და დამარცხდა.

ასევე დაგვწყვიტა გული **ნაზი პაიკიძემაც**, რომელიც ასაკით პატარაა - 15 წლის, მაგრამ მაღალი რეიტინგი აქვს (2347) და გამოცდილებაც საკმაოდ დააგროვა. მეტოქე უკრაინელი **ელენა ჩერედნიჩენკო** იყო (2155). უკრაინელმა უკეთ წარმართა პარტია და იმარჯვა.

ქალთა შესახებ თუ გავაგრძელებთ საუბარს, სხვა გულდასაწყვეტი ნაკლებად გვაქვს: ფავორიტებმა მოიგეს, სადაც მეტოქე ითვლებოდა ფავორიტად, იქ დავმარცხდით; თუმცა **მარიამ დანელიამ** (2129) მასზე 210 პუნქტით მეტ ბულგარელ **მარგარიტა ვოისკას** (2339) თეთრებით არაფერი დაუთმო და ყაიმს გამორჩა.

პირველ ტურში გაიმარჯვეს **მიხეილ მჭედლიშვილმა** და **ლევან ფანცულაიამ**. მიშამ თეთრებით რუსი **ვასილი პაპინი** (2483) დაამარცხა. პარტია პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა და საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. ორმხრივ შეტევებში ქართველი უფრო ზუსტი აღმოჩნდა.

ფანცულაიას პარტიის გადმოცემა გუშინ ვებგვერდზე არ ხდებოდა - მხოლოდ პირველ 36 დაფაზე იყო შესაძლებელი პარტიის ჩვენება. მეორე ტურიდან ალბათ მჭედლიშვილისა და ფანცულაიას თამაშის ხილვა პირდაპირ ეთერში შეგვეძლება. აქვე დავძენთ, რომ ქალებში მხოლოდ პირველი თორმეტი დაფიდან მიმდინარეობს რეპორტაჟები.

ცოცხლად **მალხაზ სულაშვილის** შეხვედრის ხილვაც შეგვეძლო, რომელიც უკრაინელ **ევგენი მიროშნიჩენკოს** (2642) ხვდებოდა; პირდაპირი ეთერიც უკრაინელის მაღალმა რეიტინგმა განაპირობა. მეტოქე ფავორიტი კი იყო, მაგრამ სულაშვილმა კარგად გაითამაშა დებიუტი და თუმცა შუა თამაშში ინიციატივა ვერ გაზარდა და პაიკიც დათმო, ისეთი ენდშპილი დადგა, სადაც დამარცხება ალბათ უნდა გამორიცხულიყო: ქართველს თეთრი კუ და 5 პაიკი, უკრაინელს კი მხედარი და ექვსი პაიკი, მაგრამ მალხაზმა გაუმართლებლად გაცვალა კუ მხედარში და პაიკთა ენდშპილში დამარცხდა.

ქართველთაგან მოსაწონი შედეგი **დავით მალალაშვილმა** (2462) და **გიორგი მარგველაშვილმა** (2455) აჩვენეს: დავითმა 2628 რეიტინგიან რუმინელ **ანდრეი ისტრატესკუსთან** გაიყო ქულა, გიორგიმ კი 2625-იან პოლონელ დიდოსტატს, **რადოსლავ ვოიტაჩეკს** აართვა ნახევარი ქულა; ჩვენებურები თეთრებით კი იყვნენ, მაგრამ მეტოქეთა სიძლიერე ნამდვილად გასათვალისწინებელია. პირველმა 2 ტურში, საერთო ქართული მონაგარი ამგვარია: 9 გამარჯვება, 3 ყაიმი და 11 წაგება. კარგი დასაწყისი არ არის, მაგრამ უარესიც შეიძლებოდა. უკეთესის იმედი დავიტოვოთ, თუმცა, რაც დრო გავა, ქულათა მოპოვება უფრო გაჭირდება და ჩვენთვის საერთო "გუნდური" მონაგარის ნაცვლად წინ ინდივიდუალური შედეგები წამოიწევენ....

**ზვიად შათირიშვილი**

**პირველი ტური**

| ვაჟები | |
|---|---|
| მიხეილ მჭედლიშვილი (2635)-ვასილი პაპინი (რუს. 2483) | 1:0 |
| მალხაზ სულაშვილი (2511)-ევგენი მიროშნიჩენკო (უკრ. 2642) | 0:1 |
| პაველ ტრეგუბოვი (რუს. 2629)-დავით ჯოჯუა (2463) | 1:0 |
| დავით მალალაშვილი (24620-ანდრეი ისტრატესკუ (რუმ. 2628) | 0.5:0.5 |
| თორნიკე სანიკიძე (2458)-მაქსიმ როდშტეინი (2626 ისრ.) | 0:1 |
| გედიმინას სარაკაუსკასი (2449. ლიტ.)-ლევან ფანცულაია (2617) | 0:1 |
| იური კუზუბოვი (უკრ. 2603)-ბაჩანა მორჩიაშვილი (2421) | 1:0 |
| სტელიოს ჰალკიასი (საბ. 2584)-დავით ლომსაძე (2394) | 1:0 |
| პანტელეიმონ ცუგონაკისი (საბ. 1900)-კონსტანტინე შანავა (2518) | 0:1 |
| ივერი ჭიღლაძე (2384)-ჰანეს სტეფანსონი (ისლ. 2583) | 0.5:0.5 |
| გიორგი მარგველაშვილი (2455)-რადოსლავ ვოიტაჩეკი (პოლ. 2625) | 0.5:0.5 |

| ქალები | |
|---|---|
| იულია-იონელა იონიცა (რუმ. 2278)-ლელა ჯავახიშვილი (2466) | 1:0 |
| ნანა ძაგნიძე (2443)-მარლის ბენსდორფი (ჰოლ. 2268) | 1:0 |
| სოფიკო ნიკოლაძე (2249)-სილდონია ვაიდა (2413, უნგრ.) | 0:1 |
| სალომე მელია (2413)-მელანი ომე (გერ. 2248) | 1:0 |
| მაია ლომინეიშვილი (2400)-ნატალია პოპოვა (ბელ. 2239) | 1:0 |
| ალექსანდრა სტირი (საბ. 2193)-სოფიკო ხუხაშვილი (2371) | 0:1 |
| ანა გვავაშელი (2191)-ოლგა ზიმინა (იტ. 2363) | 0.5:0.5 |
| სოფიო გვეტაძე (2350)-კუბრა ოზთურქი (თურ. 2169) | 1:0 |
| ელენა ჩერედნიჩენკო (უკრ. 2155)-ნაზი პაიკიძე (2347) | 1:0 |
| კატერინა ნემცოვა (ჩეხ. 2344)-მერი ყორყოლიანი (2133) | 1:0 |
| მარიამ დანელია (2129)-მარგარიტა ვოისკა (ბულ. 2339) | 0.5:0.5 |
| მარია ვლადიმიროვა (ბულ. 1976)-ნინო ბაციაშვილი (2304) | 0:1 |

ძიუდო. საქართველოს ჩემპიონატი. ჭაბუკები

# შერჩევა ბოსნიისთვის



შაბათს ასკ-ს დარბაზში დასრულდა ჭაბუკთა შორის საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც 240-მდე მოზარდი მონაწილეობდა. ეს ტურნირი ერთ-ერთი მთავარი შესარჩევი ეტაპი გახლდათ 4-6 ივლისს ბოსნიაში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის. ბუნებრივია, მანამ ნაკრებს კიდევ ექნება შესარჩევი ეტაპი, მაგრამ პირველი ეს გახლდათ და ბოსნიაში წასაყვანი ბირთვიც გამოიკვეთა. სანაკრებო პერსპექტივამ პირველობას დიდი ინტერესი შესძინა, თუმცა მსურველთა რაოდენობა რეგიონალურმა კვოტებმაც შეზღუდა. მაგრამ ასეთი შეზღუდვა აუცილებელია თავად ტურნირის პრესტიჟის და ადგილებზე კონკურენციის გასაზრდელად. პირველობაში ქვეყნის უკლებლივ ყველა რეგიონი გამოდიოდა. მათ შორის, სამაჩაბლოც, რომელსაც იქაური დროებითი ადმინისტრაციის გუნდი წარმოადგენდა.

**ირაკლი თავაძე**

**18-19 აპრილი**

**50 კგ.**

1. შმაგი ლაგაზაური (კახეთი)
2. ლაშა შავდათუაშვილი (შიდა ქართლი)
3. გიორგი კაცია (სამეგრელო-ზემო სვანეთი)
3. ასლან გურჩიანი (იმერეთი)

**55 კგ.**

1. გოჩა ვარძელაშვილი (შიდა ქართლი)
2. ზაზა პირველი (თბილისი)
3. ივანე გოგიაშვილი (შიდა ქართლი)
3. ლაშა გიუნაშვილი (შიდა ქართლი)

**60 კგ.**

1. ირაკლი ლომიძე (შიდა ქართლი)
2. გოჩა გულბათაშვილი (თბილისი)
3. ფრიდონ გიგანი (ქვემო ქართლი)
3. გიორგი მახარაშვილი (მცხეთა-მთიანეთი)

**66 კგ.**

1. იოსებ ნადირაშვილი (თბილისი)
2. კობა ქასოევი (სამხრეთი ოსეთი)
3. შმაგი შარიფაშვილი (შიდა ქართლი)
3. ბექა რატიანი (თბილისი)

**73 კგ.**

1. ლევან რუაძე (კახეთი)
2. ამირან იანვარაშვილი (შიდა ქართლი)
3. გოგა რობაქიძე (სამეგრელო-ზემო სვანეთი)
3. ზაზა კორძაძე (იმერეთი)

**81 კგ.**

1. გიორგი მერმანიშვილი (თბილისი)
2. შალვა ნინიძე (კახეთი)
3. გიორგი პირველი (თბილისი)
3. გიორგი ცნობილაძე (იმერეთი)

**90 კგ.**

1. დავით მერაბიშვილი (თბილისი)
2. გიგა მამაგულაშვილი (თბილისი)
3. ნიკოლოზ გიორგაძე (იმერეთი)
3. ბექა აროშიძე (თბილისი)

**+90 კგ.**

1. უშანგი კოკაური (შიდა ქართლი)
2. სლავა რეზესიძე (ქვემო ქართლი)
3. გიორგი სულხანიშვილი (თბილისი)
3. გიორგი ზაქარიაძე (იმერეთი)

## ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

თენგიზ თომაშვილის პროექტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ივერია წერდა

ამჟამად ტფილისში იმყოფება მოჭიდავე მეგრელი, ბ-ნი ნესტორ ესებუა, რომელსაც უნდა კვირას, 29 ივლისს ჭიდაობა გაჰმართოს იტალიის ბაღში "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ. ბ-ნი ესებუა შემდეგაც აპირებს ჭიდაობას, თუ გამოჩნდება ფალავანი და მოისურვებს სცადოს თავისი ძალა და ღონე მასთან ჭიდაობაში.

*"ივერია", 1890 წ. №158*

გუშინ-წინ, კვირას, იტალიის ბაღში ჭიდაობა ჰქონდა გამართული კულა გლდანელს ბაქოდგან ახლად ჩამოსულ ნახიჩევანელ ლეონ ვალიანცევთან, რომელსაც ალთი-აილუდი გაულახნია. ამ ჭიდაობის მაუწყები გლდანელი განცხადებაში სწერს, რომ რადგან ნესტორ ესებუა აცხადებს გაზეთებში, ჭიდაობას ვაპირებო და იწვევს ესებუას მსურველთ, მეც ჩემის მხრივ ვიწვევ ესებუას შემდეგის პირობით: თუ დამძლია და გამლახა, სამოცი თუმანი მიიღოს და თუ გაილახა, ათი თუმანი ღარიბების სასარგებლოდ გაიღოს თავის ჯიბიდგანაო, ხოლო თუ არ დამეჭიდა და უკან გადადგა, დღეის შემდეგ ნუღარ გამოაცხადებენ ნურც გაზეთში და ნურც კერძოდ თავის ჭიდაობის ამბავსო. რამდენადაც ვიცით, ესებუა სიამოვნებით დათანხმდება გლდანელთან ჭიდაობას და საზოგადოება კვლავ ნახავს ამ ორის მოჭიდავის ბრძოლას.

*"ივერია", 1890 წ. №163.*

1892 წლის 12 ივნისის "ივერიაში" დაიბეჭდა პირველი ცნობა, რომ "ლონდონში ვიღაც ქართველი ცხენოსნები და მოჯირითენი არიან, რომელნიც თავიანთ ჯირითითა და სიმღერა თამაშობით ართობენ გულ-ჩახვეულ და შუბლშეკრულ ძეთ ცა-მოშავებულ "ალბიონისასო... ნეტა ვინ უნდა იყვნენ ეს ქართველნი ლონდონში?" - კითხულობს გაზეთი და 16 ივნისს აქვეყნებს საქმის ვითარებაში ჩახედული ერთ-ერთი მკითხველის წერილს: " რადგან თქვენი გაზეთი ცდილობს, ყოველ მხარეში ადევნოს თვალ-ყური ქართველებს, ამისათვის მეც საჭიროდ ვრაცხ მოგახსენოთ ვინაობა ლონდონში გამგზავრებულ ექვსის თვის ვადით ქართველებისა. ესენი არიან გურულები, სოფელ ჩიბათს და ლანჩხუთში მცხოვრებნი, სხვადასხვა წოდებისა, მომეტებულად აზნაურები. იქნება კიდევაც გაგიკვირდეთ, სად ჩიბათ-ლანჩხუთელები და სად ლონდონიო, მაგრამ არაფერი გასაკვირველი არ არის".

ერთი თვის თავზე "ივერია" უკვე პერსონალურად აცნობს მკითხველს უცხოეთში მყოფ ქართველებს. აი, ეს ცნობაც: "ბათუმი. აი, გვარი იმ ქართველებისა, რომელნიც ამას წინათ წაიყვანა აქედამ ერთმა პარიჟის თეატრის აგენტმა ლონდონში ბარონუმის ცირკისათვის: ივანე მახარაძე, დიმიტრი მგალობლიშვილი, ვასო ჭყონია, დათო ჭყონია, ლეონტი ჯორბენაძე, ლუკა ჩხარტიშვილი, მოსე გიგინეიშვილი, ირაკლი ჭყონია, ბესარიონ ცინცაძე და მელიტონ ცინცაძე. სულ ათი კაცი"

*"ივერია", 1892წ. №127*

## კვიმატი ობიექტივი



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

### ღირსსახსოვარი თარიღები

1937 წელს ჩატარდა სვანეთის პირველი ალპინიადა და რომელშიაც 400 სვანი მთამსვლელი მონაწილეობდა, მათ შორის 18 ქალი. 1938 წელს, 70 წლის წინათ კი ჩატარდა მეორე ოლიმპიადა. იმავე 1938 წელს უკვე მოეწყო სრულიად საქართველოს ალპინიადა, რომელშც 120 მთასვლელი მონაწილეობდა.

1950 წელს ცენტრალურ კავკასიონზე შხელდა-უშბას ტრავერსი პირველგავლის უფლებით განხორციელდა საქართველოს ალპური კლუბის მთამსვლელთა დელეგაციამ ივანე (კაკო) მარის ხელმძღვანელობით. დელეგაციაში შედიოდნენ: მაქსიმე გვარლიანი, გოჯი ზურებიანი, ჭიჭიკო ჩართოლანი და ბექნუ ხერგიანი.

1952 წელს ასევე პირველგავლის უფლებით ცენტრალურ კავკასიონზე შხარა-თეთლუნდი ტრავერსი განახორციელეს: ბექნუ ხერგიანმა (ხელმძღვანელი, ილია გაბლიანმა, მაქსიმე გვარლიანმა, ჭიჭიკო ჩართოლანმა, ბესარიონ ხერგიანმა.

### განცხადება

ბოლო ხანს განსაკუთრებით გაიზარდა მკითხველთა მოთხოვნა "ლელოზე", როგორც თბილისში, ისე რეგიონებში. ეს დასტურდება სატელეფონო ზარებით, გვთხოვენ გავზარდოთ ტირაჟი.

განვმარტავთ, რომ მკითხველამდე გაზეთის მიტანის პროცესს თავად არეგულირებენ პრესის გავრცელების სააგენტოები, რედაქცია კი მათი შეკვეთის მიხედვით განსაზღვრავს ტირაჟს. სქემა ასეთია: მკითხველი - პრესის გამავრცელებელი - რედაქცია. ასე რომ, პრობლემის დარეგულირება პრესის გამავრცელებლებიდან უნდა დაიწყოს მკითხველთა ინტერესების გათვალისწინებით.

"ლელოზე" ხელმოწერის მსურველებს კი გაცნობებთ, რომ გაზეთის გამოწერა შეუზღუდავია. შეგიძლიათ მიმართოთ პრესის გავრცელების ნებისმიერ სააგენტოს, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში. ეს სააგენტოებია: "საქპრესა", "მაცნე", "ელვა-სერვისი", "ინფო-სერვისი", "პლანეტა-ფორტე", "პრეს-ექსპრესი", "ოლიმპი", პგს და ა. შ.

ლელოს რედაქცია

# თბილისის დინამოს ლეგენდარულ მეკარეთა დუბლიორები



თბილისის "დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდს არსებობის პირველსავე დღეებიდან დაებედა უძლიერესი მეკარეები. დავიწყოთ ომამდელი პერიოდის "ზამორად" წოდებულ **ალექსანდრე დოროხოვით** და დავამთავროთ **ოთარ გაბელიათი...**

აჯამებდა რა I საკავშირო ჩემპიონატის შედეგებს, 1936 წელს გაზეთი "კრასნი სპორტი" წერდა - "1936 წელი დოროხოვის სპორტული კლასის გადამწყვეტი წელი იყო. იცვლება თამაშის ტაქტიკა. დოროხოვი კარიდან გამოდის. მეკარე ეხმარება დაცვას. გაბედულმა მოქმედებამ, რომელმაც იმედი გაუცრუა ბევრ მიმბაძველს, ვინც კარიდან გამოსვლის სტრატეგია ვერ აითვისა. დოროხოვს დამსახურებული დიდება მოუტანა". სწორედ ასეთ ვითარებაში მოუხდა სრულიად ახალგაზრდა ოჩამჩირელ ყმაწვილს **ამირან ტყებუჩავას** - ალ. დოროხოვის დუბლიორი გამხდარიყო. 1938-40 წლების საფეხბურთო სეზონში ამირან ტყებუჩავამ 41-ჯერ დაიცვა თბილისის "დინამოს" გუნდის ღირსება.

ამირან ტყებუჩავას სახელს უკავშირდება 1941 წლის საფეხბურთო ჩემპიონატი, რომლის შედეგები გაუქმებულია. მიუხედავად ამისა, თბილისის "დინამოს" მატჩში ლენინგრადში ადგილობრივ "სპარტაკთან", თამაშის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე, მოსკოველმა მსაჯმა დემიდოვმა უხეშობად მიიჩნია ამირან ტყებუჩავას ერთ-ერთი შეჯახება მეტოქესთან და იგი მოედნიდან გააძევა. "დინამოს" კარში **ვიქტორ პანიუკოვი** ჩადგა, რომელმაც გარდა იმისა, რომ პენალტი აკრობატულ ნახტომში მოიგერია და რამდენიმე ძნელი ბურთიც აილო, "დინამოს" კარში დანიშნული მეორე პენალტი ნერვიულობისგან იმავე პენალტისტმა კარს ააცილა.

ამირან ტყებუჩავამ ღირსეულად შეცვალა ლეგენდარული ალ. დოროხოვი. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ თუ 1939 წლის საფეხბურთო სეზონში ამირან ტყებუჩავას 9-ჯერ მოუხდა "დინამოს" კარის დაცვა - მომდევნო 1940 წლის სეზონში იგი 23-ჯერ იდგა თბილისელთა კარში. ომისშემდგომ პერიოდში ამირან ტყებუჩავა თბილისის "დინამოს" კარში არ მდგარა, მან ეს პოზიცია ჯერ თანაქალაქელ **ვალტერ სანაიას**, ოდნავ მოგვიანებით კი ასევე ოჩამჩირელ ლეგენდარულ **ვლადიმერ მარღანიას** გადაულოცა. მეკარეს, რომელიც თბილისის "დინამოს" ჯადოქარი მწვრთნელის **ანრდო ჟორდანიას** აზრით, საუკეთესო იყო თბილისის "დინამოს" მეკარეებს შორის. ამირან ტყებუჩავამ მაყურებელს გარდა სპორტული არენისა, თავი დაამახსოვრა როგორც კინოს მსახიობმა პოპულარულ ქართულ კინოკომედიაში "ჭირვეული მეზობლები". თბილისის "დინამოს" არსებობის ისტორიაში გარკვეული კვალი დატოვა **გივი იოსელიანმაც**, რომელმაც 1946-47 საფეხბურთო სეზონში 16-ჯერ დაიცვა თბილისის "დინამოს" კლუბის ღირსება. შემდგომ გივი იოსელიანის სახელი, როგორც საიმედო მეკარისა, უკავშირდება თბილისის "სპარტაკს", რომელიც ქართული ფეხბურთის პატრიარქმა ანდრო ჟორდანიამ შექმნა და გაიყვანა საკავშირო საფეხბურთო სარბიელზე. 1948 წლის სეზონში ანდრო ჟორდანიას მიერ შექმნილი თბილისის "სპარტაკი" საქართველოს ჩემპიონი გახდა და მომდევნო წელს საბჭოთა კავშირის პირველობაზე "ბ" კლასში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ზემოაღნიშნულ ასპარეზობაზე თბილისის "სპარტაკმა" ფანტასტიკურ შედეგს მიაღწია. ზედიზედ 20 მატჩში 20 გამარჯვება მოიპოვა. ამ შედეგში ლომის წილი მეკარე **გივი იოსელიანს** მიუძღოდა, რომელიც "სპარტაკის" კარს იცავდა მიხეილ პირაევთან მონაცვლეობით. გივი იოსელიანი იმ ისტორიული მატჩის მონაწილეა, როდესაც საკავშირო პირველობის კალენდარულ მატჩში, 1950 წლის საფეხბურთო სეზონში, თბილისის "სპარტაკმა" თავის მოედანზე დაძაბულ სპორტულ პაექრობაში სძლია მოსკოვის "ტორპედოს" - 2:1. ამის შემდგომ, მიზეზთა გამო, გივი იოსელიანმა თბილისის "სპარტაკი" დატოვა და მთელი თავისი ცხოვრება მედიცინას დაუკავშირა. ასე რომ, ორივე მეკარე ამირან ტყებუჩავა და გივი იოსელიანი წარმატებული პიროვნებები იყვნენ მოედნის ფარგლებს გარეთაც - პირველმა პოპულარული მსახიობის სახელი დაიმკვიდრა, მეორემ - კვალიფიციური ექიმის.

## პირველი, პირველმა, პირველად...

პირველი არაოფიციალური მსოფლიო რეკორდსმენი საბჭოთა კავშირიდან მძლეოსნობაში იყო თბილისელი ივანე სერგეევი, რომელმაც 1925 წლის 19 აგვისტოს, მოსკოვში, ხელყუმბარა 75.9- მ-ზე სტყორცნა და 88 სმ-ით გადააჭარბა ამერიკელ ტომპსონის შედეგს. სერგეევის რეკორდი ოფიციალურად არ დარეგისტრირებულა, რადგან მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გაწევრიანდა სსრკ საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციებში.

პირველმა საქართველოს სამბისტებიდან მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა მცხეთელმა გენადი გიორგაძემ (48 კგ).

პირველად საქართველოში რამდენიმე სპორტული ორგანიზაცია ერთ სუბიექტად გაერთიანდა 1918 წლი ს25 აგვისტოს. სპორტსაზოგადოებებმა "ამირანმა" და "სოკოლმა" თანხმობა განაცხადეს გაერთიანებაზე და შეიქმნა სრულიად ახალი, ყოველგვარი გავლენისგან თავისუფალი, აპოლიტიკური, მთავრობისგან დამოუკიდებელი ტანვარჯიშული საზოგადოება "შევარდენი".

## თქვენთვის, ერუდიტებო

1. რომელ წელს გახდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სრულუფლებიანი წევრი?
ა-1991 წელს
ბ-1992 წელს
გ-1993 წელს

2. რომელ წელს დაარსდა საქართველოს ალპური კლუბი?
ა-1935 წელს
ბ-1936 წელს
გ-1939 წელს

3. რომელ წელს ჩადგა მწყობრში თბილისის სპორტის სასახლე?
ა-1961 წელს
ბ-1963 წელს
გ-1964 წელს

4. რომელ წელს მოიპოვა თბილისის "დინამოს" კალათბურთელთა გუნდმა მესამედ სსრკ თასი?
ა-1950 წელს
ბ-1951 წელს
გ-1953 წელს

5. საქართველოს მოცურავე ქალთაგან ვის ჰქონდა ყველაზე მაღალი მიღწევები?
ა-მადლენა ლიბრაძეს
ბ-ელისო შავდიას
გ-თინათინ ლეკვეიშვილს

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-ა, 4-გ, 5-გ.

## ლელოს ფოტომატიანე



ეს ფოტო, რომელიც "ლელოს" ისტორიულ არქივშია შემონახული, 80 წლის წინათ, 1928 წელს, ქალაქ ბაქოშია გადაღებული. კადრში აღბეჭდილია ძალოსნობაში ამიერკავკასიის პირველობის მონაწილენი. შუაში, შავ ხალათში გიორგი ჩიკვაიძეა - საქართველოში სპორტული მოძრაობის ერთ-ერთი მამამთავარი, თავად სახელოვანი სპორტსმენი და მოღვაწე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. XXX ტური

# მორჩა და არ გათავდა: წინ პლეი ოფია


უტევს ბუბა კვიმსაძე, ავიამშენი

**21 აპრილი. რუსთავი**

**დინამო-მაკაბი 106:79**

17:14, 20:22, 39:13, 30:30

დინამო: გულისაბედაშვილი (10 ქ. 13 პ. 8 მ. 3 ჩ), ნანიტაშვილი (6 ქ. 4 პ), ლაფანაშვილი (10 ქ. 6 პ. 8 მ), კუჭავა (12 ქ), სიგუა (2 ქ. 4 პ), წერეთელი (4 ქ. 3 პ), მაისურაძე (18 ქ. 7 მ), ათენალიშვილი (6 ქ. 6 მ. 2 დ), ახალკაცი (27 ქ. 5 მ. 3 ჩ), ფაიქრიძე (11 ქ. 5 ჩ)

მაკაბი: ჯანგველაძე (20 ქ. 8 მ), ახმედიანი (7 ქ. 4 პ), გაგლოშვილი (5 ქ. 3 პ), ს. შერმადინი (8 ქ. 7 მ. 3 ჩ. 2 დ), იოსელიანი (17 ქ. 6 პ. 7 მ), პირველაშვილი, კორკოტაძე (6 ქ), კოლუაშვილი (16 ქ. 21 მ. 4 პ. 3 დ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, ხ. გაბედავა

**თსუ-ვითა 79:75**

19:14, 14:25, 24:23, 22:13

თსუ: არწივიძე (10 ქ. 4 პ), ფანჩულიძე (8 ქ. 6 მ), ბარბაქაძე (19 ქ. 8 მ. 3 პ), კოხრეიძე, ყველაშვილი (12 ქ. 6 მ), ხიზანიშვილი (2 ქ), კეიდია (16 ქ. 5 ), ხეცურიანი (9 ქ. 6 პ. 6 მ), ბ. ნოზაძე (1 ქ), ტყეშელაშვილი (2 ქ. 5 მ)

ვითა: ძიძიგური (8 ქ), ნ. ნოზაძე (3 ქ), ბეჟანიშვილი (16 ქ. 6 მ. 4 პ), მარხვაშვილი (11 ქ. 6 პ), ლ. ნოზაძე (8 ქ. 5 მ. 5 დ), მარკოიშვილი (10 ქ. 7 მ), წივწივაძე (6 ქ), გვიმრაძე (13 ქ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. კუპატაძე

**ენერჯი-ავიამშენი 98:79**

33:19, 25:15, 20:22, 20:23

ენერჯი: გამყრელიძე (10 ქ. 6 პ), ბაბიაშვილი (8 ქ. 8 მ), სტეფანოვი (19 ქ. 17 მ. 3 პ), ჩიტაშვილი (9 ქ), დიდია (10 ქ. 3 პ), ლეჟავა (17 ქ. 3 პ), ცეკვავა (6 ქ), მაჭავარიანი (5 ქ), დვალიშვილი (6 ქ), ტუჯანი (1 ქ. 7 მ), ჭოჭუა (7 ქ. 4 პ)

ავიამშენი: ბერაია (11 ქ. 6 მ. 4 პ), მოსეშვილი, მინაშვილი (23 ქ. 10 მ. 3 პ), კვიმსაძე (13 ქ. 5 მ. 8 პ. 3 ჩ. 2 დ), იმნაძე (3 ქ), ნინიაშვილი (10 ქ. 6 მ), მათიაშვილი (19 ქ. 11 მ. 3 პ), სუხიშვილი

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი, მ. კუპატაძე

**საბოლოო მდგომარეობა**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 30 | 24 | 6 | 54 |
| 2. თსუ | 30 | 17 | 13 | 47 |
| 3. ავიამშენი | 30 | 16 | 14 | 46 |
| 4. ვითა | 30 | 16 | 14 | 46 |
| 5. დინამო | 30 | 13 | 17 | 43 |
| 6. მაკაბი | 30 | 4 | 26 | 34 |

**შვიდთვიანი** და 30-მატჩიანი მარათონის შემდეგ დასრულდა საქართველოს ჩემპიონატის რეგულარული ეტაპი. გუშინ რუსთავში გამოირკვა ნახევარფინალური წყვილები: ენერჯი-ვითა და თსუ-ავიამშენი. ვინ ვის ხვდება ამის კალმით ჩამოწიკწიკება იოლია, მაგრამ "აზოტის" დარბაზში რა ემოციები დუღდა, პირი რომ ჰქონდეს, ამას კალამი უკეთ მოყვებოდა.

მთავარ ინტრიგას "ვითა"-თსუ-ს დაპირისპირება ატარებდა. თუ **ზურაბ ტომარაძის** ვითელები მოიგებდნენ, მეორე ადგილზე აინაცვლებდნენ და დაელოდებოდნენ მომდევნო მატჩს, რომელშიც "ავიას" "ენერჯისთან" რომ წაეგო, მეოთხე ადგილს იკავებდა და ნახევარფინალში სწორედ რუსთაველებს ეჯახებოდა ("ავიატორებს" თანაბარქულიან თსუ-სთან ურთიერთშეხვედრებში უარესი შედეგი ექნებოდათ). ხოლო "ვითასთან" თსუ-ს მოგების შემთხვევაში სტუდენტები მეორე ადგილს დაჯავშნიდნენ, "ვითასა" და "ავიას" (რომელიც "ენერჯისთან" წინასწარ იყო განწირული წასაგებად) თანაბარი ქულები მოუგროვდებოდათ, ურთიერთშეხვედრებში კი წინ "ავიატორები" იყვნენ - 4:1.

მოკლედ, მეორე ადგილის დასაკავებლად თსუ-მ და "ვითამ" დიდი ბრძოლა გააჩაღეს. **დავით ბერძენიშვილის** გარდა ზურაბ ტომარაძის გუნდს **მიშა ბერიშვილიც** გამოაკლდა, რომელმაც XXIX ტურში ფეხი იტკინა.

ვითელებმა სეზონის მეორე ნახევარში თამაში იმდენად კარგად დაალაგეს, რომ ორი ლიდერის არყოფნა ნამდვილად არ დატყობიათ, ზონურ დაცვაშიც მწყობრად იდგნენ და შეტევისასაც ყველა აქტიურობდა. მესამე პერიოდის მეოთხე წუთისთვის "ვითა" 11 ქულის სხვაობით იგებდა - 60:49.

მატჩის ბოლო მეოთხედი რომ დაიწყო, გვერდით მჯდომმა ჟურნალისტმა გადმომილაპარაკა - თსუ ხომ მეოთხე პერიოდის გუნდია. აი, ნახე თუ არ დაეწიოს. მას მეც დავეთანხმე, მაგრამ ნამდვილად არ მეგონა "ვითა" რამეს თუ დათმობდა. კაპიტან **ვაკო ბეჟანიშვილის** წინამძღოლობით ზურაბ ტომარაძის შეგირდებს არც არაფერი დაუთმიათ, მაგრამ თსუ-ს წევრები იმდენად გაიხსნენ, რომ არათუ საჯარიმოებს, ურთულესი მდგომარეობიდან სამქულიანებსაც ზუსტად ისროდნენ.

**ბოლო 5 წუთის ქრონოლოგია**

| | | | |
|---|---|---|---|
| 4:55 | ლ. ნოზაძე (ვითა) | 1 ქ | (69:65) |
| 4:18 | არწივიძე (თსუ) | 3 ქ | (68:69) |
| 3:30 | ბარბაქაძე (თსუ) | 3 ქ | (71:69) |
| 2:55 | ბეჟანიშვილი (ვითა) | 2 ქ | (71:71) |
| 2:30 | ლ. ნოზაძე (ვითა) | 1 ქ | (72:71) |
| 1:31 | წივწივაძე (ვითა) | 1 ქ | (73:71) |
| 1:13 | ბარბაქაძე (თსუ) | 3 ქ | (74:73) |
| 1:02 | ბეჟანიშვილი (ვითა) | 1+1 (ორივე ააცილა) | |
| 0:42 | ბარბაქაძე (თსუ) | 1+1 ქ | (75:73) |
| 0:30 | მარკოიშვილი (ვითა | 1+1 | (75:76) |
| 0:25 | არწივიძე (თსუ) | 1+1 | (78:75) |
| 0:12 | ბარქაბაძე (თსუ) | 1 ქ | (79:75) |

როგორც ნახეთ, თსუ-ს გამარჯვებაში ლომის წილი **დავით ბარბაქაძემ** დაიდო. იგი ტურის საუკეთესო კალათბურთელად დამსახურებულად დასახელდა. დათოს ანგარიშზე 19 ქულა (3-დან 2 სამქულიანი, 5-დან 4 ორქულიანი, 7-დან 5 საჯარიმო), 8 მოხსნა და 3 პასი. ეს ყველაფერი მან 25 წუთში მოასწრო.

რადგან თსუ-მ "ვითა" დაამარცხა, "ენერჯი"-"ავიას" მატჩამდე გაირკვა, რომ მეოთხე ადგილს "ვითას" ველარავინ შეეცილებოდა. რუსთაველებთან "ავიამშენმაც" წააგო, ქულებით ტომარაძის გუნდს გაუთანაბრდა და ურთიერთშეხვედრებში ნაჩვენები უკეთესი შედეგის წყალობით რეგულარული მესამე პოზიციაზე დაასრულა.

როგორ დამარცხდნენ "ავიატორები", ოღონდ ამას ნუ იკითხავთ: **ლევან მოსეშვილს** სათადარიგოთა სკამზე სამი კალათბურთელი ჰყავდა, სამივე მეფარე - **იმნაძე, სუხიშვილი** და **ნინიაშვილი**. ძირითადში გამოჩენილ უკანახაზელებს **კვიმსაძეს, მოსეშვილსა** და **ბერაიას** კი შემცვლელები არ ჰყავდათ. აქედან გამომდინარე, ნამდვილად არავის გაჰკვირვებია "ენერჯის" 19-ქულიანი სხვაობით გამარჯვება.

არც "მაკაბის" წაგებაა საოცარი მოვლენა. პლეი ოფში ვერგასვლით გამწარებულმა "დინამომ" ჯავრი სწორედ **ჯამლეტ ხუხაშვილის** გუნდზე იყარა - 106:79.

ასე და ამგვარად, გუშინ რეგულარული ჩემპიონატიც დაგვემშვიდობა. 3 მაისამდე შევისვენოთ, ამ დღეს ქართული "ოლ სტარით" ვისიამოვნოთ და მალე პლეი ოფიც მოვა. ოფიციალურად ნახევარფინალების კალენდარი არ დამტკიცებულა, თუმცა, ამბობენ პლეი ოფი 8 მაისს იწყებაო.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ლეგიონერი

# პირველი ქართული 4 ქულა!


ზაზა ფაჩულია კევინ გარნეტის წინააღმდეგ

**ჯორჯიული "ატლანტა ჰოქსი" პლეი ოფში ჩაერთო. ბოსტონში, ადგილობრივ "სელტიქსთან" ზაზა ფაჩულიას გუნდმა 81:104 დათმო.**

მატჩის პირველ ტაიმში "ატლანტა" მასპინძლებს საკმარისად გაუძალიანდა და დიდ შესვენებაზე 9-ქულიანი ჩამორჩენით გავიდა (40:49), მაგრამ მესამე პერიოდში **კევინ გარნეტის** მეშვეობით "ბოსტონმა" ჰანდიკაპი კიდევ 9 ქულით გაზარდა და ბოლო მეოთხედს 18-ქულიანი ფორით შეხვდა.

"ჰოქსის" მწვრთნელმა **მაიკ ვუდსონმა** მოედანზე ზაზა ფაჩულია შეიყვანა, ალბათ, იმ იმედით, რომ შეტევით პოტენციალს გააძლიერებდა, მაგრამ იმ შეხვედრის შემომტრიალებელი არათუ ფაჩულია, მთელი ჯორჯია არ იყო.

ქართველმა ცენტრმა მისთვის პირველ საპლეიოფო მატჩში 12 წუთი ითამაშა. მისმა მონაგარმა 4 ქულა, 3 მოხსნა და 1 პასი შეადგინა, ხოლო პასივში 3 ფოლი და 2 შეცდომა დაფიქსირდა. ზაზამ 3 ორქულიანიდან ერთი გამოიყენა, ხოლო 4 საჯარიმოდან - 2. 4 ქულა NBA-ს პლეი ოფში ქართველთა რეკორდია, 2006 წელს **ნიკა ცქიტიშვილმა** ერთადერთი ქულით დაასრულა ეს ეტაპი...

იცით, ვინ გახდა მატჩის სნაიპერი? - ფაჩულიას დებიუტანტი კონკურენტი **ელ ჰორფორდი**. მან 39 წუთში 20 ქულა და 10 მოხსნა გააკეთა. *"ჰორფორდი შეუდარებელი იყო, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ იგი მთელი სეზონის განმავლობაში პლეი ოფებში თამაშობდა და გამოცდილება არავისზე ნაკლები აქვს. ვიმედოვნებ, მომდევნო მატჩებში კარგი თამაშის პარალელურად შედეგიც მოვა,"* - ეს სიტყვები "ატლანტას" თავკაც მაიკ ვუდსონს ეკუთვნის.

"ბოსტონის" მხრიდან, როგორც ყოველთვის, კევინ გარნეტი გამოირჩა, რომლის შესაჩერებლად ჰორფორდმა და ფაჩულიამ ბევრი ოფლი დაღვარეს. გარნეტმა 19 ქულა და 10 მოხსნა გაიფორმა.

**ბოსტონი-ატლანტა 104:81**

29:21, 20:19, 24:15, 31:26

ბოსტონი: რ. ალენი (18ქ), რონდო (15ქ, 9პ), პერკინსი (3ქ), გარნეტი (19ქ, 10მ), პირსი (16ქ), პოუსი (8ქ), პოუე (10ქ), კასელი (10ქ), ტ. ალენი (5ქ), ჰაუსი (3ქ)

ატლანტა: ჯონსონი (19ქ, 7პ), ბიბი (5ქ), ჰორფორდი (20ქ, 10მ), მ. უილიამსი (9ქ), სმიტი (6ქ, 7მ), ჩილდრესი (10ქ, 7მ), ფაჩულია (12 წუთი, 4 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი, 2 შეცდომა, 3 ფოლი), სტაუდმაიერი (2ქ), უესტი (2ქ), ლოუ (2ქ), რიჩარდსონი (2ქ), ჯონსი

**განრიგი**

23 აპრილი
**ბოსტონი-ატლანტა**
26 აპრილი
**ატლანტა-ბოსტონი**
28 აპრილი
**ატლანტა-ბოსტონი**
30 აპრილი
**ბოსტონი-ატლანტა**
2 მაისი
**ატლანტა-ბოსტონი**
4 მაისი
**ბოსტონი-ატლანტა**

ჩოგბურთი

# ჩიხლაძემ ვარჯიში განაახლა

**გუშინ** WTA-ს და ATP-ის ახალი რეიტინგები გამოქვეყნდა, ჩვენთვის საინტერესო სიახლეები ქალთა კლასიფიკაციაში უფროა. ქართველ ქალ ჩოგბურთელთა ათკაციან სიას სათავეში კვლავ 24 წლის **მაკა ჩახნაშვილი** უდგას. მაკას 163 ქულა აქვს და მსოფლიოში 187-ე პოზიციაზეა (-1). 17 საფეხურით დაწინაურდა და კარიერის საუკეთესო მაჩვენებელს მიუახლოვდა 18 წლის **ანა ტატიშვილი**. ანა 90 სარეიტინგო ქულით დღეიდან მსოფლიოს 279-ე ჩოგანია. ერთი ადგილით დაიხია უკან **სოფიო შაფათავამ**, სოფიოს 59 ქულა აქვს, ის მსოფლიო კლასიფიკაციაში 356-ე ადგილზეა.

სხვა ქართველები რეიტინგში: 513 (+1) **თინათინ ყავლაშვილი** – 31 ქულა, 553 (+52) **სალომე დევიძე** – 26, 595 (-3) **ოქსანა კალაშნიკოვა** – 22, 600 (-3) **მანანა შაფაქიძე** – 22, 696 (+22) **სოფიო ქვაცაბაია** – 16, 814 (-3) **ეკა გორგოძე** – 10 და 942 (-24) **სოფიო მელიქიშვილი** – 6. როგორც ხედავთ, ყველაზე დიდი ნახტომი წინ სალომე დევიძემ გააკეთა, 21 წლის ჩოგბურთელმა 52 საფეხურით წაიწია წინ ერთ კვირაში, თუმცა სალომეს ჯერ ბევრი უკლი მისსავე საუკეთესო შედეგთან, მსოფლიოს 254-ე ჩოგნობასთან. 22 ადგილით წავიდა წინ სოფიო ქვაცაბაია.

ვაჟთა შორის ძალიან ცუდი მდგომარეობა გვაქვს, ჩვენი საუკეთესო მეჩოგნე **ლადო ჩიხლაძე** 62 სარეიტინგო ქულით მსოფლიოს 457-ე ჩოგბურთელია. თუმცა ერთი ძალიან სასიხარულო ამბავიც გვაქვს – ლადომ, რომელმაც არასპორტულ ვითარებაში კისრის მძიმე ტრავმა მიიღო დეკემბერში, ვარჯიში განაახლა და რამდენიმე თვეში ის ჩოგბურთს დაუბრუნდება. სხვები: 1225 (+3) **ნოდარ ითონიშვილი** – 4 ქულა, 1572 (+4) **გიორგი ჭანტურია** – 1, !764 (+6) **გიორგი ხრიკაძე**.

**საჩოგბურთო** კვირა **სალომე დევიძემ** მარცხით გახსნა, 21 წლის ჩოგბურთელი დოტჰენში (აშშ) 75-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში გასვლას ლამობდა. პირველ წრეში სალომე ამერიკელ **კიმბერლი კაუტსს** (419) შეხვდა და ორ სეტში დამარცხდა – 4:6, 1:6.

უზბეკეთში, ქალაქ ნამანგანში ქალ ჩოგბურთელთა 25-ათასიანი ტურნირი იწყება. ძირითად ბადეში ორი ჩვენებურია, მე-4 ნომრად **სოფიო შაფათავა** განთესეს, ბადეშია 17 წლის **ოქსანა კალაშნიკოვაც**. შაფათავას მეტოქე 18 წლის ჩინელი **შაოჟუ ლიუა** (732), კალაშნიკოვა კი რუს **ვასილისა დავიდოვას** (554) ეთამაშება. წყვილთა ბადეში ოქსანა ყირგიზ **ქსენია პალკინასთან** დუეტში ტურნირის პირველ ნომრად განთესეს. რუს **მარინა შამაიკოს** შეუწყვილდა სოფიო შაფათავა, ეს დუეტი ტურნირის მე-3 ნომერია.

ვაჟთა ასპარეზზე ამ კვირაში მხოლოდ **სერგი სიხარულიძე** თამაშობდა. თურქეთში (10 ათასი დოლარი) პირველ საკვალიფიკაციო წრეში მან ჩეხი **რომან ბიჩეკი** დაამარცხა – 6:3, 6:7 (4), 7:6 (5), მეორეში კი ჩეხ **მიხალ კონეჩნისთან** თავად დამარცხდა – 2:6, 0:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# კოკაიას მეათე ადგილი

**ძალოსანთა** ევროპის ჩემპიონატზე მხოლოდ ერთი ქართველი სპორტსმენი მონაწილეობდა – 105 კგ. წონით კატეგორიაში ძალები ახალგაზრდა **თორნიკე კოკაიამ** მოსინჯა. ამ წონაში სულ 22 ძალოსანი ავიდა ფიცარნაგზე, ქართველი B ჯგუფში იყო. ატაცში თორნიკემ სიმძიმე მხოლოდ მესამე, ბოლო ცდაზე დაძლია, მან 115-კილოგრამიანი შტანგა აწია, რაც ჯამში მე-12 შედეგი აღმოჩნდა. აკვრაში კოკაიამ პირველივე ცდაზე დაძლია 190 კილოგრამი, მაგრამ შემდეგ ორჯერ ვერ შეძლო 198-ის აწევა. აკვრაში ქართველის მაჩვენებელი მეცხრე იყო, საერთო ჩათვლაში 345 კილოგრამით თორნიკე კოკაიამ ევროპის ჩემპიონატი მეათე ადგილზე დაასრულა. ამ წონაში კონტინენტის ჩემპიონი რუსი **ბერესტოვი** გახდა, რომელმაც ორი დისციპლინის ჯამში ქართველზე 65 კილოთი მეტი დაძლია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. პლეი ოფი 1/8 ფინალი

# ესეც პირველი სენსაცია

სენსაციურად დაიწყო "დეტროიტისა" და "ფილადელფიას" სერია. აღმოსავლეთის მეორე გუნდმა საკუთარ მოედანზე თითქმის მოგებული შეხვედრა წააგო. მესამე მეოთხედში "ფილადელფია" 15 ქულას აგებდა, მაგრამ მატჩის სურათი კარდინალურად მაშინ შეიცვალა, როცა სტუმრები 10:0 "გაიქცნენ" და თამაში ქულა-ქულაში წავიდა.

"დეტროიტი" მისმა ერთ-ერთმა ლიდერმა, **ჩონსი ბილაპსმა** დაალალატა, როცა გადამწყვეტ მომენტში ოთხიდან სამი საჯარიმო ააცილა. არადა, ეს კალათბურთელი რეგულარულში 92 პროცენტის სიზუსტით ასრულებდა თავისუფალ ტყორცნებს.

"პისტონზი", რომელიც წინა ხუთი სეზონი რეგულარულად თამაშობდა კონფერენციის ფინალში, 2003 წლის შემდეგ პირველად დამარცხდა სასტარტო სერიის პირველ მატჩში.

პირველ ტაიმში იყო მომენტი, როცა "ფილადელფიამ" 5 წუთი ქულა ვერ მოიპოვა, დროის ერთ ხანგრძლივ მონაკვეთში, 21-დან მხოლოდ 2 ბურთი ჩააგდო. და მიუხედავად ამისა, სერიის ფავორიტმა მაინც მოახერხა თამაშის წაგება.

■ ■ ■

"ლეიკერსისა" და "დენვერის" სერიის პირველ მატჩში, ბენეფისი მოიწყო ესპანელმა **პაუ გასოლმა**. 36 ქულა, 16 მოხსნა, 8 პასი და 3 დაფარება - ასეთი იყო გასოლის მონაგარი, რომელიც 6 წელია NBA-ში თამაშობს და პლეი ოფში პირველი შეხვედრა მოიგო.

ცდა არ დაუკლია **კობი ბრაიანტსაც**, რომელმაც გადამწყვეტ მომენტში თქვა საბოლოო სიტყვა. კობიმ თავისი 32 ქულიდან 18 ბოლო 8 წუთში დააგროვა და "დენვერს" მატჩის გადარჩენის შანსი მოუსპო.

მასპინძლებს მაშინ გაუჭირდათ, როცა მეტოქეს 19-ქულიანი ჩამორჩენა 10 ქულამდე შეამცირებინეს. ეს მატჩის დასრულებამდე 8 წუთით ადრე მოხდა და სწორედ აქ აინყვიტა ბრაიანტმა.

■ ■ ■

დამაჯერებლად დაამტკიცა ფავორიტის სტატუსი "ბოსტონ სელტიქსმა", რომელმაც ყოველგვარი პრობლემის გარეშე მოუგო "ატლანტას". ბოსტონური "დიდი ტრიოს" წევრებმა - **კევინ გარნეტმა, პოლ პირსმა** და **რეი ალენმა** თანაბარი წვლილი შეიტანეს ამ გამარჯვებაში და როცა ცხადი გახდა, რომ მეტოქეს წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლო, დასვენების საშუალებაც მიეცათ.

"ბოსტონის" წარმატება იმანაც გააიოლა, რომ ძალიან სუსტად ითამაშეს "ჰოქსის" ლიდერებმა (ჰორფორდის გამოკლებით). მაგალითად, **ჯო ჯონსონმა** 22-ჯერ ისროლა და 15 ტყორცნა ააცილა.

■ ■ ■

ბოლოს კი, ერთი რეკორდის შესახებ, რომლის ავტორიც "ორლანდო" გახდა. უფრო სწორად, "მეჯიქმა" პლეი ოფში "ბოსტონის" რეკორდი გაიმეორა - მან პირველ მეოთხედში 9 (!) სამქულიანი ჩააგდო. საერთოდ, პირველ 12-წუთეულში, მასპინძლებმა 20-დან 16 ტყორცნა შეასრულეს ზუსტად, მეოთხედი 43:23 მოიგეს და პრაქტიკულად, აქ გადაწყვიტეს მატჩის ბედი.

"ორლანდოს" სნაიპერებს მხარი **დუაიტ ჰოვარდმაც** აუბა. ახალგაზრდა ცენტრმა, რომელიც 69 ორმაგი დუბლით რეგულარულის ლიდერი გახდა, 25 ქულასა და 22 მოხსნას 5 დაფარებაც დაუმატა და მატჩის გმირი გახდა.

**გია თვალაბეიშვილი**



რომეო, დევიდი და ბრუკლინ ბექჰემები ბრაიანტის ფანები ყოფილან

**აღმოსავლეთი**

**ორლანდო–ტორონტო 114:100**

43:23, 17:24, 25:28, 29:25

ო: დ. ნელსონი (24+7 პასი), ევანსი (14), თურქოგლუ (14+6 პასი+6 მოხსნა), ლუისი (13), დ. ჰოვარდი (25+22 მოხსნა+5 დაფარება), დულინგი (10).

ტ: პარკერი (24+7 მოხსნა), ბოში (21+6 მოხსნა), ნესტეროვიჩი (16+8 მოხსნა), კაპონო (18), კალდერონი (9+8 პასი).

**სერია: 1:0**

**დეტროიტი–ფილადელფია 86:90**

27:22, 24:16, 19:25, 16:27

დ: უოლასი (24+9 მოხსნა+7 დაფარება), ბილაპსი (14), ჰემილტონი (13), პრინსი (12), მაქსიელი (12+11 მოხსნა).

ფ: მილერი (20+6 პასი), გრინი (17), იგუოდალა (16+9 მოხსნა+8 პასი), იანგი (10), ევანსი (11+14 მოხსნა).

**სერია: 0:1**

**ბოსტონი–ატლანტა 88:68**

29:21, 20:19, 24:15, 17:13

ბ: ალენი (18), პირსი (16), გარნეტი (16), რონდო (15+9 პასი), კასელი (10), პოუ (10).

ა: ჰორფორდი (20+10 მოხსნა), ჯონსონი (19), ჩილდრესი (10).

**სერია: 1:0**

**დასავლეთი**

**ლეიკერსი–დენვერი 128:114**

26:22, 32:34, 39:22, 31:36

ლ: გასოლი (36+16 მოხსნა+8 პასი), ბრაიანტი (32), ოდომი (17+14 მოხსნა), უოლტონი (16).

დ: აივერსონი (30+7 პასი), ენტონი (30+12 მოხსნა), კლეიზა (23), სმიტი (15).

**სერია: 1:0**

ჰოკეი. NHL სტენლის თასი. 1/8 ფინალი

# იხვებმა თასი დათმეს



ანაჰაიმმა ჩემპიონობა დაკარგა

ბოლო წლებში, სტენლის თასის გათამაშებაზე უცნაური ამბები ხდება. "ანაჰაიმ დაქსი" ზედიზედ მეხუთე გუნდი გახდა, რომელმაც მოქმედი ჩემპიონის სტატუსით, პირველი წრის ბარიერის გადალახვა ვერ შეძლო. უკანასკნელად, ტიტულის დაცვა 1997-98 წლების სეზონში "დეტროიტ რედ უინგზმა" შეძლო. ხოლო 2000 წლიდან მოყოლებული, თუ თასის მოქმედი მფლობელი პლეი ოფში გადიოდა, იქ პირველივე რაუნდში ხელმოცარული რჩებოდა.

"დალასისთვის" ამ სერიაში გამარჯვებას უდიდესი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა. 2003 წლიდან მოყოლებული, გუნდი რეგულარულად გადიოდა პლეი ოფში, მაგრამ ზედიზედ ოთხჯერ, "ვარსკვლავები" ვერაფრით ახერხებდნენ მეორე წრეში გასვლას.

მიუხედავად იმისა, რომ პირველ ორ პერიოდში "ანაჰაიმმა" ბევრი შეცდომა დაუშვა, მასპინძლებმა ამით ვერ ისარგებლეს და ბოლო 20-წუთეულის წინ, მინიმალური სხვაობით აგებდნენ. გადამწყვეტი აღმოჩნდა მესამე პერიოდის სტარტზე 52-წამიანი მონაკვეთი, როდესაც ამ სერიაში "დალასის" საუკეთესო ჰოკეისტმა, **სტივენ რობიდასმა** გაიბრწყინა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მატჩში ცხვირგატეხილი თამაშობდა, ფორვარდმა ჯერ თავად გაათანაბრა ანგარიში, იქვე კი, **სტიუ ბარნსს** გაატანინა.

"ანაჰაიმი" მდგომარეობის გამოსწორებას შეეცადა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა ბრწყინვალედ მოთამაშე დალასელ მეკარეს, **მარტი ტურკოს**. ამასობაში, "იხვების" კარში კიდევ ორი შაიბა შესრიალდა და ასე სავალალოდ დასრულდა ანაჰაიმელების მხრიდან ტიტულის დაცვის მცდელობა.

"დალასმა" თავისი არსებობის ისტორიაში მესამედ შეძლო პლეი ოფის პირველ წრეში თასის მფლობელის დამარცხება. 1980 წელს (მაშინ ეს გუნდი "მინესოტა ნორდ სტარტზის" სახელით გამოიოდა), მან "მონრეალი" გამოთიშა სტენლის თასს, 1991 წელს კი, იგივე ბედი "ედმონტონმა" გაიზიარა.

**გია თვალაბეიშვილი**

**დასავლეთი**

**ნეშვილი (8)–დეტროიტი (1) 0:3**

0:0, 0:1, 0:2

გოლები: 0:1 ლიდსტრიომი-2 (ზეტერბერგი-2), 0:2 ჰუდლერი-2 (ჰელმი-1), 0:3 რაფალსკი-1.

**სერია 2:4**

**კალგარი (7)–სან ხოსე (2) 2:0**

1:0, 1:0, 0:0

გოლები: 1:0 ნოლანი-2 (ჰუსელიუსი-3, რეგერი-2), 2:0 ლენგკოუ-3 (ტანგეი-4, ა. ერიქსონი-1).

**სერია 2:3**

**დალასი (5)–ანაჰაიმი (4) 4:1**

0:0, 0:1, 4:0

გოლები: 0:1 პერი-2 (ს. ნიდერმაიერი-2, ჟიგერი-1), 1:1 რობიდასი-1 (მოდანო-4, ი. ლეჰტინენი-3), 2:1 ბარნსი-2 (რობიდასი-5, გროსმანი-1), 3:1 ლ. ერიქსონი-3 (ბ. რიჩარდსი-4, ლუნდკვისტი-3), 4:1 მოდანო-2 (ი. ლეჰტინენი-4, ტურკო-1).

**სერია 4:2**

ველოსპორტი. პრო ტური

# კუნეგო ამსტელის ოქროს ჩემპიონია

ჯიროს ყოფილი ჩემპიონის, იტალიელი **დამიანო კუნეგოს** გამარჯვებით დასრულდა მორიგი პრესტიჟული კლასიკური ტურნირი - ამსტელის ოქროს რბოლა, რომლის ფინიშთანაც, მან დაძაბულ პაექრობაში ლუქსემბურგელ **ფრანკ შლეკსა** და ესპანელ **ალეხანდრო ვალვერდეს** მიასწრო.

ბოლო, კობერგის აღმართზე, შეტევა შლეკმა და იტალიელმა **დავიდე რებელინმა** წამოიწყეს, რომლებსაც უკან კუნეგო გაჰყვა. ფინიშამდე 300 მეტრი რჩებოდა, როცა აღმართი დასრულდა და იტალიელმაც სწორედ მაშინ დაიწყო კონტრშეტევა. ამაზე რებელინს პასუხი არ აღმოაჩნდა, უკნიდან კი მათ ვალვერდე წამოეწია.

მაგრამ ამათ შორის, ყველაზე დასვენებული ფეხები კუნეგოს აღმოაჩნდა, ვინც საფინიშო სპრინტში ყველას იოლად აჯობა და ფინიშის ხაზიც პირველმა გადაკვეთა.

*"ყოველთვის მჯეროდა, რომ ამ რბოლის მოგება შემეძლო, მაგრამ აქამდე აქ გამოსვლას სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ვახერხებდი. მოკლედ, ეს ჩემი სადებიუტო რბოლა იყო და ბედნიერი ვარ, რომ პირველივე ცდაზე გავიმარჯვე. ფინიში რომ მოახლოვდა, ჩემს წინ შლეკი იყო, ვინც მთელი რბოლა უმაღლეს დონეზე ჩაატარა. მაგრამ ის ძლიერი ფინიშით არ გამოირჩევა. ჰოდა, მეც ეს ფაქტორი გამოვიყენე. ბოლო სამასი მეტრი რჩებოდა, როცა შეტევა დავიწყე და ის გამარჯვებით დავასრულე"*, - ნარბოლევს განაცხადა კუნეგომ, ვისაც ჯირო 2004 წელს აქვს მოგებული, კლასიკურ რბოლაზე (ლომბარდიის ტური) კი პირველად შარშან გაიმარჯვა.



კუნეგო გამარჯვებას ზეიმობს

კუნეგო იმედოვნებს, რომ ჯიროს დაწყებამდე, მინიმუმ ერთი კლასიკური რბოლის მოგებას კიდევ შესძლებს. მომდევნო კლასიკური კი ფლეშ ვალონია, რომელიც ხვალ ჩატარდება, კვირის ბოლოს კი პრესტიჟული ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟი გაიმართება.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ამსტელის ოქროს რბოლა (257.4 კმ)

1. დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე) 6:35.29 (39.051 კმ/სთ); 2. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) იგივე დროში; 3. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.02; 4. დავიდე რებელინი (იტალია, გეროლშტაინერი) 0.02; 5. თომას დეკერი (ჰოლანდია, რაბობანკი) 0.06; 6. კრისტიან პფანბერგერი (ავსტრია, ბარლოუორლდი) 0.14; 7. სერგეი ივანოვი (რუსეთი, ასტანა) 0.18; 8. ხოაკიმ როდრიგესი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.23; 9. კარსტენ კროონი (ჰოლანდია, CSC) 0.27; 10. ჯერომ პინო (საფრანგეთი, ბუიგ ტელეკომი) 0.45...

პრო ტურის კლასიფიკაცია

1. დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე) 73 ქულა; 2. ანდრე გრაიპელი (გერმანია, ჰაი როუდი 62; 3. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, ასტანა) 58; 4. თომას დეკერი (ჰოლანდია, რაბობანკი) 52; 5. სტიინ დევოლდერი (ბელგია, ქვიკსტეპი) 50; 6. ხოსე ხოაკინ როხას ხილი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 45; 7. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, სილენს-ლოტო) 42; 8. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, რაბობანკი) 40; 9. ნიკ ნუიენსი (ბელგია, კოფიდისი) 40; 10. ხუან ანტონიო ფლეშა (ესპანეთი, რაბობანკი) 35...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირები

# სერენას სათიხნარო ტრიუმფი

ამერიკელი **სერენა უილიამსის** გამარჯვებით დასრულდა ჩარლსტონის (აშშ, სამხ. კაროლინა) სათიხნარო ტურნირი, რომლის ფინალშიც მან სამ სეტში დაამარცხა რუსი **ვერა ზვონარევა**. მესამე, გადამწყვეტი სეტის დასაწყისში, რუსმა ბრეიკის ალება შეძლო, მაგრამ სერენამ ჯერ ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ კი თავად დაწინაურდა და შეხვედრაც თავის სასარგებლოდ დაასრულა.

26 წლის ამერიკელისთვის ეს მიმდინარე სეზონში მოპოვებული მესამე, კარიერაში კი 31-ე ტიტულია. აღსანიშნავია, რომ 2002 წელს, საფრანგეთის ღიაზე ტრიუმფის შემდეგ, სერენას თიხის კორტზე ჩარლსტონამდე ერთი ტურნირიც არ ჰქონდა მოგებული.

*"ამ ტურნირზე შეხვედრების უმეტესობა ასე ჩავატარე – კარგად ვიწყებდი, შემდეგ ჩავარდნა მქონდა, რის შემდეგაც ისევ უპირატესობას ვეუფლებოდი. ამ შეხვედრაში ბევრი შეცდომა დავუშვი, მაგრამ ესეც გადავიტანე. როცა მიჭირდა, საკუთარ თავს ვეუბნებოდი, დასაკარგი არაფერი გაქვს და ისე ითამაშე, როგორც გჩვევია-მეთქი. რა თქმა უნდა, სათიხნარო სეზონის დასაწყისშივე პიკის მიღწევა შეუძლებელია და ვიმედოვნებ, რომ საფრანგეთის ღიას წინ, საუკეთესო ფორმაში შევალ. მთავარია, ამაში ხელი ჯანმრთელობამ შემიწყოს"*, - განაცხადა სერენამ, ვისაც გამარჯვებისთვის საათი და 50 წუთი დასჭირდა.

სერენამ პირველი სეტი 39 წუთში მოიგო და ისე ჩანდა, რომ შეხვედრას ორ სეტში დაასრულებდა, მაგრამ მეორე სეტის დასაწყისში მის თამაშში რაღაც აირია. ამერიკელმა რამდენიმე ბრეიკ პოინტი ვერ გამოიყენა. ამის შემდეგ, მას ნერვებმა უმტყუნა და მეექვსე გეიმში დაშვებული ორმაგი შეცდომით, გეიმი რუსს ჩააბარა. მეორე სეტის დარჩენილ გეიმებში ზვონარევას უპირატესობა აღარ დაუთმია.

მანვე გადამწყვეტი სეტის მესამე გეიმში კიდევ ერთი ბრეიკის ალება შეძლო, თუმცა ამჯერად მონაპოვრის შენარჩუნება აღარ გამოუვიდა – ამერიკელმა იქვე ბრეიკით უპასუხა და აქედან მოყოლებული, მეტოქისთვის თამაშის გადარჩენის შანსი აღარ მიუცია. სერენამ მერვე გეიმში კიდევ ერთხელ აიღო ზვონარევას სერვის-გეიმი და მომდევნო გეიმში შეხვედრა გამარჯვებამდე მიიყვანა.

პორტუგალიის ეშტორილში კი, ქალთა ტურნირის ჩემპიონი რუსი **მარია კირილენკო** გახდა, რომელმაც ორი სეტი იმყოფინა ჩეხი **ივეტა ბენეშოვას** დასამარცხებლად, ვისაც რეიტინგში მასზე ასი საფეხურით უკან უკავია ადგილი. აღსანიშნავია, რომ რუსმა ხუთჯერ შეძლო მეტოქის მოწოდების ალება, ჩეხმა კი მას ხუთი ორმაგი შეცდომით გაუადვილა საქმე.

ჰიუსტონის ტურნირი კი მოულოდენლი შედეგით დასრულდა. ფინალში ესპანელმა **მარსელ გრანოლერს-პუიოლმა**, ყველასთვის გასაკვირად, ტურნირზე მოწინავე ნომრად განთესილი ამერიკელი **ჯეიმს ბლეიკი** დაამარცხა და პირველად მოიგო ATP-ის ტურნირი.

ჰიუსტონამდე, 22 წლის ესპანელი ATP-ის ტურნირის მეოთხედფინალის იქით არასოდეს გასულა. პირველი სეტი მან მოიგო. შესაძლოა, ბლეიკზე შეხვედრის იმ ოცწუთიანმა წყვეტამ იმოქმედა, რომელიც ერთ-ერთი მაყურებლის გონების დაკარგვას მოჰყვა. ასე იყო თუ ისე, პირველი სეტი ესპანელის გამარჯვებით დასრულდა, მეორეში კი, ამერიკელმა, ვისაც კარიერაში ატპ-ის ათი ტურნირი აქვს მოგებული, თავისი წარმატებით გაოგნებულ მეტოქეს მხოლოდ ერთი გეიმილა დაუთმო.

უფრო მეტიც, გადამწყვეტი სეტიც ბრეიკის მიერ ზედიზედ მოგებული სამი გეიმით დაიწყო და თითქოს, შეხვედრაც მისი გამარჯვებით უნდ დასრულებულიყო, მაგრამ პუიოლმა სასწაული მოახდინა. მან შეცდომებს უკლო, ბლეიკს კი რატომღაც პირველი მოწოდება აღარ გამოსდიოდა, რისი შედეგიც მისთვის სავალალო აღმოჩნდა.

*"ეს ჩემი ცხოვრების საუკეთესო მომენტია. ჩოგბურთს ბავშვობიდან ვთამაშობ და მაშინ სწორედ ასეთ გამარჯვებებზე ვოცნებობდი. ჯეიმსი ჩემზე გაცილებით უკეთ ირჯებოდა, მაგრამ შემდეგ მის თამაშში რაღაც შეიცვალა და მე ანგარიშის გათანაბრების საშუალება მომეცა, მოპოვებული შანსი კი ხელიდან აღარ გავუშვი"*, - განაცხადა გრანოლერს-პუიოლმა.

დაბოლოს, ესპანელი **დავიდ ფერერის** გამარჯვებით დასრულდა ვალენსიას ღია პირველობა, რომლის ფინალშიც მან სამ სეტში მოუგო თანამემამულე **ნიკოლას ალმაგროს**. გადამწყვეტი სეტის დასაწყისში, ალმაგრო 5:2 დაწინაურდა და მერვე გეიმში ის მატჩზეც კი აწოდებდა, მაგრამ ფერერმა სწორედ ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში დაიწყო ძლევამოსილი დაბრუნება. მან ზედიზედ ოთხი გეიმი მოიგო, ტაიბრეიკზე კი იოლად გაუსწორდა გაოგნებულ მეტოქეს, რომლის თამაშშიც წუნი გახშირდა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**


მარსელ გრანოლერს-პუიოლი

**ATP**

**Comunidad Valenciana**

ვალენსია (ესპანეთი). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 370 000 დოლარი

**ფინალი**

დავიდ ფერერი (ესპ, 1)-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 5)- 4:6, 6:2, 7:6.

**US Men's Clay Court**

ჰიუსტონი (აშშ). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 436 000 დოლარი

**ფინალი**

მარსელ პუიოლ-გრანოლერსი (ესპ, 7)-ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 1) 6:4, 1:6, 7:5

**WTA**

**Family Circle Cup**

ჩარლსტონი (აშშ). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 1 340 000 დოლარი

**ფინალი**

სერენა უილიამსი (აშშ, 5)-ვერა ზვონარევა (რუს, 9) 6:4, 3:6, 6:3.

**Estoril Open**

ეშტორილი (პორტუგალია). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 145 000 დოლარი

**ფინალი**

მარია კირილენკო (რუს, 2)-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) 6:4, 6:2.

ალიარება

# ივანოვიჩი ისევ დააფასეს



ამ დღეებში ვწერდით იმის შესახებ, რომ სერბეთში იქაური ჩოგბურთელის, **ანა ივანოვიჩის** სახელობის საფოსტო მარკა გამოუშვეს. ამ დღეებში კი, მსოფლიო რეიტინგის მეორე ჩოგანი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმაც დააფასა. კერძოდ, ივანოვიჩი მსოფლიოს იმ ცნობილ ქალბატონებს შორის შეიყვანეს, რომლებიც ნომინირებულნი არიან "სიმამაცისთვის ქალთა საერთაშორისო პრიზის" მოპოვებაზე. ეს ჯილდო ამერიკის სახელმწიფო მდივნის, **კონდოლიზა რაისის** მიერ არის დაწესებული.

*"ეს ჩემთვის დიდი სიუპრიზი და პატივია. მადლობა ყველას, ვისაც ეს იდეა დაებადა"*, - განაცხადა ივანოვიჩმა.

გასულ წელს, ანა იუნესკოს ელჩი გახდა. ამ სტატუსის მიღების შემდეგ, ივანოვიჩმა მნიშვნელოვანი თანხა გაიღო, რომლის წყალობითაც 15 სერბულმა სკოლამ მონაწილეობა მიიღო პროგრამაში - "სკოლა ძალადობის გარეშე".

## TV სპორტი

**22 აპრილი. სამშაბათი**

**I არხი**

11:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**რუსთავი 2**

22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ლივერპული-ჩელსი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
14:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
18:15 90 წუთი - საფეხბურთო თოქ-შოუ.
19:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:10 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
20:40 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:40 ევრო 2008. ტელეჟურნალი.
22:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:25 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ლივერპული-ჩელსი (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:05 სპორტდოსიე. ავსტრალიური ფეხბურთი.
07:55 ფეხბურთი. Barca TV.
08:01 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
08:55 სპორტკლუბი.
09:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:48 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ჩელსი.
12:35 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. I წრე. მონტე კარლო.
17:10 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/8 ფინალი.
19:04 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
19:34 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
20:06 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
20:35 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
21:03 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ლივერპული-ჩელსი. მატჩის წინ.
22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ლივერპული-ჩელსი (LIVE).
01:07 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ალმერია.
02:49 ფეხბურთი. Barca TV.
03:00 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/8 ფინალი (LIVE).
05:41 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ჩელსი.

**EUROSPORT**

10:30 რალი. ცენტრალური ევროპა. II ეტაპი.
11:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. III დღე. შეფილდი. ბრიტანეთი.
12:15 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
13:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. IV დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
16:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-არსენალი.
17:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. IV დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
20:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. IV დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
20:45 მულტისპორტი.
21:15 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
22:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. IV დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
01:00 პროფესიული კრივი.
02:45 რალი. ცენტრალური ევროპა. III ეტაპი.
03:00 მულტისპორტი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
13:00 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. I რბოლა.
13:30 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. II რბოლა.
14:00 ახალი ამბები.
16:00 არენა-ფეხბურთი. რეგულარული ლიგა. კოლამბუსი-ფილადელფია.
17:30 ფეხბურთი. უეფას. 1/4 ფინალი.
18:30 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. სან ხოსე-პორტლენდი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 სერფინგი. აშშ.
21:30 ახალი ამბები.
21:55 სერფინგი. ნორვეგია.
22:00 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
22:30 ავსტრალიური ფეხბურთი. ტელეჟურნალი.
23:30 არენა-ფეხბურთი. რეგულარული ლიგა. კოლამბუსი-ფილადელფია.
01:00 ახალი ამბები.
01:15 პრო-რესტლინგი.
02:15 ახალი ამბები.

## რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 6425 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 5455 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 4725 |
| 4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 3290 |
| 5(5). დავიდ ფერერი (ესპ) | 2620 |
| 6(6). ენდი როდიკი (აშშ) | 2320 |
| 7(7). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 2035 |
| 8(8). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2020 |
| 9(10). რიშარ გასკე (საფ) | 1755 |
| 10(9). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 1690 |
| 11(11). მიხაილ იუჟნი (რუს) | 1600 |
| 12(12). პოლ-ანრი მატიო (საფ) | 1555 |
| 13(13). მარკოს ბაღდატისი (კვიპ) | 1490 |
| 14(16). კარლოს მოია (ესპ) | 1460 |
| 15(14). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 1459 |
| 16(15). ჟო-ვილფრედ ცონგა (საფ) | 1440 |
| 17(17). ხუან მონაკო (არგ) | 1440 |
| 18(18). ტომი რობრედო (ესპ) | 1400 |
| 19(20). ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) | 1390 |
| 20(21). ენდი მარეი (ბრიტ) | 1330 |

| WTA-ს რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). ჟუსტინ ანენ-არდენი (ბელ) | 6105 |
| 2(2). ანა ივანოვიჩი (სერ) | 4157 |
| 3(4). მარია შარაპოვა (რუს) | 3986 |
| 4(3). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 3905 |
| 5(5). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 3775 |
| 6(9). სერენა უილიამსი (აშშ) | 2726 |
| 7(6). ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 2665 |
| 8(7). ვენუს უილიამსი (აშშ) | 2586 |
| 9(8). ელენა დემენტიევა (რუს) | 2440 |
| 10(10). დან. ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 2257 |
| 11(11). მარიონ ბარტოლი (საფ) | 2198 |
| 12(12). პატი შნიდერი (შვეიც) | 1965 |
| 13(13). აგნეს შავაი (უნგ) | 1667 |
| 14(17). ვერა ზვონარევა (რუს) | 1627 |
| 15(14). აგნეშკა რადვანსკა (პოლ) | 1483 |
| 16(15). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1433 |
| 17(16). დინარა საფინა (რუს) | 1412 |
| 18(18). შაარ პეერი (ისრ) | 1245 |
| 19(19). ალიონა ბონდარენკო (უკრ) | 1206 |
| 20(20). ნადია პეტროვა (რუს) | 1192 |

| ATP-ის საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1(1). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 331 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 249 |
| 3(3). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 215 |
| 4(6). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 195 |
| 5(4). ჟო-ვილფრედ ცონგა (საფ) | 177 |
| 6(5). ენდი როდიკი (აშშ) | 168 |
| 7(7). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 156 |
| 8(13). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 129 |
| 9(8). ენდი მარეი (ბრიტ) | 122 |
| 10(16). დავიდ ფერერი (ესპ) | 121 |
| 11(9). მიხაილ იუჟნი (რუს) | 117 |
| 12(12). მარდი ფიში (აშშ) | 115 |
| 13(10). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 111 |
| 14(11). მიხაელ ლოდრა (საფ) | 109 |
| 15(14). რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 98 |
| 16(15). ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 94 |
| 17(17). ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) | 85 |
| 18(18). რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) | 84 |
| 19(19). პოლ-ანრი მატიო (საფ) | 83 |
| 20(24). ხუან მონაკო (არგ) | 81 |

| WTA-ს საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. მარია შარაპოვა (რუს) | 2060 |
| 2. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 1515 |
| 3. ანა ივანოვიჩი (სერ) | 1475 |
| 4. სერენა უილიამსი (აშშ) | 1455 |
| 5. ვერა ზვონარევა (რუს) | 1147 |
| 6. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 1110 |
| 7. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 1000 |
| 8. ელენა დემენტიევა (რუს) | 886 |
| 9. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 802 |
| 10. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 786 |
| 11. ლინდსი დავენპორტი (აშშ) | 624 |
| 12. პატი შნიდერი (შვეიც) | 582 |
| 13. ვენუს უილიამსი (აშშ) | 566 |
| 14. ნა ლი (ჩინ) | 565 |
| 15. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 524 |
| 16. ალიზე კორნე (საფ) | 518 |
| 17. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ) | 513 |
| 18. ფლავია პენეტა (იტა) | 511 |
| 19. ამელი მორესმო (საფ) | 465 |
| 20. კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 445 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 1 876 806 |
| 2. ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 886 271 |
| 3. რაფაელ ნადალი (ესპ) | 841 397 |
| 4. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფ) | 733 981 |
| 5. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 620 423 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 592 515 |
| 7. მიხაელ ლოდრა (საფ) | 507 918 |
| 8. ენდი მარეი (ბრიტ) | 411 249 |
| 9. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 391 625 |
| 10. მარდი ფიში (აშშ) | 384 480 |
| 11. ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 375 553 |
| 12. მიხაილ იუჟნი (რუს) | 352 075 |
| 13. დავიდ ფერერი (ესპ) | 344 284 |
| 14. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 323 503 |
| 15. ჯონათან ელრიხი (ისრ) | 314 570 |
| 15. ენდი რამი (ისრ) | 314 570 |
| 17. დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 288 645 |
| 18. ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) | 282 746 |
| 19. იარკო ნიემინენი (ფინ) | 259 326 |
| 20. რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 256 449 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. მარია შარაპოვა (რუს) | 1 760 626 |
| 2. სერენა უილიამსი (აშშ) | 1 025 535 |
| 3. ანა ივანოვიჩი (სერ) | 1 017 090 |
| 4. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 853 648 |
| 5. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 584 965 |
| 6. ვერა ზვონარევა (რუს) | 563 354 |
| 7. ელენა დემენტიევა (რუს) | 477 318 |
| 8. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 445 185 |
| 9. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 421 643 |
| 10. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 383 825 |
| 11. აი სუგიამა (იაპ) | 334 200 |
| 12. ალიონა ბონდარენკო (უკრ) | 317 164 |
| 13. კატ. სრებოტნიკი (სლოვენ) | 307 635 |
| 14. ვენუს უილიამსი (აშშ) | 302 778 |
| 15. კატერინა ბონდარენკო (უკრ) | 272 366 |
| 16. შაარ პეერი (ისრ) | 266 265 |
| 17. დინარა საფინა (რუს) | 249 112 |
| 18. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 238 587 |
| 19. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 236 512 |
| 20. კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 208 992 |

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ანჟერსი-ნანტი | 0:0 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| ბელენენსეში-სეტუბალი | 5:0 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ესბერგი-ოლბორგი | 1:1 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ფრედრიკსტადი-ბ. გლიმტი | 2:0 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| იურგორდენი-გაის | 0:0 |
| გიოტებორგი-აიკ | 2:0 |
| ტრელებორგი-ლიუნგსკილე | 1:2 |
| ჰალმსტადი-მალმიო | 2:3 |

**საბერძნეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კალითეა-პანსერაიკოსი | 1:0 |

**შვეიცარია**

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| კრინსი-ვადუცი | 0:1 |

**თურქეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ქოჯაელი-ესქისეჰირი | 1:0 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ტეპლიცე-სლავია | 3:1 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ტრენჩინი-შენეცი | 0:0 |

**უნგრეთი**

| | |
|---|---|
| ზალაეგერსეგი-ჰონვედი | 2:1 |

**ჩოგბურთი**

**ATP. მონტე კარლო**

| | |
|---|---|
| ანჩიჩი-მინარი | 6:3, 6:4 |
| ვლიეგენი-სანტორო | 7:6, 6:1 |
| ჰაასი-ო. როხუსი | 1:6, 0:6 |
| ვოლანდრი-მაუ | 6:2, 6:3 |
| სიოდერლინგი-შტეპანეკი | 6:4, 6:7, 6:3 |
| მარეი-ფ. ლოპესი | 7:6, 6:4 |
| მოია-კუერი | 3:6, 6:1, 3:6 |
| მატიო-ტიპსარევიჩი | 4:6, 6:2, 3:6 |
| სტარაჩე-ლაპენტი | 6:7, 7:6, 4:6 |
| აკასუსო-კოლშრაიბერი | 6:7, 3:6 |
| ვერდასკო-მონფილსი | 5:7, 4:6 |
| ლუბიჩიჩი-კუერტენი | 6:1, 6:2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



ავტოსპორტი. ფორმულა 1. ინტერვიუ მიხაელ შუმახერთან

# ამას არ ველოდი

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

სეზონის პირველ სამ რბოლას აფასებს ჩემპიონატის ლიდერი გუნდის, "BMW-ზაურების" გერმანელი პილოტი ნიკ ჰაიდფელდი, რომელიც, თავის მხრივ, პირად ჩათვლაში მხოლოდ კიმი რაიკონენს ჩამორჩება.

**- როგორ შეაფასებთ სეზონის დასაწყისს?**

- ზამთრის ტესტების შემდეგ ასეთ შედეგებს არ ველოდით. მიუხედავად ამისა, შეიძლებოდა უფრო მეტი ქულაც გვქონოდა, მაგრამ რაღაც მომენტებში არ გაგვიმართლა. "ფერარისა" და "მაკლარენის" წარმომადგენლებსაც შეუძლიათ იგივეს თქმა. კონსტრუქტორთა თასზე პირველ ადგილზე ვართ, პირად ჩათვლაში მეორე პოზიციას ვიკავებ, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ უკეთესი შედეგიც შეიძლებოდა.

**- რა შეიცვალა ზამთრის ტესტებსა და სეზონის პირველ რბოლებს შორის პერიოდში?**

- ზამთრის ტესტების ბოლო დღეებში ვგრძნობდი, რომ კარგ ფორმაში ვიყავით, თუმცა ხალხი მაინც ჩვენს ტექნიკურ პრობლემებზე ამახვილებდა ყურადღებას. ვიცოდით, რომ წინ დიდი ნაბიჯი გადავდგით, თუმცა თავად არ ველოდით, რომ სეზონს ასე წარმატებით დავიწყებდით. რამდენიმე თვის წინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ჩემპიონატის ლიდერები ვიქნებოდით.



BMW-ზაუბერში ყველაფერი წესრიგშია

**- მანქანა უკეთესი სამართავია?**

- ბოლიდი სერიოზულად გაუმჯობესდა. მართვა უფრო რთული გახდა, ვიდრე შარშან, მაგრამ მანქანა უფრო სწრაფია და ეს არის მთავარი.

**- ანუ მანქანა სწრაფია, მაგრამ მისი მომზადება გართულდა?**

- დიახ, მომზადების პროცესი უფრო რთული გახდა. გასულ წელს, ელექტრონიკა ზოგიერთი პრობლემის კომპენსირებას ახდენდა. დღეს კი, F1.08 უფრო სერიოზულ მიდგომას საჭიროებს.

**- შეგიძლიათ ამ პირობებში გამარჯვებაზე პრეტენზიის გამოცხადება?**

- ადრე რბოლების მოგება არ შეგვეძლო. უკვე სამი გრან-პრი ჩატარდა, სამი პოდიუმი მოვიპოვეთ, მაგრამ კონკურენტები ყოველთვის ჩვენზე სწრაფები იყვნენ. იმედი მაქვს, ამ სეზონში მოვასწრებთ გრან-პრის მოგებას. დღეს ეს შეუძლებელია, მაგრამ მუშაობას ვაგრძელებთ.

**- არ გეჩვენებათ, რომ კვალიფიკაციაში ოდნავ ჩამორჩებით კონკურენტებს?**

- არა. ბაჰრეინში მართლა წავაგე, მაგრამ პირველ ორ რბოლაში ყველაფერი წესრიგში იყო. უფრო მეტი პრობლემა თავისუფალი პრაქტიკის დროს მაქვს.

**- დღეს, თქვენი თანაგუნდელი რობერტ კუბიცა უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს, არადა, ტრასაზე თითქმის ერთნაირ შედეგებს აჩვენებ...**

- რა თქმა უნდა, როცა გუნდის ისტორიაში პირველ პოულს მოიპოვებ, უფრო მეტ ყურადღებასაც დაიმსახურებ. ბაჰრეინში რობერტმა მართლაც უმაღლეს დონეზე იასპარეზა. მას არ ჰქონდა ისეთივე პრობლემები, როგორიც მე და ამიტომაც დაიმსახურა პოული. თუმცა რბოლის დროს, მას არაფერში ჩამოვრჩებოდი და ვეცდები, სეზონის საბოლოო შედეგების მიხედვით, მის წინ აღმოვჩნდე. მინდოდა, გუნდისთვის პირველი პოული მე მომეტანა, მაგრამ ასეთია სპორტი.

**- "მაკლარენის" ფორმის გამო გაკვირვებული ხართ?**

- დიახ. მეგონა, რომ ისინი უფრო ძლიერები იქნებოდნენ.

**- და "ფერარი"?**

- პირველ რბოლაში გუნდმა იმაზე სუსტად იასპარეზა, ვიდრე ველოდი, მაგრამ ახლა საგრძნობლად მოუმატა. თუმცა ლიდერებთან ახლოს ვართ, რასაც ნამდვილად არ ველოდი.

**გია თვალაბეიშვილი**

# ესპანური პრესა მაკლარენს მისდგა

ერთი წლის წინ, ესპანური პრესა "მაკლარენს" **ფერნანდო ალონსოსადმი** მოპყრობის გამო აკრიტიკებდა, დღეს კი, კრიტიკის ახალი ტალღა ესპანელ პილოტსა და ბრიტანულ საჯინიბოს შორის კონტრაქტის გაწყვეტამ გამოიწვია. ესპანური AS-ის ჟურნალისტებმა სტატისტიკური ინფორმაცია შეაგროვეს, რომელიც (მათი აზრით) გვიჩვენებს, თუ რამდენად დასუსტდა "მაკლარენი" ფერნანდოს გარეშე. იმის შესახებ, რამდენად სუსტია ალონსო "მაკლარენის" გარეშე, ამაზე AS არაფერს წერს.

"ალონსოს გარეშე "მაკლარენი" საგრძნობლად დასუსტდა. დღეს, ლუის ჰემილტონი დებიუტანტს უფრო ჰგავს, ვიდრე იმ მრბოლელს, რომელმაც გასული სეზონი ორგზის მსოფლიო ჩემპიონის კომპანიაში გაატარა და კინაღამ ტიტული მოიგო. რაც შეეხება ჰეიკი კოვალაინენს, მიუხედავად მისი მონდომებისა, ის ჰემილტონთან ერთად კონკურენტუნარიან წყვილს ვერ შექმნის.


ესპანეთში მაკლარენი არ უყვართ

საქმე მხოლოდ სა არ არის, რომ "მაკლარენს" არ შეუძლია კონკურენცია გაუწიოს "ფერარის" სისწრაფეს. როგორც ჩანს, BMW Sauber მზად არის, დაიკავოს ჩემპიონატის მეორე გუნდის სტატუსი და ბოლო ტესტების შედეგების მიხედვით, ეს შეიძლება უახლოეს მომავალში მოხდეს.

თითქოს სეზონი ცუდად არ დაწყებულა - მელბურნში, "ფერარის" წარუმატებლობის ფონზე, ჰემილტონის პოული და გამარჯვება ტრიუმფად მოჩანდა, მაგრამ ალონსოს დაკარგვის შედეგები თვალნათელია - წინა სამ რბოლაში გუნდმა 28 ქულა მოიპოვა, იმ დროს, როცა 2007 წელს, ეს მაჩვენებელი 44 ქულას უტოლდებოდა.

თუ კვალიფიკაციის მეორე სეგმენტში, ცარიელი ავზებით ნაჩვენები დროის ანალიზს მოვახდენთ, ჰემილტონმა მხოლოდ ავსტრალიაში მოუმატა. სეპანგსა და საჰირზე კი, მას შარშანდელზე უარესი შედეგები ჰქონდა. თუ კოვალაინენის მაჩვენებლებზე ვისაუბრებთ, ავსტრალიაში ფინელმა კვალიფიკაციაზე საუკეთესო წრე წუთსა და 25.4 წამში გაიარა, 2007 წელს, ალონსოს ანალოგიური მაჩვენებელი წუთსა და 25.3 წამს უდრიდა. მალაიზიაში ეს სხვაობა 7 მეათედ წამამდე გაიზარდა.

ალონსოსა და კოვალიანენს შორის კლასში განსხვავება კიდევ უფრო ჩანს, თუ მათ მიერ "რენოს" საჭესთან ნაჩვენებ შედეგებს შევადარებთ. 2007 წელს, პირველ სამ რბოლაში, ფინელი ერთხელაც ვერ მოხვდა კვალიფიკაციის ფინალში.

ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ "მაკლარენმა" სეზონი იმაზე უფრო სუსტად დაიწყო, ვიდრე 2007 წელს. მისი მანქანები არც ისე სწრაფები არიან, კონსტრუქტორებმა პროგრესს ვერ მიაღწიეს. ესპანელი ამ გუნდში მაშინ მივიდა, როცა "მაკლარენს" დავიწყებული ჰქონდა გამარჯვებების გემო. და საჯინიბო რვა გამარჯვებითა და თითქმის გარანტირებული ტიტულით დატოვა. ასე რომ, ფერნანდოს წასვლით გამოწვეული შედეგი სახეზეა", - ამტკიცებს გაზეთი AS.

**გია თვალაბეიშვილი**

# ხორცის რულეტი კიმი რაიკონენისგან

ფინურმა გაზეთმა Iltalehti-მ თავის მკითხველებს ერთი საინტერესო პროექტის შესახებ უამბო. ამ პროექტის ავტორები გახდნენ ფინეთის სამხრეთ-დასავლეთში, პატარა ქალაქ ლოიმაას ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეები. უფროსკლასელებმა მსოფლიო მასშტაბის ორასამდე ცნობილ სახეს მიმართეს თხოვნით, რათა მათ თავიანთი საყვარელი კერძების რეცეპტები გამოეგზავნათ. ადრესატთა შორის იყვნენ შვედეთის, ნორვეგიისა და დანიის სამეფო ოჯახის წევრები, ფინეთის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი, სხვადასხვა ქვეყნის მსახიობები, მუსიკოსები, სპორტსმენები...

მოსწავლეების თხოვნას დაახლოებით 60 ადამიანი გამოეხმაურა და მათ შორის იყო ფორმულა 1-ის მოქმედი ჩემპიონი, **კიმი რაიკონენი**. მან ხორცის რულეტის ორიგინალური რეცეპტი გაგზავნა. მაშ ასე, სამზარეულოში მსოფლიო ჩემპიონთან ერთად ვფუსფუსებთ!

ხორცის რულეტი შეფ-მზარეულ კიმისგან:

- 500 გრამი ფარში (ღორის და ძროხის ხორცი);
- ფრანგული ხახვის წვნიანის კონცენტრატის 1 პაკეტი;
- 2 პაკეტი ნაღები (თითო 200 გრამი) ცხიმის 10-19 პროცენტიანი შემცველობით.

წვნიანის კონცენტრატს ერთი პაკეტი ნაღები დავასხათ, მიღებულ მასას დავამატოთ ხორცის ფარში და კარგად მოვურიოთ. შემდეგ ეს მასა ტაფაზე მოვათავსოთ, გემოვნებით დავამატოთ მარილი და პილპილი. შევდგათ წინასწარ 200 გრადუსამდე გახურებულ ღუმელში და იქ 50 წუთი გავაჩეროთ.

სოუსის დასამზადებლად დაჭერით ქამა სოკო და ხახვი, მოშუშეთ ტაფაზე, დაამატეთ ერთი პაკეტი რძე და აადუღეთ. აქაც, გემოვნების მიხედვით შეიძლება მარილისა და პილპილის დამატება.


რაიკონენი კულინარიც ყოფილა

# ბორბლებიანი სახლი ფეტელისთვის

"ტორო როსოს" პილოტმა **სებასტიან ფეტელმა** გერმანულ გაზეთ "ბილდს" თავისი ახალი შენაძენის შესახებ მოუყვა. ეს არის ლუქსის კლასის ფურგონი - Concorde Liner 990, რომლის სიგრძეა 10 მეტრი და 7.5 ტონას იწონის. ის აღჭურვილია ტყავის სალონით, პლაზმური ტელევიზორით, ჭურჭლის სარეცხი მანქანითა და კომფორტის სხვა საგნებით.

მოკლედ, ეს არის სახლი ბორბლებზე, რომელიც ფეტელს 250 ათასი ევრო დაუჯდა. გერმანელი პილოტი სარბოლო უიქ ენდების დროს, სწორედ ამ ფურგონში აპირებს ცხოვრებას. "ამ შენაძენის წყალობით, აღარ მომიწევს ტრასიდან სასტუმრომდე გრძელი მანძილის დაფარვა და შესაბამისად, ფუჭი დროის ხარჯვა. თანაც აქ უფრო მეტი კომფორტი მექნება", - ამბობს ფეტელი.

სხვათა შორის, გერმანელი ერთადერთი არ არის, ვისაც ბორბლებიანი სახლი სასტუმრო ნომერს ურჩევნია. მაგალითად, **დევიდ კულტჰარდიც** სარბოლო უიქ ენდს მოძრავ ფურგონში ატარებს.

**გია თვალაბეიშვილი**

## ანეკდოტები ფორმულაზე

მიხაელ შუმახერი და მიკა ჰაკინენი არდადეგებს აფრიკაში ატარებენ. ღამეს კარავში ათევენ. ღამით, მიკას საშინელი ხმაურისგან გაეღვიძა. თავი გამოყო და ხედავს, რომ კარავის გარშემო შუმახერი დარბის, უკან კი, ლომი მისდევს.

ჰაკინენი ყვირის:

- ჩქარა, მიხაელ, ლომი გეწევა!
- ნუ გეშინია, მიკა, უკვე ორი წრით ვუსწრებ!

* * *

ფინელს ეკითხებიან:

- თქვენი საყვარელი პილოტი?
- მიკა ჰაკინენი.

გერმანელს ეკითხებიან:

- თქვენი საყვარელი პილოტი?
- მიხაელ შუმახერი.

უკრაინელს ეკითხებიან:

- თქვენი საყვარელი პილოტი?
- მიკა სალო.

* * *

მიხაელ შუმახერს ავსტრალიის გრან-პრიზე პირველი ადგილი ჩამოართვეს. დოპინგ-ტესტმა მის სისხლში ბენზინი აღმოაჩინა...

* * *

აბრამოვიჩმა შუმახერი იყიდა. ის უკმაყოფილო იყო იმ ავტობუსის მძღოლით, რომელსაც "ჩელსი" თამაშებზე დაჰყავს.